

140
1851

ISSN 0162-5975

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՖՈՒՆԿՆԻՈՆԱԿԱՆ



ՀՈՒՄՈՐԻՍՏ

7
1981

საქართველოში კომუნისტური პარტიის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის

ქვირფასო ლეონიდ ილიას ძვე!
პიონერთა საქავშირო შეკრების დელეგატები, პიონერული მგზნებარებით მოგესალმებით თქვენ, საბჭოთა ბავშვების დიდ მეგობარს. ჩვენი ქვეყნის ყველა ნორჩი ლენინელის სახელით მხურვალე და გულთად მადლობას ვუხდით კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, თქვენ, ქვირფასო ლეონიდ ილიას ძვე, ჩვენთვის — საბჭოების ბავშვებისათვის უდიდესი ზრუნვის გამო.
ოთხი დღის მანძილზე გმირ ქალაქში, ჩვენი სამშობლოს გულში — მოსკოვში, მიმდინარეობდა ჩვენი პიონერული შეკრება. დაუვიწყარი წუთები განვიცადეთ, როცა კრემლის გალავანთან ვიყავით ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში, მოვინახულეთ უცნობი ჭარისკაცის საფლავი, კიდევ ერთხელ მთელი გულით ღრმად შევიგრძენით უფროს თაობათა საგმირო საქმეების სიდიადე, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ჩვენ მშვიდობიანი ცის ქვეშ ვიცხოვროთ, გულდამშვიდებულ-

ნი ვსწავლობდეთ, ვავითარებდეთ ჩვენს ნიჭსა და უნარს.

ქვირფასო ლეონიდ ილიას ძვე!
ჩვენდამი — ქვეყნის ყველაზე ნორჩი თაობისადმი პარტიისა და ხალხის ზრუნვას კარგი და წარჩინებული სწავლით, სამშობლოს საკეთილდღეო შრომით ვუპასუხებთ. საბჭოთა გპირდებით, რომ იდეურად მტკიცე რწმენის მქონე პატიოსან და დისციპლინიან ადამიანებად აღვიზრდებით. ფიცს ვაძლევთ პარტიასა და კავშირს, რომ დიდი ლენინის ანდერძის, საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების ერთგულნი ვიქნებით მარად. ნორჩი ლენინელები მუდამ მზად იქნებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად!

პიონერთა VIII საკავშირო შეკრების დელეგატები.
მოსკოვი. 21 მაისი.

პიონერთა საქავშირო შეკრების მ ი მ ა რ ტ ვ ა ჩვენი ქვეყნის ყველა ნორჩი ლენინელისადმი

პიონერო! ამხანაგო! მეგობარო!
შენ მოგმართავთ ჩვენ, მშობლიური კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისადმი მიძღვნილი VIII საკავშირო შეკრების დელეგატები ჩვენი ქვეყნის გმირ დედაქალაქ მოსკოვიდან.
საკავშირო ალკე ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბორის ნიკოლოზის ძე პასტუხოვმა, რომელიც შეკრებაზე გამოვიდა, ჩვენ, საბჭოთა ქვეყნის ყველა პიონერს გადმოგვცა სსრ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მხურვალე სალაპი და საუკეთესო სურვილები.
მთელი საბჭოთა ქვეყნის პიონერების სახელით დელეგატებმა წერილით მივმართეთ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომელშიც მშობლიური კომუნისტურ პარტიას, ჩვენს დიდ მეგობარს ლეონიდ ილიას ძეს გულთადი მადლობა ვუთხარით ბენიერი, მშვიდობიანი ბავშვობისა-

თვის, დავპირდით, რომ ისე ვიცხოვრებთ, ვისწავლით და ვიბრძოლებთ, როგორც დიდმა ლენინმა გვიანდერძა, შეძლებისდაგვარ წვლილს შევიტანთ, სსრ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად გაშლილ, უფროსების საქმიანობაში.
იმის გამო, რომ კომუნისტური პარტია, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, ლენინური კავშირი ჩვენზე დიდ იმედებს ამყარებენ და ჩვენი სწამთ, გაცილებით დიდებულ და უფრო ძლიერებად ვგრძნობთ თავს.
გაისად ჩვენი პიონერული ორგანიზაცია მნიშვნელოვან თარიღს — თავისი 60 წლისთავს აღნიშნავს.
ყველა პიონერულ რაზმეულს, რაზმს, რგოლს, თითოეულ პიონერს მოვუწოდებთ, სწავლაში, საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში, შემოქმედებასა და სპორტში მოპოვებული ახალი წარმატებებით შევეგებოთ იუბილეს. ჩვენი ცხოვრების საბრძოლო პროგრამად გადა-

იტყა პიონერთა რაზმების საქავშირო მარში „საბჭოთა ქვეყნის პიონერები ლენინის საქმის ვართ ერთგულები!“ მისი მარშრუტები დაგვეხმარება გამოვძენოთ ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე საჭირო საქმეები.
პიონერებო!
შეკრებაზე სტარტი აიღო საკავშირო პიონერული ხუთწლედის დამკვრელურმა შრომითმა საქმეებმა. იგი გააერთიანებს მთელი ქვეყნის პიონერთა შრომით მონღომებას. მოგიწოდებთ ყველა რაზმს აქტიურად ჩაებით და წარმატებით შეასრულეთ პიონერული ხუთწლედი. ეს იქნება ჩვენი წვლილი სამშობლოს დოვლათის გაზრდასა და ძლიერების განმტკიცებაში.
წმიდათაწმიდაა ჩვენთვის იმათი ხსოვნა, ვინც ჩვენი ბედნიერი ბავშვობისათვის სიცოცხლე გასწირა. აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ ექსპედიციაში — „დიდი სამამულო ომის მატინე“. მზრუნველობა გავუწიოთ ვეტერანებს, ჩავიწეროთ

ენო სარაზიშვილი

მათი ნაამბობები. საბრძოლო დიდების სასკოლო მუზეუმები შევაკოსოთ ახალი მასალებით.

შეკრებამ გადაწყვიტა გავმართოთ საკავშირო სამხედრო ოპერაცია „პიონერული დიდება“. ოპერაციის მსვლელობისას ჩვენი რაზმეულების ბიოგრაფიის ახალ ფურცლებს გადავწვით; პიონერული ორგანიზაციის ისტორიის კუთხეებს, ოთახებს, მუზეუმებს შევქმნით, ახალ ფურცლებს დავწერთ, თუ ოთხმოციანი წლების პიონერები როგორ აგრძელებენ პიონერულ თაობათა ესტაფეტას:

ჩვენ და შენ ბავშვთა კომუნისტურმა ორგანიზაციამ დაგვაამხანავა. განვამტკიცოთ ჩვენი რიგები! მუდამ და ყველაფერში გამოვიჩინოთ დისციპლინიანობა, ორგანიზებულობა, პიონერული სიტყვის ერთგულება.

მოვემზადოთ კომკავშირში შესასვლელად!

ვიზრუნოთ ოქტომბრელებისათვის — ჩვენი პიონერული ცვლისათვის.

პიონერებო!

სამშობლო ელის, რომ გავიზრდებით სამართლიანები, მზრუნველნი, ძლიერნი, შრომისათვის და მამულის დასაცავად მომზადებულნი.

სამშობლო გვასწავლის, რომ ვიმეგობროთ პლანეტის მშრომელთა შვილებთან, განვამტკიცოთ ურთიერთობა სოციალისტური ქვეყნების პიონერებთან.

სამშობლოს სწამს, რომ ჩვენ ლენინის საქმისათვის მტკიცე მებრძოლები გავხდებით.

მთელი ჩვენი ქვეყნის ნორჩ ლენინელთა სახელით ვაცხადებთ: **გწამდეს ჩვენი, სამშობლოვ! გწამდეს ჩვენი, პარტიავ! გწამდეს ჩვენი, წინამძღოლო — კომკავშირო! გავიზრდებით მტკიცე რწმენის ლენინელებად, მუდამ ღირსეულად ვატარებთ წითელ პიონერულ დროშას!** წინ გასწით, პიონერულო რაზმებო!

უსწორდით მარჯვენაფლანგელებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად მუდამ მზად ვართ!

ზოგჯერ ასეც ხდება: ჩაივლის ბავშვობა — ბედნიერი, გაღიმებული და გამორჩევით ერთ დღესაც არ დაგამახსოვრებს. ამ გოგო-ბიჭებს კი სამახსოვროც ბევრი დარჩებათ და საფიქრალიც, და შერე, როცა შთაბეჭდილებათა დღიურის ბოლო გვერდებიც აიფურცლება, ალბათ ბევრ მათგანს მოენატრება ხან ფიქრიანად და ხან მხიარულად გატარებული ის ერთი კვირა, პიონერთა VIII საკავშირო შეკრება რომ ერქვა სახელად.

სახეიმოდ გაბრწყინებულა მოსკოვის კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზი, სინათლე სითბოდ დაღვრილა, სითბო — სიხარულად, სიხარული — მოკისკისე მელოდებდა.



რის გმირი, ლეგენდარული მფრინავი ა. მარესიევი და სხვები.

„პიონერო!“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავ მზად!“ „მზად ვართ!“ — გუგუნებს დარბაზი.

„ჩინ, პიონერული დროშა!“

ადვილი როდია რჩეულთა შორის რჩეული იყო და ისიც ასეთ ადრეულ, ყმაწვილურ ასაკში. ეს პირველი აღიარებაა, პირველი სითამამე, საკუთარი შესაძლებლობების ის პირველი მოსინჯვა და დაჭერება, რომელიც შემდეგ დიდ ცხოვრებაში უნდა შეგიძღვეს. ახლა კი...

...გაისმის პიონერული საყვირების ხმა. საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი აშხ. ბ. ნ. პასტუხოვი პიონერთა VIII საკავშირო შეკრების შტაბის თავმჯდომარის ანდრეი გავრილოვის პატაკის მიღების შემდეგ შეკრებას გახსნილად აცხადებს.

მთელი ქვეყნის პედაგოგ-აღმზრდელების, უფროსი მეგობრების სახელით გესალმებიან საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საკავშირო პიონერული საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. ფედულოვა, საბჭოთა კავშირის განათლების მინისტრი მ. ა. პროკოფიევი, სოციალისტური შრომის გმირი, მასწავლებელი ლ. სმირონოვა, ვეტერანთა კაბინეტის პასუხისმგებელი მდივანი ნ. ვაკენევი, საბჭოთა კავში-

პიონერი, ეს უპირველეს ყოვლისა, კარგი მოსწავლეა, — ამბობდა ლენინი. სკკპ XXVI ყრილობამ პედაგოგებისა და აღმზრდელების თანაბრად, მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა დააკისრა ჩვენი ქვეყნის პიონერულ ორგანიზაციებს, მის ყველა უჯრედსა და რგოლს, თითოეულ პიონერს. ვიბრძოლოთ მოსწავლეთა სწავლის ხარისხისა და დროის ორგანიზების გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის — ამ საპატიო მისიაში აუცილებელია ყველა პიონე-

1926 წლის 1926 წლის

საპარტიო აღკვეთის და პ. ი. ლენინის სახლობის პიონერთა ორგანიზაციის რეკონსტრუქციის საფონდის ყოველთვიური საბავშვო ჯარაღი

პიონერი

7 ივლისი 1981

საქ კვ მ-ის გამომცემლობა

16822

საქ. სსრ
საბჭოთა



ტაკი საუკეთესოთა შორის იქნა აღიარებული.

სექციებზე ქართველი პიონერების მიერ წარმოდგენილ ნამუშევართა შორის ყურადღება დაიმსახურა თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელის ნანა პატარაიას თემამ (სექცია „ძლიერნი, გამბედავნი, მარდნი“), რომელიც მის სკოლასთან შექმნილ „ნორჩ სპორტსმენთა უმაღლესი საბჭოს“ საქმიანობას შეეხებოდა. ბუნებრივია, რომ ნანას მოხსენებას ლაზათი და ინტერესი შემატა იმანაც, რომ თვითონ ნანა საქართველოს ჩემპიონია წყალში ხტომაში. საგარეჯოს მე-2 საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელმა იაგო ელერდაშვილმა თავისი რგოლის პიონერების — „ცისფერი პატრულელების“ საქმიანობაზე მოგვითხრო. სასკოლო საგნობრივი წრეების მუშაობა და სამეცნიერო დაწესებულებებთან მათი კონტაქტები კარგად დაასურათა ბათუმის ი. გაგარინის სახელობის მე-16 საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელის გოჩა ცირეკიძის მოხსენებამ. ვია კერესელიძემ, როგორც „პიონერფილმის“ უკვე გაწვრთნილმა შევიგრიდმა, კინოფირზე აღბეჭდა შეკრების თითქმის მთელი მსვლელობა. ვიას „პიონერფილმის“ რამდენიმე ნამუშევარიც ჰქონდა თან წამოღებული. შეკრების მონაწილეებმა მოიწონეს ჩვენი პიონერების გადაღებული ფილმები „ქილა“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“ და „ჩარლის ბავშვობა“.

მანანა ლალიძე ფოთის 1-ლი საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს უძღვება. იგი დიდხანს და გულმოდგინედ გვესაუბრება მარშრუტში „სსრკ ჩემი სამშობლო“ მისი სკოლის პიონერების მიერ მოპოვებულ წარმატებებზე.

ინტერესით ვუსმენთ ცხინვალის რაიონის სოფელ არცევის საშუალო სკოლის მეექვსეკლასელ პიონერს ფატიმა ბიციევას, რომელიც სკოლაში ოპერაცია „იკოცხლე წიგნო!“ საორგანიზაციო შტაბს ხელმძღვანელობს. შტაბმა ამას წინათ წიგნის მეგობართა ძალზე საინტერესო კონკურსი-დათვალიერება მოაწყო. კონკურსი ოქტომბრელთა შორის შედგა. უჩვეულო იყო კონკურსში გამარჯვებულის — წიგნის საუკეთესო მეგობრის პრიზიც. გამარჯვებულებს ეძლეოდათ საპატიო უფლება, გაეფერადებინათ მათთვის წინასწარ ნაჩუქარი, ფურცლებზე დახატული

რული რაზმეულის, რაზმის, რგოლისა და პიონერის მონაწილეობა.

ორონობასთან ბრძოლის ორიგინალური მეთოდისათვის მიუკვლევიათ უკრაინელ პიონერებს. ისინი ორებს ებრძვიან... წიგნისმოყვარულთა კონკურსებით და დისკუსიებით. თურმე ნუ იტყვი, ეს მეთოდი ძალზე კარგად მოქმედებს ზარმაცების თავმოყვარეობაზე, სტიმულს აძლევს მათ, აიძულებთ, უვიცობით შერცხვენას ბიბლიოთეკებში წიგნების კითხვით დააღწიონ თავი. ეს კი, სხვა რომ არაფერი, მათთვისდა შეუმჩნევლადაც უვიტარებით წიგნთან სისტემატური ურთიერთობის ჩვევას, შემდეგ კი მოთხოვნილებასა და ინტერესსაც.

დელეგატი! თუ არ ვცდები, შენ უბის წიგნაკში გამორჩეულად ჩაინიშნე მაგნიტოგორსკელი პიონერის ვიქტორ კარპოვის გამოსვლა. განსაკუთრებით იმან დაგაინტერესა, რომ თურმე ვიქტორისა და მისი ამხანაგების მიერ შეგროვილმა მაკულატურამ სამი დღის განმავლობაში ადგილობრივი გაზეთი „მაგნიტოგორსკი რაბოჩი“ ქალაქით უბრუნველყო. ის ბავშვური სიამაყეც ვენიშნა, რომლითაც ვიქტორმა განაცხადა, ჩვენი მოპოვებული ჯარითისაგან აგებული 10 ავტობუსი და 16 ტრამვაი უკვე ემსახურება მაგნიტოგორსკელებსო.

ნინის საქმის ვართ ერთგულები“ მარშრუტებსა და ოპერაციებში პიონერების მიერ გაწეული მუშაობა ძირითადად შეკრების სექციურ მექანიზმებზე შეჯამდა. „პიონერმშენი“, „თემურელები“, „ვარსკვლავი“, „ცოდნის სამყაროში“, „ძლიერნი, გამბედავნი, მარდნი“, „მშვენიერების სამყაროში“, „სსრკ ჩემი სამშობლო“, „მშვიდობა და სოლიდარობა“ — დიდი ასობით ეწერა ავტობუსებს, რომლებითაც პიონერები სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას, პიონერული სექციების მუშაობისათვის სპეციალურად გამოყოფილ მის პავილიონებს ესტუმრნენ.

ჩვენი რესპუბლიკის პიონერის ჩვიდმეტივე დელეგატი — საკავშირო შეკრებაზე შექმნილი მე-3 რაზმი ყველა ღონისძიებაში აქტიურად, შემოქმედებითად ჩააება: გორის მე-20 საშუალო სკოლის მეექვსეკლასელი ნინო პავლიაშვილი რაზმის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს, თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელი პაატა გოგეშვილი შეკრების შტაბში თავიანთ წარმომადგენლად გამოყვეს; მშვენივრად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას სოხუმის მე-5 საშუალო სკოლის მერვეკლასელმა მანანა სამუშიამ, რესპუბლიკის პიონერიისა და მისი დელეგაციის სახელით საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისადმი მიმართული მისი პა-



უჩვეულო, უფერო ყვავილები. უნდა გენახათო, როგორ დაინტერესდნენ ოქტომბრელები, როგორ მოუთმენლად ელოდნენ თავიანთი ყვავილების შეფერადებას, — იღიმება ფატიმა.

ქეთინო არახანია ოჩამჩირიდან ჩამოვიდა. ქალაქის მე-4 საშუალო სკოლაში, სადაც ის სწავლობს, უკვე შვიდი წელია, მოქმედებს ე. ტელმანის სახელობის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი. კონტაქტები მრავალფეროვანია — გდრ, ბულგარეთი, პოლონეთი, ჩვენი ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკები; პიონერები მარტო მიმოწერით როდი იფარგლებიან (მიმოწერის უკეთ ორგანიზებისათვის ისინი ახლა ბულგარულ და გერმანულ ენებს სწავლობენ), ამას წინათ, პოლონელ პიონერებს კითხვარები გაუგზავნეს. მათი პასუხები და სუვერინები სხვა მასალასთან ერთად, ახლა კლუბის საექსპოზიციო დარბაზს ამშვენებს.

ამ მოსალოცი დეპეშის მიღება ყველაზე მეტად ზუგდიდელ მამუკა ქვარცხავას გაეხარდა: „შეკრების ყველა დელეგატს მთელი გულით ეულოცავთ პიონერთა VIII საკავშირო შეკრების გახსნას. გპირდებით, რომ მუდამ ვიქნებით ილიჩის ანდერძის ერთგულნი, მტკიცედ ვივლით საკავშირო პიონერული მარშის მარშრუტებზე! — ზუგდიდის რაიონის ინგირის 1-ლი საშუალო სკოლის ზ. კოსმოდემიანსკაიას სახელობის პიონერული რაზმეული“.

ამგვარი დეპეშები საქართველოდან განსაკუთრებით ბევრი იყო. საქართველოს დელეგაციას შეკრების დაწყებას ულოცავდნენ თბილისის 116-ე საშუალო სკოლის მარჯვენაფლანგელი რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე მარინე ქაჩაია და ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის პიონერული შტაბი, ფოთის 1-ლი საშუალო სკოლის პ. პირტახიას სახელობის პიონერული რაზმეული და საგარეჯოს მე-2 საშუალო სკოლის პიონერები, საქართველოს პიონერთა XII რესპუბლიკური შეკრების დელეგატი, ბიჭვინთის საშუალო სკოლის მეხუთეკლასელი ნატო არაბიძე და იაგო ელერდაშვილის დედა... დეპეშებს თვლა არ ჰქონდა აჭარიდან, აფხაზეთიდან, გორიდან. გორელ პიონერს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შექმნილი რაზმეულის თავმჯდომარეს ნინო პავლიაშვილს საკავშირო შეკრებაში მონაწილეობა თავისი „ლაშქრის“ პიონერებმაც მიულოცეს და გორის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდე-

ლებმაც, პედაგოგებმაც, მეგობრებმაც...

დილიდან საღამომდე საქმეშია გაბმული ნინოს „ლაშქარი“. ეს ნორჩი თემურელები და ძერჟინსკელებიო, ეს რკინიგზელებიო, აგროვებენ ჯართსა და მაკულატურას, სამკურნალო მცენარეებს „მწვანე აფთიაქისათვის“; ებრძვიან „სარველას“ სოფელ ტინისხიდის საკოლმეურნეო მინდვრებზე, ჰერბარიუმებსაც ადგენენ; სწავლობენ თავიანთი ქუჩების ისტორიებს. უკვე ჩაატარეს კონკურსები „საუკეთესო შემთხვევა ჩემს ქუჩაზე“, „ვის მინდა დავემგვანო ჩემი ქუჩიდან“ და ა. შ. ერთი სიტყვით, საინტერესოდ, შემოქმედებითად მუშაობენ.

დელეგატებს შორის არიან თბილისის 166-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელი, წითელკვალმაძიებელთა საქალაქო შტაბის თავმჯდომარე მერაბ ჩიქობავა და ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის მარჯვენაფლანგელი რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე, მეშვიდეკლასელი გიგა ჩოგოვაძე, რუსთავის მე-18 საშუალო სკოლის მეხუთეკლასელი, ოქტომბრელთა ვარსკვლავის ხელმძღვანელი ნათია ნიკოლეიშვილი და გურჯაანის 1-ლი საშუალო სკოლის მეექვსეკლასელი, ბუნების ნორჩი მეგობარი ინგა ლაშქარაშვილი...

ისინი სხვადასხვანაირები არიან, სხვადასხვაა მათი პიონერული საქმიანობის პროფილიც, სხვადასხვაგვარი აქვთ გაქანება, უნარი და შემოქმედება. მაგრამ ყველანი ერთად ერთ საერთო საქმეს — პიონერული ორგანიზაციის სიმდიერეს ემსახურებიან, კომუნისტებსა და კომკავშირელებზე — ბამისა და ატომამაშის მშენებლებზე, შრომისა და სამამულო ომის გმირებზე, ჩვენს სახელოვან სტუდენტობაზე სწორდებიან და სწორედ ეს არის მთავარი, — მათი ზვალინდელი დღე, მიზანი, ამოცანა. თითოეულის ეს განწყობილება იქცა კიდევ იმ მისალმების საფუძვლად, რომელიც შეკრებამ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გაუგზავნა. ეს განწყობილება აისახა იმ მიმართვაშიც, რომლითაც შეკრებამ ჩვენი ქვეყნის პიონერიას მოუწოდა:

„წინ, პიონერული რაზმებო! სწორება მარჯვენაფლანგელებზე! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად ვიქნებით მზად!“

პიონერული შრომისა და სპორტის ხუთწლელი



ხუთწლელის დაპიჯა!
„თითოეულ პიონერულ რაზმს — დამკვირვებელსა და მამულს — თითოეულ პიონერს — პროფითი დაველაბა“.

შეკრების „შავი სავალი“

ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტ ფოლადს გამოაღებენ, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში. მისი წარმოება მომავალშიც გადიდება, ყოველი მეორე ტონა ფოლადი ლი-



თონის ნამსხვრევებისაგან გამოიღებენ; პიონერები მეტალურგების საიმედო თანაშემწენი არიან. მე-10 ხუთწლედში ნორჩმა ლენინელებმა შეაგროვეს 3 მილიონი ტონა ლითონის ნამსხვრევი.

მე-11 ხუთწლედში უნდა შეგრო-

**მხოლოდ
მუშაებს
და
გლეხებთან
საერთო
შრომაში
შეიძლება
გახდეთ
ნამდვილი
კომუნისტები**

3. ი. ლენინი

ვდეს 3,5 მილიონი ტონა ლითონის ნამსხვრევი, რომელიც დასავლეთ ციმბირის ურენგოის საბადოდან სსრ კავშირის ვერობის ცენტრალურ ნაწილამდე გამავალ გაზსადენის აღჭურვას მოხმარდება. ამ ოპერაციისათვის თითოეულმა პიონერმა ყოველწლიურად უნდა შეაგროვოს არანაკლებ 20 კილოგრამი ლითონის ნამსხვრევი.

**ოპერაცია
„მეზანე ავთიაჟი“**

ჩვენს ქვეყანაში ყოველი მესამე წამალი სამკურნალო მცენარეებისაგან მზადდება. 1 კგ სამკურნალო მცენარის ხმელი ფოთლისაგან ამზადებენ 1 ლიტრ თხევად ექსტრაქტს, რომელიც 30 ავადმყოფის სისხლის აღდგენას ხმარდება. 100 გრამი ხმელი შროშანისაგან შეიძლება დავამზადოთ ერთი ლიტრი ნაყენი გულით ავადმყოფი 40 ადამიანისათვის.



მე-10 ხუთწლედში მოსწავლეებმა 150 ათასი ტონა სამკურნალო მცენარე და ტყის ხილი შეაგროვეს.

მე-11 ხუთწლედში 175 ტონა უნდა შეაგროვონ.

პიონერო! შენი მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მიიღო სამკურნალო მცენარეების შეგროვებაში. საქართველოში ბევრი სამკურნალო მცენარე გადაშენების გზაზეა, დავი-რაზმით მათ გადასარჩენად, სკოლის ნაკვეთზე გავაშენოთ სამკურნალო მცენარეები!

**ოპერაცია
„თავთაჟი“**

ეს ოპერაცია ითვალისწინებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი დახმარებას — ჩაის



კრეფას, ბალ-ბოსტნების მოვლას, ვენახის მწვანე ოპერაციებისა და ყურძნის კრეფას. მასში შედის, აგრეთვე, ოპერაცია „სარეველა“.

**ოპერაცია
„ნოვოთი წიქარას“**

იგი მარტო პირუტყვისათვის საკვების დამზადებას როდი გულისხმობს. მასში ჩაბმულმა პიონერებმა უნდა იზრუნონ მეცხოველეობის განვითარებისათვის, შეფთობა



გაუწიონ ახალმოზარდეულს. აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკარმიდამო მეურნეობებში მეკურდღლეობის, მეფრინველეობის, მეღორეობის განვითარებაში.

**ჟაირათიანთა
ლაშქრობა**

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXVI ყრილობაზე თქვა: „ეკონომიკური პოლიტიკის ღერ-

ძი ხდება თითქოსდა მარტოველი ყოვლად ჩვეულებრივი სახე-ირათიანი დამოკიდებულება საზოგადოებრივი დოვლათისადმი“. ეს სიტყვები ნორჩ ლენინელებსაც ეხება.



პიონერებო! გავხდეთ ყაირათიანთა ლაშქრობის მონაწილენი, გავუფრთხილოდეთ სასკოლო ქონებას, ავეჯს, წიგნებს, სასწავლო სახელმძღვანელოებს, ყველაფერს, რაც კი ხალხის ხელით გაკეთებულა; თითოეულ სკოლაში უნდა მოქმედებდეს „პიონერული ფარანი“, ოპერაცია „იკოცხლე, წიგნო!“ დავეხმაროთ უფროსებს სასწავლო თვალსაჩინოების დამზადებაში, სასწავლო კაბინეტების აღჭურვაში, სკოლის შენობის რემონტში.

**ოპერაცია
„თეთრი ფარი“**

პიონერებისა და მოსწავლეების მიერ 6 წლის მანძილზე მილიონი ტონა მაკულატურა შეგროვდა. ამან გაჩეხვისაგან გადაარჩინა მილიონი ხე, მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 200 მილიონი კუბური მეტრი წყალი, ასიათასობით მუშის შრომა, რომელიც აუცილებე-



ლია ქალაქის მისაღებად. ამ 5 წელიწადში მეორე მილიონი ტონა მაკულატურა უნდა გადაეცეს სამშობლოს. ეს საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ქალაქის წარმოება ჩვენს ქვეყანაში. პიონერო! შენი მოვალეობაა წელიწადში სულ ცოტა 10 კილოგრამი მაკულატურა ჩააბარო.

მკერაშია „მოსხალი პირხლი“

ნორჩი ლენინელები ბევრ რამეს აკეთებენ თევზის მარაგის დასაცავად; გაბინძურებისაგან იცავენ ტბას, მდინარეს, საგუბარს; განადგურებისაგან გადაარჩენენ ლიფსიტებს, შეისწავლიან წყალსატევების ფლორასა და ფაუნას.

მე-11 ხუთწლედში თქვენი ამოცანაა დაეხმაროთ თევზის მრეწველობის მუშაკებს საგუბრებში თევზის მეურნეობის განვითარებაში. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ ძვირფასი ჯიშების თევზის



დაცვასა და გამრავლებას, იყავით „ცისფერი პატრულის“ აქტიური წევრები.

მკერაშია „მწვანე სამოსი საგუბრებს“

ტყის მასივებითა და მერქნის მარაგით ჩვენს სამშობლოს მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. ხის მერქნისაგან მზადდება 20 ათასი სახის ნედლეული, ქიმიური პროდუქციის ნაწარმი. ხის დარგვა, განსაკუთრებით მისი გახარება, პიონერთა უპირველესი მოვალეობაა.




ბევრ ქალაქსა და სოფელში შრილებს სამშობლოს დამცველთა პატივსაცემად გაშენებული პიონერული ხეივნები, წარმატებით მოქმედებს სასკოლო სატყეოები.


პიონერო! შენი ამოცანაა წელიწადში ერთი ხე დარგა და გაახარო.

მკერაშია „შუქურა“

გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციისა და საქმთავარენერგოს მიერ გამოცხადებული პიონერმშენის ოპე-



რაციის — „შუქურას“ მიზანია პიონერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახალხო მოძრაობაში, რომელიც გაშლილია ჩვენს ქვეყანაში ელექტროენერჯისა და სათბობის მომჭირნეობით ხარჯვისათვის; რაზემულებში იქმნება ოპერაციის საგუშაგოები. საგუშაგოები აწყობენ რეიდებს პიონერული მოქმედების ზონაში, ავლენენ ელექტრული ენერჯისა და სათბობის უყარათო ხმარების შემთხვევებს, იღებენ ზომებს დარღვევის აღსაკვეცად. აცნობებენ შესაბამის ორგანიზაციებს, იბრძვიან, რომ რაზემულის ყოველი პიონერი იყოს ელექტრული ენერჯისა და სათბობის მომჭირნეობით ხმარების თაოსანი, მეთვალყურე, მებრძოლი.



სიკა ქიხიაშვილის „სუნიხე“

როცა ჩურჩხელას ვყიდულობ, რალაცნაირად ვდიდგულობ; გამახსენდება დიდგორი, კრწანისი, ერწო, მარაბდა... ომში წასული ბიჭები, საგზალი ჰაიჰარადა. თურმე მიჰქონდათ უთქმელად ტკბილი კახური ჩურჩხელა — ჩვენი მინის, ჩვენი ვაზის, ჩვენი გარჯის ნაყოფი, გულის ჯიბით სატარები, სადილ-ვახშმად სამყოფი. ოხვრით, ცრემლით, დადაგვითა, უტკბილესი ბადაგითა, შილდაში თუ შიბლიანში. მარტყოფსა თუ ანაგას დედა, ცოლი უმზადებდათ საგზლადა და მარაგად იმ ჩურჩხელას გასაოცარს სხვა საჭმელს რომ არა ჰგავს — გულის ჯიბით სატარებს. სადილ-ვახშმად სამყოფს. ჩვენი მინის, ჩვენი ვაზის, ჩვენი გარჯის ნაყოფს. როცა ჩურჩხელას ვყიდულობ, რალაცნაირად ვდიდგულობ; გამახსენდება კიევი, სევასტოპოლი, ქერჩი, გადამტვრეული ჩურჩხელა თანამებრძოლის ხელში. თეთრი ფიფქით დაფარული, ტკბილად დამაყრებელი ჩურჩხელები ჩვენებური, ჩურჩხელები ქებული. სანგრებშიაც რომ ჩაჰქონდა მშობელ დედის სითბო. ცხრა ძმას ედო ხელისგულზე სანუკვარი ხვითო. ცეცხლი, ცეცხლი მძვინვარებდა. ალი სცემდა ცამდე და ჩურჩხელას ის ბიჭები მზის კვერივით ჭამდნენ — გულის ჯიბით სატარებს, სადილ-ვახშმად სამყოფს, ჩვენი გარჯის, ჩვენი ვაზის, ქართულ ვაზის ნაყოფს. ბავშვობაში, დიდობაში ხშირად მომნატრებია; თახჩაში თუ კიდობანში გვიმალავდა ბებია. ნალოშიაც მომინახავს საგანგებო მარაგი. გოგიტებო, ქიტესებო, იქნებ თქვენც იპარავდით?.. ტკბილი იყო, ტკბილად მახსოვს, ტკბილად დამრჩა მარადის — გულის ჯიბით სატარები, სადილ-ვახშმად სამყოფი, ჩვენი ვაზის, ჩვენი გარჯის საოცარი ნაყოფი.

შიცე, სუშოპლო,

პიონერული ხალხობი!

ნანა ზაქალიანი

ეობელძეანელი: ზოგჯერ მიკვირს კიდევ, რა დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობენ ჩვენი პიონერები ამ თეატრალურ სპექტაკლში. დღესთვის შეგროვდა 5 ტონაზე მეტი ჯართი. საბოლოოდ ჯერ არ არის შეჯამებული ჯართის რაოდენობა. მარტო სულემან სულეიმანოვი შეაგროვა 350 კილოგრამი, აშრაფ ახმედოვი კი — 200 კილოგრამი.

მანანა ჭილაძე, გორის პირველი საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე: ჩემი რაზმი ბორის ძნელაძის სახელობისაა. მონდომებითა და ხალისით ვმუშაობთ. გვეამაყება რომ საქართველოს პიონერული ორგანიზაციის ფუძემდებლის სახელს ვატარებთ. შევაგროვეთ 24 ტონა ჯართი. ჩემი რაზმისა და რაზმეულის სახელით პირობას გაძლევთ: კვლავაც ხალისითა და მონდომებით მივიღებთ მონაწილეობას პიონერულ აქციებში და ჩვენს პატარა წელიწადს უფროსების შევიტანთ ქვეყნის კეთილდღეობის საქმეში.

თამილა მაზნაშვილი, გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი: მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს ხელმძღვანელობას, რომ დღევანდელი ზემის მონაწილენი ვართ, ვიმყოფებით იმ ადამიანთა გვერდით, რომელთა დევნიბა: „არც ერთი ჩამორჩენილი და უღისციპლი-ნო ჩვენს გვერდით!“ — შევაგროვეთ 24 ტონა ჯართი, 6 ტონა მაკულატურა, 42 ტონა თუთისა და ლელვის ფოთოლი. სკოლაში მოვიწყვიეთ მეფოლადები: ომარ წითლიძე და ოთარ ლომიძე. კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი მეგობრობა. გასაკეთებელი კიდევ ბევრია. ენერჯისა და მონდომებას არ დავიშურებთ, რათა ღირსეულად შევასრულოთ სკკპ და საქართველოს კპ XXVI ყრილობათა გადაწყვეტილებები.

ირმა ქიმაძე, ადიგენის რაიონის ბოლჯუხის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე: სიამაყის გრძობა გვეუფლება, რომ ვმონაწილეობთ ამ დიდ ფორუმში. შევაგროვეთ 5,4 ტონა ჯართი.

გაზაფხულია. გაზაფხული — ყველაზე ლამაზი და წარმტაცი დრო საქართველოში. მწვანე ფოთლებით შემოსილან ხეები, თვალს ჭრის ხასხასა ბალახი, ყვავილების სურნელებას აუვსია ჰაერი. მაისია... მაგრამ ამ დღეს, 16 მაისს, გაზაფხულს თითქოს დაავიწყდა, რომ იგი სიბოხსა და სიხარულის მომტანია... მზეც ვერ იმეტებს სხივებს, ღრუბლებში იმალება. ქრის გამკოლი ქარი...

მიუხედავად ასეთი ამინდისა, ქართველ მეტალურგთა ქალაქ რუსთავეში არანახული გამოცოცხლება და საზეიმო განწყობილება სუფევს. აქ ხომ ყოველწლიურად იმართება ოპერაცია „შავ საბადოში“ გამარჯვებული პიონერული რაზმების წარმომადგენელთა შეკრება... 1981 წლის 16 მაისს პიონერულ დნობაში „პიონერული ავტოკოლონა — სამშობლოს“, რომელიც საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავს მიეძღვნა, გამარჯვებულ რაზმთა და რაზმეულთა 150 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

საზეიმო მიტინგის გახსნამდე ვესაუბრეთ დნობის რამდენიმე მონაწილეს.

თამარ მუმლაძე, ქ. ჭიათურის პირველი საშუალო სკოლის № 2 რაზმის საბჭოს თავმჯდომარე: — როცა ჩვენმა უფროსმა მეგობრებმა, კომკავშირელებმა წამოიწყეს ახალი ინიციატივა — „სკკპ XXVI ყრილობას — 26 ტონა ჯართი“, ჩვენ უმალ გამოვეხმაურეთ მათ თაოსნობას. აქტიური მონაწილეობა მივიღეთ საკავშირო და რესპუბლიკურ აქციებში: „პიონერული ხიდები — ბაძს“, „შავი საბადო“. შევაგროვეთ 33 ტონა ჯართი, რისთვისაც დაგვაჩილდოვეს საქართველოს კომკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის სიგელით, ხოლო პიონერებს — გ. გურულს, გ. ნოზაძეს, კ. კვანტიძეს, კ. ჩაჩანიძეს გადაეცათ სამკერდე ნიშნები „მილიონი სამშობლოს“.

მზია ძაგნიძე, ქ. ბათუმის ე. ნინოშვილის სახელობის მე-14 საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი: საკავშირო პიონერული მარშის მარშრუტების მიხედვით ნაკისრ

ვალდებულებათა შესრულება ყველა ჩვენთაგანს უდიდეს კმაყოფილებას გვანიჭებს. რადგან იგი ბეჯითი სწავლის, გამარჯვებული შრომის ნათელი დადასტურებაა. ჩვენი სკოლის პიონერებმა შეაგროვეს 21 ტონა ჯართი. მწამს, რომ იგი სამშობლოს ფოლადს შეუერთდება და ქვეყნის ძლიერების, საბჭოთა ადამიანების სიკეთის წყაროდ გადაიქცევა.

ვეფხია ნაჭვები, სოხუმის რაიონის იაშთხვის 1-ლი საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე: უკვე მეორედ ვმონაწილეობ „პიონერულ დნობაში“. ჩვენ ჩავაბარეთ 9 ტონა ჯართი, შევადგინეთ ფოტოალბომი. პიონერები დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობდნენ ოპერაციაში. შეგვიულის ვაზეთი „პიონერის ხმა“. საქართველოს კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა მე და ნოე ჯოჯუა დაგვაჩილდოვა სიგელებით და სამახსოვრო საჩუქრებით (საათებით).

მარი ხმიადაშვილი, ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე: წელს პირველად ვმონაწილეობდი ამ პიონერულ ოპერაციაში. შევაგროვეთ 13 ტონა ჯართი. ერთობლივმა მიზანმა და საქმიანობამ კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი მეგობრობა. ურთიერთპატივისცემა, სიყვარული. პიონერებმა გაიხარეს, როდესაც პაატა გიუნაშვილი, რომელმაც სამი ტონა ჯართი შეაგროვა, დაჩილდოვდა ფოტოაპარატით. კვლავაც დიდი სიხარულით და მონდომებით მივიღებთ მონაწილეობას მომავალ პიონერულ ოპერაციებში.

თახარ მირზაყვი, დმანისის რაიონის იაკუბლოს საშუალო სკოლის პიონ-

ბესიკ ტოგონიძე, რუსთავის პიონერთა სააქალაქო შტაბის წევრი: გვეამაყება, რომ დღეს ვმასპინძლობთ ამ ღირსშესანიშნავ ღონისძიებას. რუსთაველი პიონერები აქტიურად ემონაწილეობთ საკავშირო ოპერაციაში „შავი საბადო“, რომელიც მიმდინარეობს დევიზით: „პიონერული ავტოკოლონა — სამშობლოს“. ჩვენი ქალაქის პიონერებმა შეგვაროვეთ 215 ტონა ჯართი, რაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ მე-11, მე-15, მე-16, მე-17, მე-19, 21-ე სკოლები. რუსთაველი პიონერების სახელით დღევანდელი შეკრების მონაწილეებს მიიღა აღვუთქვა, რომ ყველგან და ყოველთვის მხარს ვუჭნობთ კომუნისტებს.

ისმის საზეიმო მარშის ხმა. პიონერული დნობის მონაწილენი მწყობრივ ნაბიჯით შემოდინან ლენინის მოედანზე. ფრიალებს ალისფერი დროშები, თვალს ახარებენ ღამაზად გამოწყობილი გოგონები და ბიჭუნები.

ამაღლეებლად ქედრს პ. ჩაიკოვსკის პირველი საფორტეპიანო კონცერტის აკორდები. პიონერები გვირგვინებით ამკობენ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის—კ. ი. ლენინის მეგლს. იწყება საზეიმო მიტინგი. კომკავშირის რუსთავის სააქალაქო კომიტეტის მდივანს ამხანავ ლეილა აფციანურს პატაკს აბარებს საზეიმო ხაზის მორიგე ხატუნა კლდიაშვილი. ლეილა აფციანურმა მიულოცა მონაწილეებს დიდი გამარჯვება — 4895 ტონა ჯართის შეგროვება და უსურვა ჯანმრთელობა, სიხარული. წარმატებები სწავლასა და შრომაში.

მიტინგს პატაკი ჩააბარეს ქალაქ კუთხურის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლე თამარ მუხლაძემ, ხაშურის მე-5 საშუალო სკოლის მოსწავლე მამუკა ქალიაშვილმა, გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლის უფროსმა პიონერ-ხელმძღვანელმა თამილა მაზანაშვილმა, რუსთავის პიონერთა სააქალაქო შტაბის წევრმა ბესიკ ტოგონიძემ და ბოლოს, მოწინავე მეფოლადემ

ანზორ ბურჯანაძემ დნობაზე მიიწვია ზეიმის მონაწილენი.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა... გუგუნებენ მარტენის საამქროს ლუმელები. ბავშვები გაფაციცებით ადევნებენ თვალს სამუშაო პროცესის ყველა ოპერაციას. დღეს პიონერულ დნობას ხელმძღვანელობს პიონერების მეგობარი, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მეფოლადე უშანგი ივანიაშვილი.

მოსწავლეები განაბულან. სურთ მეხსიერებაში ჩაიბეჭდონ ეს მომენტი... და აი, მოდის 1000 ტონა ლითონის ლავა.

პიონერული დნობის მონაწილენი სამახსოვრო პიონერული ნაღობის ნამსხვრევებით დააჩილოდოვეს. უშანგი ივანიაშვილს გარს შემოეხვივნენ პიონერები. ათას შეკითხვას აძლევენ, სამახსოვრო სურათებს იღებენ მასთან ერთად...

დიღხანს ემახსოვრებათ, ალბათ არასოდეს დაავიწყდებთ ზეიმის მონაწილეებს ეს დღე.



გუგუნავენ
მარტენის
ლუმელები.
მიმდინარეობს
პიონერული
ღონა.



გამოძახილი

ჯანრი მოგაგვილი

მხატვარი

ზაურ დინსაძე

გოთხროზა

ბიჭებთან ერთად მივუახლოვდი სტენდს და მის მარჯვენა მხარეს მოთავსებულ ახალგაზრდა, თითქმის უწვერულვამო ვაჟების სურათებს მივაჩერდი. მათი სურათები აღრეც მენახა — ვარლამ ბაბუას სახლის წინა ოთახში ეკიდა კედელზე, წაბლისფერ, უბრალო ჩარჩოებში ჩასმული.

- აი, ესაა ამირან ბიძია.
- არა, ესაა.
- ამან წაუქიდა ხიდს ცეცხლი.
- არა, ამან!

— ამან-მეთქი, მეთაური ეს იყო, — ერთბაშად ახმაურდნენ გარშემო.

— ხვალ ყვავილებით მოვრთავთ აქაურობას, — განაცხადა იქვე მდგომმა მედეამ, — მოდით, სულ ვარდებით მოვრთოთ. ყველამ მოიტანეთ, იცოდეთ, თქვენც, ბიჭებო. მერე არ თქვათ, დაგვაღიწყდაო.

მედვას მბრძანებლურმა კილომ ბიჭები გაგვადიზიანა.

— მოდით, ბიჭებო, მაგათ ჩვენ დავასწროთ, — ავდგეთ ალიონზე და... წითელი ვარდების მეტი რა მაქვს ბალჩაში. — ვთქვი მე.

— მეც მაქვს, მეც! — უმაღლესი დამიჭირა მხარი ზურამ. — ოღონდ ჩუმად, გოგონებმა არ გაგვიგონ.

— მეც მაქვს, — ახლოს მოიწია გელა.
— ჰო, ჰო, როგორ დააჭყეტენ თვალებს, — შევბოვიერტოდა მამიაც.

მაღე, როგორც კი სტენდს მოვცილდით და სახლები-საკენ გავუყევით გზას, ჩვენი კლასის ათივე ბიჭმა დავიწყეთ თათბირი, თუ როგორ აჯობებდა დილა-ადრიან გვემოქმედნა, რომ ჩვენი ჩანაფიქრი დროზე აღრე არ გამოქვავდებულყო.

— ნაღდი გამომგონებელი ხარ, ნაღდი! — მხიარულად მეუბნებოდნენ ამხანაგები და მხარზე ხელს მიტყაპუნებდნენ.

გამომგონებელს ვარლამ ბაბუა მეძახდა. ხანდახან, როცა ჩემი შექება უნდოდა, ასეც მეტყუოდა ხოლმე: „ეეჰ, მჭ მართლა გლენჯაკის სიკეთის გამომგონებელიო...“

საქმე ის იყო, რომ ერთხელ ვარლამ ბაბუამ მკითხა:
— რა პროფესიის კაცი გინდა გამოხვიდე, გური, ბაბუ?
— ინჟინერ-გამომგონებელი, — უყოყმანოდ გამოვეუტყდი.

— გამომგონებელი... რის გამომგონებას აპირებ?! — ცოტა არ იყოს გაკვირვებით შემათვალისერა.

— რის და ხელ-ფეხიანი მანქანების, რომოტებს რომ ეძახიან... ყველა სამუშაოს ადამიანივით შეასრულებენ. მოთოხნიან, დაბარავენ...

— აბა მე რას ვიზამ?! — ჩამეკითხა სახემღმარი.
— შენ იჯდები და ღილაკზე დააჭერ თითს, — გავუთამამდი.

— ღილაკზე? — ჩაიცინა მან. — არაა გლახა საქმე, მარა, როგორ ფიქრობ მასეთი ხელ-ფეხიანების გამოგონებას?

უხერხულად შევიშმუშნე.

ბევრჯერ მიოცნებია იმ ყოვლისშემძლე რომოტზე, მაგრამ როგორ უნდა შემექმნა ისინი, რა თქმა უნდა, არ ვიცოდი. სამაგიეროდ, ერთი რამ აშკარა იყო ჩემთვის — სწავლა მჭირდებოდა, რომ ინჟინერ-გამომგონებელი გავმხდარიყავი. ასეც ვუთხარი და ავუხსენი ჩემს უფროს მეგობარს.

— ეს კარგია, ბაბუ, ძალიან კარგი, ყველაფრის გაკეთება ფიქრით და ოცნებით იწყება, ოღონდ... — თითებით ნიკაპი მოისრისა. — იცი შენ, რა არის გლენჯისათვის თოხი და ბარი? — ალერსიანად ჩამეკითხა, პასუხს არ დაუცადა, ისე განაგრძო: თოხი და ბარი, ბაბუ, როგორ ავიხსნა... — წამით ჩაფიქრდა, შემდეგ უცებ მარცხენა მკლავი გაშალა, ზედ მარჯვენა ხელი აატარა-ჩამოატარა, — თფუ, დამავიწყდა, რა ქვია, გური, იმ საკრავს, საათობით რომ უსვამს და ვერ გადაუხერხია კაძახს?

— ჭიანჭური! — შევძახე.

— ჰო, ჭიანჭური, — ხელები ჩამოსწია, — ისაა მუშა კაცისათვის თოხი და ბარი.

გამეცინა.

— რას იკრიჭები. რავა ფიქრობ, მე რომ თოხს მოვუხვამ, მოგქაჩავ და ჩუჩუნით რომ მოიფურეშება მიწა, იმ ჭიანჭურის დამკვრელზე ნაკლებ სიამოვნებას გვრძნობ? ჩემი თოხი მუხეუმში რომ ჩამოკიდო, მეორე დღესვე მოვიპარავ. — გაიღიმა და დასძინა: — „ისე, ბაბუ,



არ გადაიფიქრო იმ ხელ-ფეხიანი რკინის ხალხის გამო-
გონება. არ გადაიფიქრებ ხომ? — სიყვარულით მოძა-
ჩერდა.

— არა, — მტკიცედ შევპირდი და სახემომღიობარმა
მზერა გავუსწორო.

ის იყო, ბიჭები გზატყეცილის მოსახვევთან ერთმან-
ეთს უნდა დაეშორებოდით, რომ ცხენზე ამხედრებული
თავმჯდომარის ომახიანმა შეძახილმა შეგვაჩერა.

— გამარჯობათ, ვარლამის არწივებო! — გულიად
მოგვესალმა იგი და გვახარა: — ხვალ შრომადღებზე
ფულს არიგებენ, ხუთ საათზე მობრძანდით კანტორაში
და მიითვალეთ თქვენი ნაოფლარი.

— ვაშაა!!! — ერთად შევძახეთ და მისკენ გავიქეც-
ით.

— რამდენ-რამდენი გვიწევს? — დინჯად იკითხა გიამ.

— ნუ გეშინიათ, თქვენ რომ ფიქრობთ, იმ საქმეზე თავ-
საყრელად გეყოფათ. აბა, ხვალ ყველანი კანტორაში! არ
დაიგვიანოთ! — გავგაფრთხილა თავმჯდომარემ და ცხე-
ნი გააჩქარა.

— მოვალთ, აბა რას ვიზამთ! — წამოიძახა მამიამ და
სახეგაბრწყინებულმა გვითხრა: — მე ახლა გავიქეცივი და
დათიკო ნოქარს ვეტყვი, ხვალისათვის აუცილებლად გაა-
მზადოს ველოსიპედები. — მერე შებრუნდა და თავდაუ-
ზოგავად მოუსვა.

შინ წასვლის ნაცვლად ჩვენც მალაზიისაკენ გავე-
შურეთ.

მალაზიის კართან ხელებგაშლილი დათიკო შემოგვეგე-
ბა. გამხდარი, ჩამოგრძელებული პირისახე ერთიანად
უცინოდა.

— მობრძანდით, მობრძანდით, ოღონდ უკანა მხრიდან
მოდით, ველოსიპედები საწყობში მაქვს გასუფთავებულ-
გაკრიალებულები, ახლავე გამოვიტან. აბა, ფული მაჩვენ-
ეთ... — თვალები მოწყურა.

— ჭერ ველოსიპედები მოგვითვალე, — შეეპასუხა
მამია.

— ოო, რა ხარ! მიდით, მიდით! — ხელი ჩაიქნია დათი-
კომ, — ოღონდ ნელა, რაიმე არ გააფუჭოთ. რა ამბავია,
ბთელი სკოლა წამოდით?

ჩოჩქოლით გავქანდით მალაზიის შენობის უკანა მხარი-
საკენ.

დათიკომ ველოსიპედები საწყობიდან გამოიტანა და
კედელზე მიაყუდა.

— ნახეთ, რაფერ კიანთობს! — ნაჭერი გადაუსვა ერთ-
ერთ ველოსიპედს და გარშემორტყმულთ შემოგვეყვირა:
— ნელა, ნელა, არ გადამქელოთ! — მერე მბრძანებლური
კილოთი უთხრა მამიას: — აბა, ფული მაჩვენეთ!

— მოიცა! — ხელი წამოსწია მამიამ, — დასაბერი
სადა აქვს აგენს?! — დაეჭვებით შეხედა.

— დასაბერი არც ერთს არ ჰქონია, მაგრამ არა უშავს,
ვინმეს გამოართმევთ, დასაბერის მეტი რა იშოვება, —
დაგვაიმედა ვითომ.

— ექნებოდათ. მე ამ მარკის ველოსიპედის ასევე
დასაბერი ზეპირად ვიცი, — გადაჭრით უთხრა
და ჩიტურ შეხედა.

— აა, ბიჭო, არ ჰქონია-თქვა, — ხელები გაშალა და-
თიკომ.

— შენ თუ გვადღევ, მოგვეცი, თორემ წავალთ და სხვა-
გან ვიყიდით, — სრულებით არ აპირებდა მამია დათმო-
ბას.

— სხვაგან სად წახვალთ?! ეს ველოსიპედები ძლივს
ჩამოვატანინე თქვენი ხათრით.

— წავალთ და ვიშოვნით კიდევ, — გვერდზე გადა-
მაშია.

— რა დაუჭერებელი ხარ! — ვითომდა იწყინა ნოქარმა.

— თუ დასაბერი არ გვექნა, რად გვინდა! — შესძახა
ზურამ.

სხვებიც აბუზლუნდნენ.

— კაცობას ვფიცავ, არ მოჰყოლია, — ცხვირი მოი-
ფხანა დათიკომ. — მაგრამ თქვენ მაინც არ გაგაწბილებთ,
ძველი პარტიიდან მაქვს გადაჩენილი და... მოტყდა ბო-
ლოს, უგემურად გავგიღიმა, შებრუნდა და შენობაში შე-
ვიდა.

— ვის მოტყუებთ ფიქრობს, მე ამ ველოსიპედს მღუ-
ღარეში ჩაგდებულს ვიცნობ, ათასი ყურნალი მაქვს გადა-
თვალეირებული, — თავმომწონედ თქვა მამიამ. მერე
ველოსიპედის უნაგირს ხელი დაჰკრა და შესძახა: ხვა-
ლიდან ჩვენი საკუთრება გახდება!

— აჰა, — კარებში გამოჩნდა დათიკო, ხელში ორი და-
საბერი ეკავა; რომლებიც მამიას გაუწოდა, თან თვალი
მოგვეავლო და ხაზგასმით გვითხრა: — ჩემს პირად ჯიბეს
ვაკლებ, იცოდეთ!

— დანარჩენი? — მშვიდად ჰკითხა მამიამ, დასაბერის
გამორთმევა არც კი უფიქრია.

— უყურე ამას! — გაბრაზდა ნოქარი.

— ხვალისთვის ყველაფერი წესრიგში გქონდეს, მო-
ვალთ, ვნახავთ! — მამიამ თვალი ჩაგვიკრა და დინჯად
გააბიჯა.

— რას შევებით, სად მიდიხართ?! — ხმალივით შეათა-
მაშა ნოქარმა ხელში დასაბერი. — უყურეთ ერთი, მაგ
მართლა არტისტს! უყურეთ ერთი, მაგ მართლა არტისტს!

— იმეორებდა გაგულისებულნი.

სიბნელე ოდნავ გაეცრიცა სინათლეს. თავდახრილი მიე-
რბოდი. მკერდზე მიკრული თაიგულის სურნელებასთან
ერთად გრილ სისველესაც ვგრძნობდი.

შინმოუსვლელთა სტენდთან ზურა და გია დამხვდნენ.

— ბიჭოს, შენ აღარ ხუმრობ... — შემაგება ზურამ და
თაიგული თითქმის ამაგლიჯა მკერდიდან. — ჩვენც მოვი-
ტანეთ, ოღონდ ცოტაა, — სტენდთან დადებული წითელი
ვარდების ორი პაწია კონისაკენ მიბრუნდა იგი.

— სხვა ყვავილებიც უნდა მოგვეტანა, — ჩაილაპარაკა
გიამ.

— გვეყოფა, — დავაიმედე მე, — კიდევ შვიდი კაცია
მოსასვლელი.



— კი, კაცო, გოგოებს ყვავილების დასადები ადგილიც არ დარჩებათ, — კვერი დამიკრა ზურამ. — პირდაპირ მიწაზე დავალავთ თუ?..

— სტენდი უნდა მოვრთოთ, ყველას სურათთან მივამაგროთ თითო ვარდი, — თქვა ვიამ.

— ჰო, ასე გავაკეთოთ, — დავუმატე მე. — ოღონდ ამირან და ბადრი ბიძიების სურათები განსაკუთრებით მოვრთოთ.

— აბა, დავიწყოთ, — თაიგულიდან ვარდის ამოძრობა დააპირა ზურამ.

— მოიცა, ბიჭები მოვლენ, გვეცოდინება, რამდენი ვარდი გვაქვს, მერე უფრო სწრაფად გავანაწილებთ, — შეაჩერა ვიამ.

გზატკეცილიდან ვილაცის ფეხის ხმა მოისმა.

— ეე, მამია მორბის მგონი! — შესძახა იქით მიბრუნებულმა ზურამ.

მამია მართლაც მალე გამოჩნდა. მორბოდა. ხელში დაკავებულ ვარდებს დაუდევრად იქნედა აქეთ-იქით.

— მოსაკლავად მოსდევს ვინმე, თუ რა ჭირს? — გამეცინა მე.

მამიას არც ჩვენთან მოახლოებისას შეუწყნებელია სირბილი.

— ვარლამ ბაბუა მოდის! — ხმადახლა შემოგვძახა მან და სტენდის უკანა მხარეს მოეთარა.

ჩვენდა უნებურად დავფრთხით. მე სტენდთან დავდგე. ლი თაიგულები ავიტაცე და სამივენი მივხვედით მამია სულს ძლივს ითქვამდა.

— ახლა გამოვიდა მოსახვევიდან, მგონი აქეთ მოდის. ოთხივე გავირინდეთ და სმენალ ვიქეციოთ.

მძიმე ნაბიჯების ხმა თანდათან ახლოვდებოდა. მერე უცებ შეწყდა. ეტყობოდა, ვარლამ ბაბუა სტენდის წინ შედგა.

— ეეხ, შვილებო... — მძიმედ ამოიოხრა და სევდიანად გააგრძელა: — აბა ორმოცდაორში დაიღუპეთ, ბიჭებო? მე კი ცოცხლები მეგულებოდით, ცოცხლები... დედა-სქვენიც ასე ფიქრობდა... ველარ გავუძელი და წამოვედი, ველარ იჯერა ტირილით გული... თქვენი სურათებით მთელი სახლია მოფენილი, მაგრამ მაინც აქეთ გამომიწია გულმა, აქ ცოცხლებივეთ მეგულებით, სოფლის შუაგულში ხართ და ხალხში ტრიალებთ მგონია, — ვარლამ ბაბუა წუთით შეჩერდა, ჩვენ კი ერთმანეთს შემცბარი სახეებით მივაჩერდით. — ბავშვები გადაარჩინესო, თვითონ ბავშვები იყავით ჯერ კიდევ, — ისევ იმ სევდანარევი ხმით ალაპარაკდა იგი. — აქამდე ცოცხლები გვეგონეთ. ცნობა კი მივიღეთ, ორმოცდასამში, უგზო-უკვლოდ დაიკარგნენო... ნუ მიწყენთ, ბიჭებო, და, რაც დრო გადიოდა, თქვენი უგზო-უკვლოდ დაკარგვა... ნუ მიწყენთ და ავმა აზრმა გამკრა თავში: ჩემი ბიჭები სადმე ხომ არ შერცხვნენ, ხომ არ შეშინდნენ-მეთქი. თუმცა კი ვიცოდი, რა ბიჭებიც დავზარდეთ, მაგრამ წამში ისეთი ვაჟკაცი წახდება... თქვენ კი არ წამხდარხართ, ჩემო ვაჟკაცებო, და ასობით ბავშვის სიცოცხლე იხსენით. იმ უკრაინელ ბავშვებს მოუმართოს ღმერთმა ხელი, უგზო-უკვლოდ რომ არ დამიკარგეს თქვენი თავი. იმათ ვენაცვალე, იმათ... — ვარლამ ბაბუა შეჩერდა, — ვილაც მოდის მგონია, წავალ, არ მინდა ვინმემ შემეცოდოს, რა მაქვს შესაცოდებელი თქვენისთანა ბიჭების მამას, — ბოლოს ძლივსდა მოაღწია ჩვენამდე შისმა ნათქვამმა.

მერე კარგა ხანს გვესმოდა მისი ნაბიჯების ხმა.

— კიდევ კარგი, რომ არ დავგინახა, — წაიჩურჩულა მამიამ და ღრმად ჩაისუნთქა.

— ალბათ ბიჭები მოდიან, — ვთქვი მე. გული ძალუძმად მიძგერდა.

უცვე გარკვევით ისმოდა მომავალი ბიჭების ლაპარაკი. გამოვედით სამალავიდან.

ვარლამ ბაბუა გზატკეცილზე არ ჩანდა, ალბათ ორღობეში ჩაუხვია.

— ხომ მოისმინეთ, რა ილაპარაკა, რა გულის პატრონია, ხედავთ? — თავი გადააქნია მამიამ.

— აბა! ისე, ამ ამბავზე ხმას არ იღებს და... — ჩაილაპარაკა ზურამ.

ხმაურით შევესიეთ სტენდს.

ცოტა ხნის შემდეგ გზის ნათურები ჩაქრა. დღის სინათლემ იმძლავრა. ჩვენ ვჩქარობდით, თან ვლაპარაკობდით ომში დაღუპულ მეომრებზე. ვიხსენებდით, ვინ ვისი ბიძა ან სხვა ნათესავი იყო; ვინ სად იბრძოდა; ვინ რა გმირობა ჩაედინა. ჩვენდა უნებურად ყველა იმას ვცდილობდით, რაც შეიძლება მეტი გველაპარაკა მათზე და ხანდახან ჩვე-

ნი გულუბრყვილო ფანტაზიის ნაყოფსაც სინამდვილედ ვასაღებდით.

მერე ვილაცამ ველოსიპედი ახსენა და საუბრის თემამაც იცვალა გეზი.

— დღეს ველოსიპედებს მოვაჯდებით, დათიკო კიდევ ვნახე გუშინ. დასაბერებს მისი ხელით მიამაგრებს ველოსიპედებზე! — თავმომწონედ განაცხადა მამიამ.

მოულოდნელად საიდანაც გოგოები წამოგვეპარნენ. ყვავილები თითქოსდა დასაშინებლად მოგვიშვირეს და სტენდს ურიაშულით შემოესივნენ.

მაღე სტენდი ვარდების უზარმაზარ თაიგულს დაემსგავსა.

კოლმეურნეობის კანტორის დერეფანში, სალაროსთან ბლომად მოეყარა ხალხს თავი. მათთან ერთად რიგში გაბაწრულებს ერთი სული გვექონდა როდის მივალწვევდით სალაროს სარკმელამდე, საიდანაც მოლარე ქალი უწყისის მიხედვით იძახდა გვარებს.

— გოგუაძე მამია! — გაისმა მოლარის ხმა.

მამია უკვე სარკმელთან იდგა.

— გოგუაძე მამია, ოცდაშვიდი მანეთი და ოცდაათი კაპიკი. ა, მოაწერე ხელი, — უთხრა მოლარემ.

— რაზე ასე ცოტა? ჩვენ...

— რა თქვენ... დანარჩენი სიმინდის დაგეჭვიათ.

— სიმინდი რა ჭირად გვინდა...

— ეს ადრე უნდა გეთქვათ.

— ახლა გვიანაა, თუ?

— გვიანაა, ყველაფერი დაანგარიშებულია. მოაწერე ხელი!

— სიმინდი ვინ ითხოვა?!

— სიმინდში ვინ მოგვემს ველოსიპედს?

— ამისათვის ვიმუშავებთ? — ავლაპარაკდით მამიას რგოლის წევრები.

— ვარლამის არწივებო, ნუ ჩხუბობთ, — გვითხრა გიორგი ბიძიამ, ბრიგადირმა, — სიმინდს იწუნებთ? მკვადით ვართ ჩვენ გაზრდილები.

მამია მოლრუბლული სახით მოშორდა სალაროს.

— ფირცხალიშვილი ვარლამ! — მშვიდად თქვა მოლარემ.

— ეეჰ, ამის თავი აქვს ახლა?

— მერე მოვა ალბათ.

— სიმინდის კალოზე იყო მგონი, — გაისმა აქა-იქ პასუხად.

— ფირცხალიშვილი გური!

თითქოს გულის ძგერა შემიჩერდა.

თრთოლვით მივადექი პატარა სარკმელს.

— მოაწერე ხელი, ოცდაშვიდი მანეთი და სამოცი კაპიკი. შენც არ გინდოდა სიმინდი, არა? რას იზამ... — ქალმა უწყისი ჩემსკენ შემოაბრუნა.

ფრთხილად ავიღე სარკმლის რაფაზე დადებული კალამი და ჩემი გვარის გასწვრივ, ოცდაშვიდისა და სამოცის შემდეგ მონდომებით დავიწყე ასოების გამოყვანა.

— ჩქარა! — შემიძახა ქალმა, — ხალხი გიცდის.

მე არ შემეძლო აჩქარება.

— ა, ბიჭო, ჩქარა! — კვლავ შემომიძახა მოლარემ.

— კურდღელს ხომ არ ხატავს!

— წერა თუ არ ეხერხება, დაადოს ცერი!

— აცალეთ, კაცი პირველ ნაოფლარს იღებს, — მხიარულად ალაპარაკდნენ ჩემს უკან.

მოერხი წერას. რაფაზე დადებული ფული ავიღე და გალიმებული წამოვედი მეგობრებისაკენ.



— რა გიხარია, — განაწყენებით მითხრა მამიამ და ფული, რომელიც ჯერ კიდევ ხელში მეჭირა, უცებ გამო-მართვა.

— სატირალი რა მაქვს?!

— რა გაქვს და ოცი მანეთი არ გვყოფნის ველოსიპედების საყიდლად. სიმინდის რომ არ დაექვითათ... — ფული სამჯერ მაინც გადათვალა და მერე ჩაიდო შარვლის ჯიბეში.

— სადმე ვიშოვნით, — დავაიმედე. ისე ხალისიანად გახლდით, ოცი მანეთი კი არა, ბევრად მეტიც რომ გვკლებოდა, ალბათ მაინც არ გამიქარწყლდებოდა საზეიმო განწყობილება.

მალე ჩვენი რგოლის ყველა წევრის მიერ ალალი შრომით მოპოვებულმა თანხამ მამიას ჯიბეში მოიყარა თავი. ცოტაოდენი მსჯელობის მერე გადავწყვიტეთ დანარჩენი ოცი მანეთი მშობლებისათვის გამოგვერთმია.

— იცოდეთ, ოც წუთში ყველამ ორ-ორი მანეთი მოიტანეთ, — გამოგვიცხადა მამიამ. — მაღაზიასთან დაველოდებით.



ის იყო უფროსების გამამხნეველი შეძახილებით გახალისებულები კანტორის შენობიდან გამოსვლას ვაპირებდით, რომ დერეფანში ვარლამ ბაბუა შემოვიდა.

— გამარჯობათ! — ხმამალა მოგვესალმა. მერე კართან შეჩვეულებულებს ალერსიანი თვალი შეგვაგლო. თქვენც აქ ხართ ხომ. ყოჩაღ! ფული ხომ მიიღეთ?



— მივიღეთ, — მივუგეთ ერთხმად.
— სამყოფად, ხომ?
— არა უშავს, — ყველას მაგივრად უბასუხა მამიამ.
— თხი ველოსიპედის საყიდელ ფულზე ოცი მანეთი გვაკლია, მაგრამ შევაგროვებთ.
— კეთილი, კეთილი. ერთი აქ მომიცადეთ, საქმე მაქვს ბიჭვანთან, — ჩაილაპარაკა და სალაროსაკენ წავიდა.
ყველა რიგში მდგომი გვერდზე მიდგა.
— მობრძანდით, ჩემო ვარლამ, მობრძანდით. — ვარლამ ბაბუას შესაგებებლად წინ წამოდგა ნაბიჯი გიორგი ბიძიამ. — ბიჭების ამბავი გავიგე, რას იზამ, ძმაო, რას...
— რა უნდა ვქნა... — დინჯად შეეპასუხა ვარლამ ბაბუა. — ახლა მაინც ვიცი, უპატრონოდ, ყვავების საძიძვანად არ დარჩენილან. ჩვენი ქვეყნის მიწაზე არიან დამარხული. ჩავალ და საფლავებს მაინც შევავლებ თვალს. გიორგი ბიძიამ სალაროს სარკმელთან მიმდგარი ვაჟი, ხელით ფრთხილად გასწია გვერდზე და ვარლამ ბაბუას სთხოვა:
— მობრძანდი, ვარლამ, წელან ამოგიძახეს, მაგრამ არ იყავი.
— არა, რიგში ჩავდგები, — ყველას თბილი მზერა მოავლო.
— აჰ, არა, რიგში როგორ ჩავაყენებთ, — წამოიძახეს რიგში მდგომებმა. მოლარე ქალმაც გამოსძახა, მობრძანდითო.
— კარგი აბა, ამათი ხათრით დავარღვევ წესრიგს, — ღიმილით მოგვხვდა.
შეება ვიგრძენი. ვარლამ ბაბუა ძველებურად მხნედ რომ გამბრწყინებოდა, იმან გამახარა.
იგი ორიოდ წუთის შემდეგ მოშორდა სარკმელს, რიგში მდგომთ მადლობა გადაუხადა და ჩვენსკენ წამოვიდა.
— აბა, ვაჟკაცებო, მომყევით! — გვითხრა და კარისაკენ წავიძვრა.
— სიმინდი რომ გაქვთ მისაღები, ხომ არ დაგავიწყდათ? — ხმამაღლა თქვა, როცა კიბეზე ჩავდიოდით. — ახლა ბირდაპირ კალოზე წავალთ და...
— სიმინდი რად გვინდა! — წამოსცდა ზურას.
— აჰ, ეს არ გამაგონოთ! — განაწყენდა ვარლამ ბაბუა.
— იმას, რაზედაც ოფლი დაგიღვრიათ, აგდებით ნუ ახსენებთ...
არავის უფიქრია შეკამათება. უბრალოდ ხმის გაღებასაც ერიდებოდნენ ბიჭები. ყველანი მორჩილად მივაბიჯებდით უფროსი მეგობრის გვერდით, თუმცა კალოზე მისვლას, მალაზიაში მივბრუნა გვერდით.
— ოცი გაკლიათ, ხომ... — ჯიბიდან ათმანეთიანები ამოიღო ვარლამ ბაბუამ და მამიას გაუწოდა.
— აჰ, არა!!! — რატომღაც შევშინდით ჩვენ.
— გამომართვით, ბაბუებო, გამომართვით. — ფული ხალათის ჯიბეში ჩაუდო მამიას. — მეც შემყვანეთ წილში. მე, მართალია, იმაზე შემჯდომი არა ვარ, მაგრამ ხანდახან სადმე გამეგზავნებით და...
— მაგას ისედაც ვიზამთ! — შევეპასუხეთ ჩვენ.
— არა, ისე ყოველთვის შე ვერ დაგასაქმებთ. ველოსი-

პედის მოზიარე რომ ვიქნები, მაშინ აღარ მომერიდება შევთანხმდით, ხომ?
მამიამ ჯიბიდან ამოღებული ფული თედოს მიუთვალა და გააფრთხილა:
— დათიკომ რამეში არ მოგატყუოთ. ჩვენ კალოზე ვიქნებით.
ბიჭები მაშინვე მალაზიისაკენ გაიქცნენ.
— ნაღდი ვაჟკაცები ხართ, — ღიმილით თქვა ვარლამ ბაბუამ და ხელები მოგვხვია. — თქვენი ჭირიმე, თქვენი, ბიჭებო! თქვენმა თანატოლებმა შემატყობინეს ჩემი ბიჭების ამბავი, აბა...
— ჩვენ მომავალ წელს უკრაინაში წასვლა გვაქვს გადაწყვეტილი, — ამაყად წარმოთქვა მამიამ.
— ერთად წავალთ, ბაბუ, ერთად ვნახავთ ჩემი ბიჭების საფლავს. ეეჰ, იმათ ვენაცვალე! თქვენისთანა ბიჭებისათვის კი ღირდა თავის გაწირვა, ნამდვილად ღირდა. მთლად ბავშვები დაიღუპნენ. ომში ისე წავიდნენ, რაიონს არ იყვნენ გაცილებულები. მახსოვს, ამირანი სულ ნატრობდა, ნეტავი თბილისი მანახავო. ეეჰ, კაცი უკრაინის მიწაზე იბრძოდა და თბილისი არ ჰქონდა ნანახი. ასე იცის ომმა. ომის სიხვე მარტო კაცის კვლა კი არაა... — ვარლამ ბაბუა თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა, ჩვენ კი მთელი გზა ხმა არ ამოგვიღია.
კალოს ეზოში რომ შევაბიჯეთ, ვარლამ ბაბუა ერთბაშად გამოცოცხლდა.
— აბა გაიქცით, ეგერ ნაყანებში ხარებია და ამოდენეთ, სიმინდს გაგატანთ სახლებში.
— ამდენი რა იქნება, ერთ-ორ ტომარას ვინმეს მანქანას გავაყოლებთ, — მორიდებით შეეპასუხა მამია.
— ნამდვილი გლეხკაცივით ურმით რომ შეაგორებთ თქვენს ნაოფლარს ეზოებში, იმას სულ სხვა ფასი აქვს, — ბეჭებზე შემოგვკრა ხელები. — აბა, ჰე, გაიქცით!
გავიქცით. ხარები ამოვდენეთ, ურემში შევაბით და კალოს პირას მივაყენეთ, ვარლამ ბაბუამ რაღაც უჩუროჩულა იქვე მდგომ საწყობის გამგეს.
— კი, ბატონო, კი, — მიუგო მან და დაგვიძახა: — აბა, გავსეთ გოდრები და შეაგდეთ სასწორზე.
მე და მამია დავტრიალდით.
— ჰკვიანად, ბაბუებო, ფრთხილად იარეთ, — გავაფრთხილა ვარლამ ბაბუამ, როცა მამიამ „აში, აშის“ შეძახილებით ხარებს ადგილიდან დააძვრევინა ურემი.
— ნუ გეშინია! — გავეპასუხეთ ერთხმად.
— თქვენ სადაც ხართ, იქ რა შემაშინებს! — დაგვაწია მიმავალთ.
დაღუმებულები მივუყვებოდით სოფლის გზაზე ჭრილით მიმავალ ურემს, მხოლოდ გულში ხმიანობდა ბაბუა ვარლამის იმედიანი სიტყვები — თქვენთან რა შემაშინებს ბიჭებო, — რომ გვითხრა.
— გზატკეცილზე კი, ჩვენს შესახვედრად ბიჭები ველოსიპედებს მოაქროლებდნენ.



მორეკორდასონდენტო პარნალი № 7

პირალი
და
საერთო

ვაჯაჰაშთ დისაუნიას: „თქვენი
სათუჯახო ბიუჯაჰი“.

აგერ უკვე მეშვიდე თვე შესრულდა. ოაც გრძელდება ჩვენი ჟურნალის 1-ლ ნომერში დაწყებული დისკუსია „თქვენი საოჯახო ბიუჯეტი“. ალბათ, ვახსოვთ, დისკუსია ლალი დ.-ს წერილს მოჰყვა. ქუთაისელმა პიონერმა თანატოლთა სამსჯავროზე გამოიტანა თანაკლასელი ცირა კ.-ს უზომო გატაცება უცხოური ტანსაცმლითა და ნივთებით.

გატაცებაცაა და გატაცებაც! არავინ კრძალავს კობტად და ლამაზად ჩაცმას, მაგრამ როცა ოჯახის წევრი, მით უმეტეს, მოსწავლე, საერთო ინტერესებს უგულვებელყოფს და მხოლოდ თავისი კაპრიზების გადაუდებელ დაკმაყოფილებას მოითხოვს, ეს უკვე წრეგადასული ეგოიზმია. რომელსაც შეიძლება სხვა სანონიმიც მოვუძებნოთ — უსინდისობა.

დისკუსიასთან დაკავშირებით რედაქციამ უამრავი წერილი მიიღო. ფოსტას ყოველდღიურად მოჰქონდა გამომხაურებანი. გვწერდნენ სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები—დიასახლისები ლამარა ყიფიანი, ნინო მაჩაბლიშვილი, ეთერ ჭელიძე, პედაგოგი მერი მოსეშვილი, მილიციის კაპიტანი ნორა ჯოღობორდი, მწერალი როსტომ ელანიძე, მუსიკოსი ნონა ლატარია, შოთა დალაქიშვილი, ნინო ფანიკაშვილი, ოქტომბრელები, პიონერები, კომკავშირელები, სკკპ წევრები, პენსიონერები... ავტორები მსჯელობდნენ ოჯახთან ცირას დამოკიდებულების შესახებ, არკვევდნენ მცდარი ნაბიჯის გამოწვევ მიზეზებს და ცდილობდნენ განესაზღვრათ მოსალოდნელი შედეგები.

ბი. ზოგი ყველაფერში ცირას ადანაშაულებდა, ზოგი — დედას, სხვები სკოლისა და პიონერული ორგანიზაციის ინერტულობას უსვამდნენ ხაზს, ხოლო ერთეულები იმასაც კი ამტკიცებდნენ, დალის თავისი მეგობრის საქციელი სააშკარაოზე არ უნდა გამოეტანათ. მაგრამ ეს უკანასკნელნი, როგორც ვთქვით, თითო-ორიოლანი იყვნენ, უმრავლესობამ კი მოიწონა დისკუსიის მთავარი ხაზი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ცირას საქციელი სწორი არ არის, პიონერმა (და არა მარტო პიონერმა!) უნდა გაითვალისწინოს ოჯახის, მისი ბიუჯეტის შესაძლებლობანი, ამ ოჯახის წევართა საერთო ინტერესები და მხოლოდ აქედან გამომდინარე იფიქროს საკუთარ სურვილთა მიზანშეწონილობასა და რეალურობაზე, პირადულმა არ უნდა გადასძალოს საერთოს!

რედაქციაში შემოსულ წერილთა ნაწილი დაბეჭდა, ყველა მასალის გამოქვეყნება კი, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო. ავტორთა უბრალო ჩამოთვლაც კი ძნელია, მაგრამ შევეცდებით ისინი მაინც დავასაჩუქლოთ, ვისი აზრიც განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას. აი, ეს ავტორებიც: თბილისელები ნ. მელქაძე, ე. ამირანაშვილი, ლ. ხვედელიანი, საჩხერელები ი. წერეთელი, თ. თორელი, მ. აბრამიშვილი, ფ. დოლიძე, გურჯაანელები: ლ. ქიტოშვილი, ნ. ჯამიაშვილი თ. ჯაფოშვილი, ნ. ქადაგიშვილი, თელაველი ნ. არაბული, ქუთაისელი თ. კვინიკაძე, ხობელები ნ. ალანია, რ. ადამია, მახარაძელები მ. გაბუნია, ე. ხომერიკი, ხელვაჩაურელები ნ. ბეჟანიძე, ხ. ვაშალომიძე, სამტრედიელი ნატო და ნონა, ვალელი მ. ხითარიშვილი, გომელი მ. პლიევა, ზუგდიდელი მ. კალანდია, მესტიელი ა. სუბელიანი, ყვარელი მ. სეფაშვილი, მაიაკოვსკელი ბ. ლილუაშვილი, ჩხოროწყუელი ნ. შენგელია, ლაგოდეხელი ი. ბრეგვაძე, ქარელელი რ. კობაძე, გარდაბნელი დ. ლაშხირიძე, კასპელი რ. ერემოვი, გეგუჭკორელი ი. ბეალავა, ახმეტელი ლ. მაისურაძე და მრავალი სხვა.

რედაქცია მადლობას უხდის თავის ავტორებს ყურადღებისათვის და იმედს გამოთქვამს, რომ ისინი მომავალშიც გულთან ახლოს მიიტანენ ქურნალში დაბეჭდილ ყოველ მასალას, გამოეხმაურებიან მას.

„რამ
პროხალ
სმოვლად
სულს
ლაჩნლავის“

ერთხელ, როცა ძველ წერილებს ვათვალიერებდი, ჩემი ყურადღება გაყვითლებულმა სამკუთხა ბარათმა მიიპყრო. ომში წასული მამა შვილებს წერდა:

„ვახსოვდეთ, რომ ერთადერთი მოკარნახე, რომელიც მთელი ცხოვრების გზაზე უნდა გაიყოლიოთ. ეს სინდისი და ადამიანების სიყვარულია, მთელი გულით უნდა გიყვარდეთ ადამიანები, პატივს უნდა სცემდეთ თითოეულის პიროვნებას, მხოლოდ სიყვარული, სიკეთე და სათნოება უნდა იმეკვლოთ მათი ჭირისა და ღონის გაზიარებისას. მხოლოდ მაშინ მიეცემა აზრი ცხოვრებას, ეს კი ბედნიერებას მოგანიჭებთ.

შე, ცა, დედამიწა და მთელი ქვეყნიერება კაცთა შორის სიყვარულით ცოცხლობს და საზრდოობს და რაც უფრო ნაკლები იქნება კაცთა შორის გაგება, მით უფრო ნაკლებად მშვენივრად მოგეჩვენებათ ცხოვრებაცა და მთელი სამყაროც, ეს კი ძალიან ძალიან ცუდია!“

ეს წერილი, რომელმაც ასე იმოქმედა ჩემზე, ბაბუაჩემს დაუწერია. იგი ვერ მოესწრო თავისი ვაჟების — მამაჩემისა და ბიძაჩემის დეაჟუაცებას და ჯერ კიდევ ახალგაზრდად — ოცდათექვსმეტი წლისამ დაასრულა სიცოცხლე პოლონეთის მიწაზე.

წავიკითხე ეს წერილი და ბაბუაჩემის წილადაც ვაიხარე, რომ მისმა შვილებმა გაამართლეს მამის იმედი და კაცურად განვლეს ცხოვრების ნახევარი, რომლის მეორე ნახევარსაც, დარწმუნებული ვარ, ასევე, ლამაზად გაივლიან.

„ადამიანს უნდა უყვარდეს ადამიანები, — ამბობდა მ. ი. კალინინი. — თუ მას ეყვარება ისინი, უკეთესად რეცხვრებს, ვინაიდან არაფერ არ ცხოვრობს ისე ცუდად, როგორც კაცთაშორის მიზანთროპი.“

ადამიანების სიყვარულით, მათდამი რწმენით უცხოვრია ბაბუაჩემს, მამაჩემს, ბიძაჩემს... და ჩემი ეს პატარა წერილიც მათი ცხოვრების და სიყვარულის ანარეკლია.

მაია ჯალაღანიძე,
თბილისის 42-ე საშუალო
სკოლა, X კლასი.

ყურადღება! „ლაპარაკობს ისპორია“

ჩვენი რაზმი დიდ ყურადღებას უთმობს მშობლიური ქალაქისა და რაიონის ისტორიის შესწავლას. დღევანდით — „ლაპარაკობს ისტორია“ ამასწინათ რაზმის სპეციალური შეკრებაც ჩავატარეთ. ამ შეკრებაზე რაზმის ხელმძღვანელმა ჩვენი მშობლიური — ხაშურის რაიონის რევოლუციური წარსული გაგვაცნო. გვიამბო 1905-07 წლების რევოლუციის დროს ხაშურში ორგანიზებული მუშათა დიდი გაფიცვის შესახებ; ამ გაფიცვის თავკაც რევოლუციონერებს — სტ. გარიშვილს, ნ. ალიევსა და ვლ. ხოზბერიძეს დღესაც მადლიერების გრძნობით იგონებს ჩვენი ქალაქი.

მშობლიური მხარის რევოლუციურმა წარსულმა ყველანი დაგვიინტერესა, დახმარება ცნობილი რევოლუციონერების ლადო, ლოლა და ნინო ხოზბერიძეების ოჯახს ვთხოვეთ, გაგონილი გვქონდა, რომ 1905-07 წლების რევოლუციის დროს მათთან საიდუმლოდ ბინადრობდა ბევრი ცნობილი რევოლუციონერი, მათ შორის სტალინი, კამო, გეგეჭკორი, სიმონ და ალიოშა ჯაფარიძეები.

ხოზბერიძეების ბინაშივე ყოფილა მოწყობილი არალევალთა სემინარია. იქ დაბეჭდილ პროკლამაციებსა და აკრძალულ ლიტერატურას კი თურმე წელზე შემოიხვევდა ნინო ხოზბერიძე და ფარულად გაჰქონდა ხაშურში, სურამსა და ქვიშხეთში.

ნინო ბაბო, 90 წლის ასაკში, სულ რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა გული დაწყვიტა ჩვენი რაზმის ყველა პიონერს. ჩვენ ვამაყობთ, რომ სიცოცხლის ბალო დღეებამდე ვუმეგობრეთ ჩვენს საუკეთესო დამრიგებელსა და მრჩეველს, გამოცდილ რევოლუციონერ ქალს ნინო ხოზბერიძეს.

ივანე ციციქია,
ხაშურის რკინიგზის მე-4 საშუალო
სკოლა, V კლასი.

სალაქი, ქვირუასო რეალქმია!

საქართველოს ბუნება განთქმულია სილამაზით. ვის არ მოხიბლავს მისი შრილა ტყეები, ანკარა ნაკად-

ულები, ცაში ატყორცნილი მწვერვალები, ლურჯად მოღვივებული ზღვა...

მაგრამ ყველაფერს მოვლა-პატრონობა სჭირდება, მით უმეტეს ბუნებას, მისი სიმშვენიერის შენარჩუნებას.

ჩვენს სკოლაში ბუნების დაცვას დიდი ყურადღება ეთმობა. ჩვენ და ჩვენი თანაკლასელები: ლია, იზო, კაკო, ლელა, ნანა, აეთო, ირმა, შალვა, ნატო აქტიურად ვმონაწილეობთ ამ კარგ თაოსნობაში. გასულ წლებში დავრგეთ და ვახარეთ ველურ მცენარეთა საძირებები, რომლებზედაც დავამყენით კულტურულ მცენარეთა კვირტები.

გვინდა ჩვენი წვლილი შევიტანოთ ბუნების დაცვის კეთილშობილურ საქმეში.

ლენა ჩანჩიბაძე,
ლია მუჯირი,
მახარაძე, კონკაძის
საშუალო სკოლა, VII კლასი.

ქარბი რაზმის სახელი რომ შავინარჩუნოთ...

ამ წერილს ხაშურის რკინიგზის მე-4 საშუალო სკოლის მეხუთეკლასელი პიონერები გწერთ. ჩვენს რაზმში 28 პიონერია, და თითქმის ყველანი ვცდილობთ კარგი რაზმის ავტორიტეტი შევუნარჩუნოთ რაზმს. ვსწავლობთ მონდომებით და ვფიქრობთ, რომ ამით ვანიჭებთ ყველაზე დიდ ბედნიერებას ჩვენს აღმზრდელებს — მშობლებს, მასწავლებლებს, პიონერხელმძღვანელს.

კლასში აკადემიური მოსწრების ამოღების მიზნით შევქმენით „სიზარმაცის მეთვალყურეთა საგუშაგო“. ვეხმარებით სწავლაში ჩამორჩენილთ, ყოველდღიურად ვამოწმებთ მათ ცოდნას.

ყრილობის წინა დღეებში ჩავატარეთ რაზმის შეკრება თემაზე „სკკპ XXVI ყრილობას — ჩვენი ბეჯითი სწავლა და პიონერული საქმეები“; მოვაწყვეთ დისპუტი — „როგორი უნდა იყოს ნამდვილი პიონერი“. გავეცანით გმირი პიონერების — ზინა პორტნოვას, ლონია გოლიკოვის ცხოვრებას და სოციალისტური შრომის გმირის — ნათელა ჩელებაძის

საქმიანობას. ჩავატარეთ რაზმის შეკრება ანტიფაშისტურ თემაზე „ნორჩ გმირებს სიკვდილი არ უწერიათ“.

რაზმში ყველაზე საინტერესო მანც თემურელები ვმუშაობთ. ვინაშით მარტოხელა მოხუცებს, ომში დაღუპულთა ოჯახებს, ყურადღებას არ ვაკლებთ შინმოუსვლელთა მემორიალს.

ჩვენი, X რაზმი პირველკლასელ ოქტომბრელებს შეფობს, სწორედ იმათ, რომლებმაც ჩვენი საყვარელი პირველი მასწავლებელი ანა მღებრიშვილი „წაგვართვეს“. საშეფოკლასის ოქტომბრელებთან ვმეგობრობთ კიდევ. წლეულს ჩვენს მიერ შეგროვილ მაკულატურასა და 2 ტ და 800 კგ ჯართში მათი წვლილიც მნიშვნელოვანი იყო.

პიონერებმა და ოქტომბრელებმა დახმარება გავუწიეთ ადგილობრივი მეურნეობის მუშაკებს: მოვკრიფეთ 180 კგ ასკილი, შევავროვეთ სასილოსე მწვანე ფოთოლი, ბევრი რამ გავაკეთეთ ჩვენი „მწვანე აფთიაქის“ გამდიდრებისათვისაც.

ხაშურის რკინიგზის მე-4
საშუალო სკოლის
X რაზმის პიონერები.


ვალთა მასწავლებელი

გასულ სასწავლო წლის 5 ოქტომბერმა განსაკუთრებით დაგვაზახსოვრა თავი. ამ დღეს პენსიაში საზემოდ გავაცილეთ ჩვენი საყვარელი პედაგოგი ვალია ბალაქაძე.

ძალზე გაუძნელდა სკოლის მიტოვება. ეს მისმა თითოეულმა მოსწავლემ ვიგრძინით. ბუნებრივია, მან ხომ თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი სკოლაში გაატარა. მთელი თავისი ნიჭი და ენერჯია ბავშვების — მისი საყვარელი მოსწავლეების აღზრდასა და სწავლას შეაღია. მაგრამ აღბათ, ეს დღევ უნდა დამდგარიყო... არასოდეს დამავიწყდება, როგორ იდგა ის ჩვენს შორის — ჩვენი კეთილი სიტყვებითა და ქებით დაბნეული, სევდიანი. ქალბატონი მერეული.

დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, ვალია მასწავლებლო!

ზურაბ ლეშაშვილი,
ხაშურის მე-9 საშუალო
სკოლა, VI კლასი.



დაბრუნებული

ნარიკა
გველაძე

წერილი

მხატვარი
მალხაზ კახაშვილი

მოთხრობა

ეს წერილი შენს სახელზე მოვიდა და არ გავხსენი, — მითხრა დილას კოლეგამ და სქელი კონვერტი გამომიწორა.

კონვერტზე ჩემი გვარის ქვემოთ საგულდაგულოდ ხაზგასმული იყო სიტყვა „პირადად“.

კონვერტი გამოვართვი და წამოკვიდი.

— ჰო, მართლა, — დამეწია ხმა კართან, — კიდევ დარეკეს სკოლიდან იმ შენი წერილის თაობაზე!

— რაო?

— ჩვენ თვითონ აღმოვაჩინდით დამნაშავეს, გაზეთის ჩარევა არ ღირდა, ახლა მთელ სკოლას ჩირქი მოეცხოო. მართლაც, რა გაბრაზებული წერდი, გეგონებოდა, თვითონ შეგემთხვა ის ამბავი.

შენიშვნას ყური ავარიდე და ვთქვი:

— გამომზეურება არ ესიაშოვნათ! არა უშავს, გაუვლით წყენა და მიხვდებიან, სწორად რომ მოვიქცეთ. მაინც ვინ დარეკა?

— კლასის ხელმძღვანელი ვარო!

ჰმ, მაშინაც ბაბო იყო ჩვენი დაკრიგებელი და იმან ატეხა ერთი ამბავი — რატომ გაახმაურეთ, ჩვენ თვითონ მოვეუვლიდითო, — გამახსენდა ძველი ამბავი და გამეცინა.

— რას იცინი?

— ისე... ვნახო ერთი, ვის დაგვირდი „პირადად“ მე. — მძიმე კონვერტს წიბო წავახიე და წერილს დავხედე.

ხელწერა მეცნო.

ვინ წერს ჩემს ნაცნობებში ასე?

ვერ მოვიგონე. ხელმოწერას განგებ არ დავხედე, აბა თუ გავხსენებ-მეთქი, და კითხვას შევუდექი.

„საყვარელო ქეთი! ვიცი, გაგიკვირდება ჩემი წერილის მიღება, მით უმეტეს, თუ გაიხსენებ, რომ წერა არასოდეს მყვარებია და აკი ხშირად სწორედ ის ნიშნები მქონდა, კუდიანებს რომ ვეძახდით მაშინ. თან, რაც სკოლა დავამთავრე, ერთხელაც არ მომიწერია.“

გუშინწინ შენი წერილი წავიკითხე გაზეთში, პიონერებს რომ კედლის გაზეთი დაუხევიათ, იმის თაობაზე. და იცი, რა გამახსენდა? ჩვენი „ჭინჭარი!“ გახსოვს? თუმცა, რა სულელი ვარ, რა დაგავიწყებს, ჯერ იმის წერას და ხატვას გადაყუვი და მერე მის ჯავრს, ვინ ჩამოხსნათ.

მაშინ ჩვენ მეექვსე კლასში ვიყავით.

იმ დღეებში არაფრის თქმა არ შეემძლო, რადგან მარტო ჩემი საიდუმლო არ იყო და რომ მეთქვა, დასმენა გამოვიდოდა. ისე სინდისი ძალიან მექაჩინდა. ახალი „ჭინჭარის“ დახატვაში მოგვეხმარე და ამით ვფიქრობდი დანაშაულის გამოსყიდვას. მერე გადავწყვიტე, სკოლას რომ დავამთავრებთ, უსათუოდ ვეტყვი-მეთქი, ბოლო დღისათვის მოვიტოვე სათქმელი. იმ დღეს კი ისეთი ზარ-ზეიმი გვქონდა, ვერაფრით ვერ მოვახერხე შენი დამარტოხელება. ასე რომ, დამრჩა ის საიდუმლო შენთვის გაუმხელელი და ის ნათქვამი ტყუილიც შემრჩა...

ახლა ჩემს თათიას რომ ვასწავლიე არასოდეს თქვა ტყუილი-მეთქი, სწორედ გადამკრავს ხოლმე.

შემთხვევა მომეცა და მიხდა იცოდე, რომ ის „ჭინჭარი“ მე და ნათელამ ჩამოვხსენით. შენ სულ ტყუილად აბრალებ დალილას, თუმცა, კაცმა რომ თქვას, დალილამ გვითხრა პირველად: — „ნეტავი მაგ მეტიჩარა გაზეთს ვინმე ჩამოხსნიდეს და მეტი არაფერი მიხდაო“.

— მოდი, მე და თინა ჩამოვხსენით, — თქვა ნათელამ. — ნეტავი რას გვიხამენო?

— მოგცლიათ ერთი თქვენც, ვინ გაიგებს! მოდით სალამოს, დარაჯს უთხარით, რუკაზე უნდა ვიმეცადინოთ-თქო. დარაჯმა რა იცის, რა „ჭინჭარი“ გვაქვს გაკრული. სტაცეთ და ჩამოხსენით! — დავვარიგა დალილამ.

ნათელას ჭკუაში დაუჭდა რჩევა და იმ სალამოს ძალიან გულმოდგინედ „ვისწავლეთ გეოგრაფია“.

ასეთია, ჩემო კარგო, ჩვენი „ჭინჭარის“ გაუჩინარების საიდუმლო. რამდენი უსიამოვნება შეგემთხვა მაშინ!...

რომ წამოვიზარდეთ, ვფიქრობდი, ქეთის ალბათ სასაცილოდაც არ ყოფნის ის შემთხვევა-მეთქი, მაგრამ შენი წერილის წაკითხვის მერე მივხვდი, რომ კიდევ გახსოვდა და კიდევ გაინტერესებდა ჩვენი „ჭინჭარის“ ამბავი. სხვა ბავშვების გვარები რომ არ წამეკითხა, ისევ ჩვენზე წერს-მეთქი, ვიფიქრებდი“.

მე რახანია გავიხსენე, ვინ იცოდა ასეთი წერა. „ჭინჭარის“ ამბავი ხომ ორიოდე კვირის წინ მომაგონა თბილისის ერთ სკოლაში მომხდარმა მსგავსმა შემთხვევამ.

თურმე ვის ჩამოუხსნია ჩემი „ჭინჭარი!“

აი, რა მოხდა მაშინ:

ჩვენს ჯგუფს „კონტრასტების ჯგუფს“ ეძახდნენ სკოლაში.

სამოსანი არავინ გვყავდა, ვსწავლობდით ან ძალიან კარგად, ან ძალიან ცუდად.

ერთხელ რაზმის საბჭოს სხდომაზე ვთქვი:

— მოდით, რაზმის სატირული გაზეთი გამოვუშვათ.

— რად გინდა, მაგათ გაზეთი რას უზამს, ყველაფერს ცხვირის აბზეკით ხვდებიან. გაზეთი კი არა, ამას წინათ კინოში არ წამოვიდნენ ჯგუფთან ერთად, — აბა სწორედ, ასე ბატებივით ჩავმწყრივდებით და ისე წავალთ კინოშიო, არ გახსოვს? — შემახსენა ნაირამ.

— როგორ არ მახსოვს, კლასთან ერთად თეატრში არ დადიან, ფორმის

ჩაცმა არ უნდათ, უფორმოდ გამოჩენისა კი ეშინიათ, ლილი მასწავლებელი გაგვიჯავრდებაო, — მხარი დაუჭირა ნაირას ლიამ.

— ჰოდა, სწორედ ეგ დავწეროთ და გავკენწლოთ. რა იცით, იქნებ თავმოყვარეობამ შეაწუხოთ და ყოფაქცევაში მაინც გამოსწორდნენ, — არ ეთობოდი მე.

ბოლოს რაზმის საბჭო დამეთანხმა და „ჭინჭარი“ რედაქტორობაც დაიწყო.

მეხუთე დილას აღრიანად გავაკარიოთ „ჭინჭარი“ თვალსაჩინო ადგილას და მოთმინებით დავუწყეთ ლოდინი, რა მოხდებოდა.

კარიკატურები მშვენიერი გამოვიდა.

ხატვა არც ერთს არ გვემარჯვებოდა და მთელი სამი დღე ველრიტინე მეზობლის ბიჭს, დამიხატე-მეთქი.

ხალხს არ ვიცნობ, როგორ დავხატო, — ეზარებოდა.

მაშინ ფოტოსურათები ვიშოვე და სახლში მივადექი ჭემალს, თან დედამისს შევეხვეწე:

— ასეა, დეიდა მავრა, ჩემი საქმე, და მომეხმაროს-მეთქი.

გულგრილად იყო ნათქვამი — წერეთ და იკითხეთ, რამდენიც ვინდათო, — იცოცხლე, გაგვამბარაზა, მაგრამ თავი შევიკავეთ და არაფერი გვიტყვამს.

პირველსავე გაკვეთილზე „ამრევებმა“ ბარათები მიიღეს ზუსტი ინსტრუქტაჟით: „არ მიეკაროთ „ჭინჭარს“, ვითომ ვერც ამჩნევთ“.

სკოლაში ხმა დაიბნა, მეექვსე კლასში „ჭინჭარი“ გაუკრავთო, და სანახავად ყოველ დასვენებაზე მოდიოდნენ.

ხმაშალა კითხულობდნენ. იცინოდნენ და აღმაცურად უყურებდნენ გაკრიტიკებულებს. იმათ „ქალაქობანას“ თამაში გააჩაღეს და ვითომ საერთოდ ველარაფერს ამჩნევდნენ.

— სდექ, — ისმოდა შათი მერხებიდან. — ქალაქი — მოსკოვი, კინო — „მიჩურინი“, ცხოველი — მაიმუნი...

მივხვდით, რომ ამას ჩვენს გასაბრაზებლად აკეთებდნენ და წინააღმდეგობას სპექტაკლზე წამოვიწყეთ საუბარი.

გაკვეთილების დასრულებამდე ორივე მხარეს ვაქცატურად გვეჭირა ჩვენი პოზიციები.

— რას ბრძანებთ, მასწავლებლებო? — გაიკვირვა იოსებაშვილმა.

— ალფაიძე, თქვი და გაპატიებ!

— რა ვთქვა, მასწ? — დაინტერესდა ალფაიძე.

ძიებამ არაფერი მოგვცა.

მასწავლებელი დაგვემუქრა და გავიდა.

ყელში მობჯენილ ცრემლებს ძლივს ვიკავებდი. მასწავლებელი რომ გავიდა, პირდაპირ დალილას მივუბრუნდი:

— თქვენ გგონიათ, არ ვიცი, ვინ ჩამოხსნა?

— მერე ჩემთან რა გინდა? დედა მომიკვდეს, მე თუ ხელი მომიკიდოს.

— ვიცი, რაც ხარ, შენ ყველაფერი კარგის მოწინააღმდეგე ხარ, შენ, შენ... რეაქციონერი ხარ! — უცებ მივახალე, რაც ენაზე მომადგა.

დალილამ ველარ გაბედა კამათის გაგრძელება. მხრები აიჩეჩა, „გაგოფდა ეს გოგო“, ჩაიბუტბუტა და დერეფანში გავიდა.

უკვალოდ დაიკარგა ჩვენი „ჭინჭარი“. რაზმის საბჭოს წევრებმა გაზეთში გავგზავნეთ წერილი: რატომ მოხდა ასე, გვიჩიეთ, როგორ გავარკვიოთ, ვინ ჩამოხსნა ჩვენი „ჭინჭარი“ — თქო.

წერილი გამოქვეყნდა. თან შერშენა ჰქონდა დართული რედაქციისათვის, რომელშიც სკოლაში იდეურ-აღმზრდელი მუშაობას აკრიტიკებდნენ. ამას არც ერთი არ მოველოდით.

სასწრაფოდ გამოგვიძახეს ხელმძღვანელთან, პოინერთა ოთახში. მერე — სამასწავლებლოში, დამრიგებელთან. მერე — დირექტორთან.

გვისაყვედურეს, ასე არ უნდა მოქცეულიყავით, სკოლას ჩირქი მოსცხეთო, როგორმე თვითონ, გაზეთის დაუხმარებლად გავარკვევდითო. თვალედაწითლებულები გამოვედით დირექტორის კაბინეტიდან...

ორჯერ გამახსენდა ეს მივიწყებული ამბავი.

პირველად მაშინ, ორი კვირის წინ წითელყელსახვევიანი გოგონა რომ შემოვიდა რედაქციაში და მესაუბრა...

ეუსმენდი და მეგონა, ჩვენი „ჭინჭრისას“ ყვებოდა, ისე წყლის ორი წვეთითი ჰგავდა ერთმანეთს ეს ამბები.

წერილი გოგონას დასაცავად დავწერე. ცხარე გამოვიდა. სკოლაში იწყინეს, მაგრამ გოგონას — დაკარგული გაზეთის რედაქტორსა და მაძიებელს — ველარაფერი უთხრეს.

და მეორედ — ამ ნაგვიანები აღსარების კითხვისას.



დეიდა მავრამ დაანამუსა ჭემალი: — მეტი არაფერი იცი, ბიჭო, და მაგაშიც არ გინდა მოეხმარო? დავჭირდება თემები და ვნახოთ ერთი, ვინ დაგიწერს.

მეც შევეღმერთე ჭემალს, დამიხატე და, რა თემაც გირდა, დაგიწერ-მეთქი...

მოკლედ, გამოვაკარიოთ ჩვენი ლამაზი „ჭინჭარი“ და ვართ ერთ გულისფანცქალში:

ვინ მოვა პირველად, ვინ ნახავს, რას იტყვიან...

პირველმა შენიშვნამ, რომელსაც დალილას ეკუთვნოდა და საკმაოდ

შეორე დილას გამამხნეველი კარგიმის დაწყებამდე საკლასო ოთახში შევირბინე და ვლდა მეცა: „ჭინჭარი“ აღარ იყო.

აქეთ ვეცით, იქით ვეცით, არა და არა, არ ჩანს ჩვენი „ჭინჭარი“.

„ოპოზიცია“ მშვიდად უცქერის, რა ხდება ჩვენი შიშო, არც კარგს ამბობს, არც ავს.

მოვიდა დამრიგებელი. დაგვანამუსა:

— თქვით, ვინ ჩამოხსნა და გაპატიებთ. შარვაძე, შენ?

— უი, არა, მასწავლებლო! — შეიცხადა შარვაძე.

— შენა, იოსებაშვილო?

მალა საბავილი

წინა წერილში ვისაუბრეთ არიზონას მეტეორულ კრატერზე. კანადაში არის კრატერი უნგავა, მისი დიამეტრი 3400 მეტრია, ესტონეთში კალაიარდის კრატერის დიამეტრი 110 მეტრს აღწევს. 1947 წელს სინოტე-ალინის მთებში ჩამოვარდა რკინის მეტეორიტი, უფრო ზუსტად — მეტეორიტთა მთელი გროვა, რომელთაც რამდენიმე ღრმული წარმოქმნა. მათგან უდიდესის დიამეტრი 28 მეტრია. მეტეორიტების ნამსხვრევთაგან ზოგი ასეულ კვ-ს იწონის, ზოგიც 2 ტონამდე აღწევს.

ყველაზე გრანდიოზული კატასტროფა მოხდა ტუნგუსკაში 1908 წლის 30 ივნისს. გიგანტურმა გამაყრუებელმა აფეთქებამ, რომელიც კოსმოსიდან შემოჭრილმა სხეულმა გამოიწვია, მძლავრად შეარყია ნი-ადაგი და წარმოშვა ჰაერის მძლავ-



1958 წელს მეტეორიტის ჩამოვარდნის ადგილას ჩავიდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მეტეორიტების კომისია. მან დაასკვნა, რომ ზეებზე უმოქმედია მალლიდან წამოსულ დარტყმით ტალღას. ეს კი ნიშნავს, რომ მეტეორიტი ჰაერში აფეთქებულა. აი რატომ არ წარმოქმნილა კრატერი! ირკუტსკის ობსერვატორიის დირექტორმა ა. ვოზნესენსკიმ ჯერ კიდევ 1925 წელს შენიშნა, რომ ნი-ადაგის რყევა ხელსაწყობებმა ორჯერ აღრიცხეს, პირველი — სეისმური რხევების შედეგი იყო, მეორე კი, რომელიც 44 წუთით გვიან აღირიცხა — საჰაერო ტალღის შედეგი.

ტუნგუსკის ასეიქუპი, ჩაბ გამოიფვია იბი?

რი ტალღა. ამ ტალღამ ასეულობით კმ გაიარა და წააწვინა ტყე რამდენიმე ათეული კილომეტრის მანძილზე. ოღონდ აფეთქების ადგილას არავითარი კრატერი არ აღმოჩნდა!

ტუნგუსკის კატასტროფამ ცხოველი ინტერესი აღძრა, თუმცა პირველი მეცნიერული ექსპედიცია იქ მხოლოდ 1927-30 წლებში, მეტეორიტის ჩამოვარდნიდან მეხუთედი საუკუნის შემდეგ გაემგზავრა. ექსპედიციამ ვერ იპოვა ვერავითარი მეტეორიტი ან მისი ნამსხვრევი.

სად გაქრა მეტეორიტი?

დადგენილია, რომ მეტეორიტებია, მიწაზე ვარდნისას იშლება ნაწილებად, ამასთან, რაც უფრო დიდია მეტეორიტი, მით უფრო მცირე ნაწილებად იშლება იგი. მაშ, შეიძლება-ო ტუნგუსკის მეტეორიტი გრანდიოზულ აფეთქებას სულ დაეშალა, მაგრამ მაშინ ჩნდება მეორე პრობლემა — ამ აფეთქებას ხომ უნდა წარმოექმნა დიდი კრატერი! რადიალურად წაწვენილი ტყის ცენტრში ექსპედიციის ხელმძღვანელმა ლ. კულიკმა, მართალია, იპოვნა კრატერები, მაგრამ ისინი კარსტული წარმოშობისანი აღმოჩნდნენ.

ა. ვოზნესენსკიმ დაასკვნა, რომ მეტეორიტი აფეთქებულა 70 კმ სიმაღლეზე. ამ ფაქტს ადასტურებს და მოვლენის მასშტაბებზეც წარმოდგენას გვაძლევს თვითმხილველთა ცნობა. მაგალითად, ს. სემიონოვმა, რომელიც სოფელ ვანავარში, მეტეორიტის დაცემის ადგილიდან 100 კმ-ზე იმყოფებოდა, განაცხადა: „უცებ ჩრდილოეთით ცა ორად გაიყო და ტყის ზემოთ, მალა, გამოჩნდა ცეცხლი, რომელმაც მოიცვა ცის მთელი ჩრდილოეთი ნაწილი. ამ მომენტში ისე დამცხა, თითქოს ჩემი ხალათი ააღებულეოს“. იქვე მდგომ პ. კოსოლაპოვს კი თურმე ყურები აეწვა, მაგრამ სინათლე არ დაუნახავს (შესაძლოა, სხვა მხარეს იყურებოდა). იმავე სოფლები ა. კოსოლაპოვას სიტყვებით, „ჩრდილოეთით ცა გაიხსნა თვით მიწამდე და იფეთქა ცეცხლმა“. დ. ბრიუხა-

ნოვს, რომელიც სოფ. კეჟმაში, მეტეორიტის დაცემის ადგილიდან 200 კმ-ზე იმყოფებოდა, დაუნახავს, რომ „ჩრდილოეთის მხრიდან ტყის თავზე ალი გამოვარდა“. დაახლოებით ამავე მანძილზე მყოფ სხვა მხილველებს შეუძინვევიათ, რომ ციური სხეული მიეფარა მთებს იქით(ან ტყის იქით). თითქმის ყველა ამ პუნქტში გაისმოდა მძლავრი დარტყმის ხმა, რომელიც ზარბაზნის გასროლას მოგაგონებდათ.

ერთი სიტყვით, აფეთქება ნამდვილად მოხდა. უკვე ვთქვით, რომ მეტეორიტები, განსაკუთრებით ქვის მეტეორიტები, ჰაერშივე იმსხვრევიან. მაგრამ დამსხვრევა აფეთქებას როდი ნიშნავს. რა აფეთქდა ტუნგუსკში? საბჭოთა ასტრონომმა ი. ასტაჰოვიჩმა და ამერიკელმა მეტეოროლოგმა თ. უილმა ივარაუდეს, რომ ეს იყო კომეტის შეჯახება დედამიწასთან. „კომეტურ“ ჰიპოთეზას რამდენადმე ეთანხმება ტუნგუსკის მეტეორიტის მასის შეფასება. ვ. ბრონშტენმა მასა შეაფასა იმ ნგრევის მიხედვით, რაც საჰაერო ტალღამ გამოიწვია (აფეთქების ენერჯია შეფასებულია, როგორც 10²³ ერჯი), აკადემიკოსმა ფესენკოვმა კი, მეტეორიტის ჩამოვარდნიდან ორი-სამი კვირის შემდეგ — ამერიკის კონტინენტზე ჰაერის გამჭვირვალობის შემცირების მიხედვით (კომეტის ნივთიერების დიდი ნაწილი ატმოსფეროში აქროლდება ლობობის და აორთქლების გზით და მტვრად იქცევა, რაც შემდეგ ატმოსფეროში გავრცელდება). ორივემ ერთნაირი შედეგი მიიღო — მეტეორიტის მასა რამდენიმე მილიონი ტონა გამოვიდა! ეს კი მცირე ზომის კომეტის მასაა.

მოვლენის სრული ახსნა ძნელი საქმეა. უზარმაზარი ხეები ამოგლეჯილია ფესვებიანად და ძირს ყრია დიდ ფართობზე, რომელიც მეტეორიტის ტრაექტორიის სიმეტრიულია; მაშასადამე, ისინი ბალისტიკურ ტალღას ამოუგლეჯია. მაგრამ ხეები ძირს ელაგა ზუსტად რადიალურად. როგორც ჩანს, ვიდრე ამოყრილი ხეები ძირს დაეცემოდნენ, მოუსწრია აფეთქების ტალღასაც, რომელსაც ისი-



ნი რადიალურად წაუწვინია. ასეთია ვ. ბრონშტენის თვალსაზრისი.

კომეტურ ჰიპოთეზას მხარს უჭერს ისიც, რომ დასავლეთ ციმბირში, რუსეთის ევროპულ ნაწილში და დასავლეთ ევროპაში მეტეორიტის ჩამოვარდნის პირველ ორ ღამეს ცის უჩვეულო ნათება შეიმჩნეოდა. ღამით გარემო ისე იყო განათებული, რომ ქ. ტამბოვის ქუჩებში შეიძლება სურათის გადაღება; ინგლისში, გრინვიჩის ობსერვატორიაშიც შენობების თაღების ფოტოსურათები გადაუღიათ. ეს სინათლე შეიძლება კომეტის კუდს გამოეწვია. კუდი მუდამ მზის საწინააღმდეგო მხარესაა მიმართული. მეტეორიტი კი გათენებისას ჩამოვარდა, ე. ი. მზე ამ დროს აღმოსავლეთით იყო. კომეტიდან მზის მხარეს ნათება არ შეუმჩნევიათ (მაგალითად, იაპონიაში). რაც შეეხება თვით აფეთქებას, ამის მიზეზი შესაძლოა გამხდარიყო კომეტის ყინულის ბირთვის ღრმა ფენების უეცარი გათბობა, დარტყმითი ტალღის მიერ.

ასე რომ, ტუნგუსკის მეტეორიტის „კომეტური“ ბუნება, ასე თუ ისე, შეესაბამება ფაქტებს. და მაინც, კვლევა გრძელდება.

გარდა ამისა, არის სხვა ჰიპოთეზებიც. მაგალითად, ზოგი მეტეორიტს მიიჩნევს „შავ ხერულად“ (კოლოსალური სიმკვრივის უჩინარ სხეულად), რომელიც დაეჯახა დედამიწას და ჩაიკარგა მასში ან მეორე მხარეს გავიდა. არის ჰიპოთეზაც (წარმოაყენა მწერალმა ა. კაზანკევმა 1946 წ.), რომლის თანახმად, 1908 წ. ტუნგუსკაში აფეთქდა ატომური საპლანეტათშორისო ხომალდი. ა. კაზანკევი ამ დასკვნამდე იმან მიიყვანა, რომ 1959 წელს აფეთქების ადგილზე ექსპედიციამ ჭარბი რადიოაქტივობა აღმოაჩინა. ვ. ბრონშტენი კი ფიქრობს, რომ მცენარეებში აღმოჩენილი რადიოაქტივობა 1945 წლის შემდეგ დროინდელი ატომური აფეთქებების შედეგია. 1959 წ. ტომსკის სამედიცინო ინსტიტუტს ჩაუტარებია სამედიცინო დაწესებულებათა არქივების სპეციალური კვლევა, სამარხების რადიოქიმიური ანალიზიც, და 1908 წლის შემდეგ რაიმე უჩვეულო დაავადებათა კვალი ვერ აღმოუჩენიათ.

ასეა თუ ისე, „ციდან ვარდნილი ქვები“ — მეტეორიტები უაღრესად საინტერესო მოვლენას წარმოადგენს, რომლის კვლევას მნიშვნელოვანი შედეგების მოტანა შეუძლია.

ლიდა სვანილია

რომ

რომ ვასახელო სამშობლო,
რომ გავხდე კარგი ქართველი,
რომ არ დავკარგო ანბანი,
სწორად ვთქვა ჩემი სათქმელი,
მამა მთვარის და დედა მზის
რომ არ ჩამიქრეს ნათელი,
მტერს რომ არ დარჩეს მოედნად
მინდორი — ჩემი სათელი,

რომ ვიცნო მტერი, მოყვარე,
რომ გავარჩიო ავ-კარგი,
რომ შევუნახო მომავალს
ხალხის ნაჭედი, ნაქარგი,
რომ თქვან: თავისი სამშობლოს
არის ნამდვილი პირმშოო, —
ხუთებზე უნდა ვისწავლო,
ხუთებზე უნდა ვიპრომო!

დიდება

იხაროს მუხამ,
იყაროს
არდის და ვაზის რქა-ფესვმა,
იხაროს ყანამ შრიალამ,
იპის ნარგავმა, ნათესმა.
ტყეში იმრავლოს გუგუღმა,

იძახდეს „თესე-კაფესა“,
იხაროს მასწავლებელმა,
მოსწავლეს რომ ზრდის საქებას;
დიდება,
მარად დიდება
კარგად ნაკეთებ საქმესა!

ხენ ვეზოდების სამშობლოს

— მე მხატვარი გამოვალ,
ძლიერ მიყვარს ფერები,
ჩემი ყალმით სამშობლოს
უფრო მოვეფერები!

— მე მჭედელი გამოვალ,
ვეტრფი ქურას უქრობელს,
გამოვჭედავ ცელ-ნამგალს
უფრო მჭრელს და უფრო ბევრს!

— მე კი ისეთ ტრაქტორს შევქმნი,
რომ ქვეყანას მოხმარდეს,
მარტო ბარში კი არა...

მინას მთაშიც რომ ხნავდეს...
ჰოდა, აგერ მინდორი
დასახნავად წინ მიდევს,
დავთესავ და მოვიყვან
ულალულვაშა სიმინდებს...

— მე ვენახი მიზიდავს,
არც ურო მსურს, არც ქურა...
დავამყნი და დავწინდავ, —
შაბამინით განვკურნავ...
რა სჯობს ლერწებს დახუნძლულს,
მავთულზე რომ გაკრულან.

— მე კი ჩაის მოსაკრეფ

დიდ მანქანას გავმართავ,
ფოთლით ნუთში ავავსებ
ასიოდე კალათას.
— ექიმობა მინდოდა,
მაგრამ აზრი შევცვალე...
ათგზის ბარაქიანი
უნდა გავხდე მეცხვარე!...
— მე, არც ცვარით სველ ვეფჯილს

და
არც სათიბებს გავტოპავ,
თუ გამიშვეს მშობლებმა,
მინდა კოსმონავტობა!
— მე მსურს, რომ გამოვიდე
ბრძენი, ვარსკვლავთმრიცხველი...

— მე კი მინდა, რომ გავხდე
ფეხბურთელი ფიცხელი!
— სულერთია, ვიქნები
რა უღელშიც შებმული,
აქედანვე მსურს ვიყო
ჩემი ქვეყნის ერთგული!
... ყველა საქმე კარგია,
რაც შენს მამულს ადიდება,
თუ შეჰმატებ ხვალისთვის,
რაც დღეს არის, ათ იმდეს!

ქრისტიანული ჟურნალი

მუშავს
ჯეზუიტები
მხატვარი
წ. შორაჩხიძე
შესავალი

წესდებოდა

ბებია: არ დამარცხდეთ, ბებია! მოგველოთ.

ჭუმბერი: ფიქრი ნუ გაქვს, ბებია! ბიჭები ეზო-კარიდან გადიან და მიჰყვებიან ტყისკენ მიმავალ ბილიკს. ბილიკი დაჩრდილულია ცაცხვისა და წიფლის ხეებით, ალაგ წაბლი დგას, ალაგ — მუხა. აქ უფრო გრილა, ვიდრე მოლიავებულში. მზე ამ კორომში ძლივს ატანს. ხანდახან გამოჩნდება მდინარის თეთრი აბრეშუმი. ხან ისევ მიემალევა თვალს. მერე კვლავ გამოჩნდება. მდინარის გაღმამოღმა აშხვერთილი სიმინდის ყანებია.

ჭუმბერი: სასაცილო ამბავი შემემთხვა ერთხელ. აი, ხელმარჯვნივ რომ ყანა დევს, ის ჩვენი ყანაა, ჩვენი სიმინდია. ერთხელ იმ ჩვენი სიმინდიდან გამოვრეკე ვილაცის მარჩენალი და მეზობლის ყანაში ვუღუტეთ თავი. ამ დროს არ დამინახა მაინცდამაინც ჩვენი კარის მეზობელმა, გერა თორია? გერას მაგარი თვალი. აქვსო, სოფელში ამბობენ, დამინახა და წამწამის დაფახულებაში წამომადგათავზე.

გერა თორია (ორმოცდაათიოდე წლის გლეხიკაცი, ჩექმის ყელში ჩატანებული მარჯალი აცვია და ომიდან გამოყოლილი ხაკის ბლუზა. ხელში სახრე უკავია და თავზე სახლი აქვს წაქრული. როგორც ჩანს, სადღაც ახლომანლო თოხნიდა ყანასა და, ძროხის შლიგინი რომ გაიგონა, ამას მიაყურა): რა ქენი, ბაბაია, შენ ახლა?

ჭუმბერი: (შეცბუნებული) რა მოხდა, გერა ბიძია?

გერა თორია: რა მოხდა, ბაბაია და, საიდან გამორეკე ახლა ის სამგლე შენ? (გერა თორია ძროხას სამგლეს ეძახდა).

ჭუმბერი: ჩვენი ყანიდან გამოვრეკე, გერა ბიძია, ანადგურებდა სიმინდს, ოხერი!

გერა თორია: ეს კაი გიქნია, ბაბაია, მარა, სად შერეკე ახლა ის სამგლე შენ!

ჭუმბერი (უკვე ხვდება, რაზეა ჩაფრენილი კარის მეზობელი): აგერ, იქ შერგო თავი.

გერა თორია: მერე, მანდ რას ხედავ, ახლა, ბაბაია?

ჭუმბერი: ყანა მანდ...

გერა თორია: ხოდა, დაიხსომე ახლა ჩემი ნათქვამი: არ გაკეთდება ეს ოხერი ქვეყანა ასე, ბაბაია, არ გაკეთდება და მორჩა.

ჭუმბერი: საკვირველი კაცი ყოფილა ის შენი გერა თორია. რა ესაქმეაოდა იმ მეზობლის ყანისა, არ ვიცი თავისი ყანა ხომ არ იყო?

ჭუმბერი: ეგა თქვი შენ. მეც ასე

მე მყავს ერთი ჩემი კბილა მეგობარი, სახელად ჭუმბერი, რომელიც ცხოვრობს მთიანი სამეგრელოს კალთაზე, სოფელ ჭუმში. ჭუმბერმა უამრავი ზღაპარი იცის, სხვათა მონაყოლი და თავისი გამოგონილი, თუმცა ამ ამბებს ზღაპრებს სულაც არ ეძახის. და მართლაც, ყურა რომ დაუგდო, და მიჰყვებ, ეს ამბები ნამდვილი გეგონება. ჭუმბერს უყვარს თავისი ადგილ-მამული: ჭუმის სანახები, მისი მდინარეები და ჭალები, მთები და მინდვრები, ტყეთა უღრანები; იცის ათასნაირი მცენარისა და ბალახის, მწერისა და ყვავილის სახელი. როცა მას გვერდით მიჰყვები, ყველა მათგანთან ჩერდება, რაღაცს ებუტბუტება და ეაღერსება.

ჭუმბერი: შენ თუ იცი, რატომ არის ყვავილი ასეთი ლამაზი?

ქალაქელი ბიჭი: რატომ?

ჭუმბერი: იმიტომ, რომ ლამაზი ფიქრები აქვს!

ერთი სიტყვით, ჭუმბერი გონიერი ყმაწვილია, თუმცა ჯერხნობით იგი ათიოდე წლისა თუ იქნება მხოლოდ და მისი სიბრძნე რა მოსატანია. ოღონდაც იყავით მაინც მისი თანამგზავრი, როგორც მე ვიყავი ერთ დროს, იმ დიდ არდადეგებზე, როცა ქალაქიდან სოფელში ჩავიდი და ვცხოვრობდი ჩემი მეგობრისას, ძველ ოდა-სახლში, მდინარე ჭუმის პირას, და თქვენს თვალწინ გადაიხსენება იგივე ამბები, რაც მე ჩემი ყურით გავიგონე და ჩემი თვალთ დავინახე.

ძველი ოდა-სახლის აივანზე სხედან ჭუმბერი და მისი ქალაქელი მეგობარი. ოდა-სახლს პირი მზისკენ აქვს მიქცეული, ამიტომ ჭუმბერი ოდა-სახლის აივანს აღმოსავლეთის აივანს ეძახის, ან კიდევ, მზის აივანს. ბიჭები ათი წლისანი არიან. დილის ხანია, ანუ როგორც ჭუმბერი ამბობს, მოღებულია დილის კარი. ოჯახის თავმა, როგორც ბაბუას ეძახის ჭუმბერი, მთავარი ჭიშკარი გახსნა ფართოდ და ძროხა გადაარეკა. ცხადა, არა ძროხა, არამედ მარჩენალი, — ასე ამბობს ჭუმბერი. სოფელელი

ბიჭი ბადეს უჭირკიტებს, ათვალიერებს, სიმაგრესა და სიმთელეს უმოწმებს. ქალაქელი ბიჭი (ზურაბი) ხელეშში შესცივინებს.

ჭუმბერი: ჭუმში ბევრი კიბორჩხალა იცის, ტაროსიც კარგი გამოდგა. კიბორჩხალები, ალბათ, დარანიდან გამოდიან უკვე და საკბილოს ეძებენ.

ზურაბი: რას ჭამენ კიბორჩხალები, ჭუმბერი?

ჭუმბერი: რას არ ჭამენ, შენ ეს იკითხე! წიწკნიან ლაქაშის ფესვებს, ძიძგიან ლიფსიტებს. მდინარიდან ამოდიან სალამობით, ან კიდევ უთენია საქონლის ფუნაში იქექებიან, ხოჭოებს ეძებენ. დილა-საღამოს მუცელზე ფიქრობენ უმეტესად.

ზურაბი: ძალიან შიათ, ალბათ, საწყლებს.

ჭუმბერი: კიბორჩხალას თეთრი ხორცი უყვარს. ჭკვიანია. ბაყაყს დავიჭერთ, გავატყავებთ, ხორცს ამ ბადეში ჩავაფენთ, მერე ბადეს მდინარეში ჩავუშვებთ, კიბორჩხალას სუნი ეცემა და გამოვა დარანიდან.

ზურაბი: ამას ჩემი თვალთ დავინახავ, ხომ?

ჭუმბერი: აბა!

ზურაბი: ბაყაყს სად დავიჭერთ?

ჭუმბერი: ჭუმის ნაპირებში რამდენი გუბე, ნოყო და ლაქაშია!

ზურაბი: როგორ დავიჭერთ?

ჭუმბერი: აი, აგერ, ამ ხელებით.

ზურაბი: შიშველი ხელებით? მერე და, არ გეშინია?

ჭუმბერი: ჰაიტ, შე მართლა ზურავ, შენა! (ზურა მეგრულად მშიშარასაც ნიშნავს).

ზურაბი: ბებიაგან გამიგონია, ბაყაყს თუ ხელი მოჰკიდე, მეჭეჭები გამოვივაო.

ჭუმბერი: მეც გამიგონია ეგ დიდელასავან, მაგრამ მეჭეჭი ჯერ არ გამჩენია.

ზურაბი: ერთი სული მაქვს, როლის წავალთ.

ჭუმბერი: აბა, ჰე! მზადა ვართ უკვე! წავედით ბებია! — გასძახის ჯარგვლის მოღებულ კარში მდგომ სიფრიფანა დედაბერს, ხელში რომ საცერი უკავია. ბებია პირჯვარს იწერს.

მეგონა მაშინ, და ამიტომაც შევდენე მარჩენალი მეზობლის ყანაში. დიდი ხნის ამბავია. (კაცივით ჩაფიქრებული). მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა.

ჭურაბი: მალე მივალთ, ნეტა?

ჭუმბერი: კი, მივალთ, აგერ, ხელის გაწვდენაზეა აწი, ან კიდევ დაძახილზე. ასე ამბობს ბებია: დაძახილზე შორს არ წახვიდე, ბებია!

ჭურაბი: მერედა, რამდენია ეს ბებიას დაძახილი, რომ გაზომო?

ჭუმბერი: ასე თრი-სამი ვერსი იქნება, მეტი არა. დიდი-დიდი ერთი თოფის ხმას გაუტოლდება.

ტყე თანდათან წმირდება, ბნელდება, და უფრო და უფრო მკაფიოდ ისმის მდინარის ხმაური. ადგილი კი — ერთფეროვანია. ერთი სიდიდის, ერთი სიმსხო-სიმაღლის ხეები ღვანან გზის ორივე მხარეს. ასე რომ, კარგად თუ არა გაქვს მიჩვეული თვალი, კერც იტყვი დანამდვილებით, რამდენზე ხარ დაშორებული სახლიდან და რა ალაგას დგახარ ახლა.

ჭურაბი: გზა თუ აგცდენია როდისმე, ჭუმბერ?

ჭუმბერი: გზა მე კი არა, ბებია ამბობს, საქონელმაც კი იცის შინისაკენ მიმავალი გზა-ბილიკი. ასე იტყვის ხოლმე, როცა შინ მისვლა შემავიანდება.

ჭურაბი: არ გეშინია, ამ ტყეში რომ დაგვივინდეს?

ჭუმბერი: რისი უნდა მეშინოდეს? კაცის მომრევი რა, არის ამ ტყეში?

ჭურაბი: ისე გეკითხები, თორემ მართლა რა უნდა იყოს!

ჭუმბერი: კი არის, მოგეცა ლხენა.

სანამ ბაბუა ფილოსს ხელმეორედ გატენიდა, თორემ ისე რას მოკლავდა! არ წავიდა, არ გაიქცა. ცოლ-ქმარი თუ იყვნენო. ასე თქვა ბაბუამ. ერთმანეთი არ მიატოვესო.

ჭურაბი: არა მეგონია, ასე ყოფილიყო. ეგ ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს.

ჭუმბერი: ბაბუა კი ამბობს და, ტყუილს რატომ იტყვის?!

ჭურაბი: რა ვიცი, დაუჭერებელია თითქოს.

ტყის კორომიდან გამოფრინდება სკვინჩა-ჩიტი და წიფლის რტოზე შემოსკუპდება. უსტვენს და გასცქერის მიმავალ ყმაწვილებს. იმ წიფლის ხეს რომ მიუახლოვდებიან ბიჭები, ბოლოჭრელი სკვინჩა-ჩიტი ერთი-ორი ხით გადაინაცვლებს. მერე იმ ალაგს

რომ მიუახლოვდებიან, კიდევ ინაცვლებს ადგილს.

ჭუმბერი: ჩვენ გველამაზება და და გვეზმიანება ის სკვინჩა-ჩიტი. ასე რომ არ იყოს, ხომ გაფრინდება და მორჩა. კაცი უყვარს.

ჭურაბი: არასოდეს არ მიფიქრია, ასეთი რამე.

წიფლის ხეები რომ მოთავდება, ჩიტი ბოლოს და ბოლოს სადღაც ჩაფრინდება და გამოეთხოვება ბიჭებს.

ქალაქელი და სოფელი ბიჭები — ჭურაბი და ჭუმბერი ჭუმის პირას არიან. მდინარე აქ მდორეა და მრავალი დარანი აქვს. უკან პატარა მოლია. მოლზე დგას გვირის კარავი ანუ საჩრდილობელი. კარვის მახლობლად ვედრო ჩანს. ვედროში წყალი ასხია. ჭუმბერს ბაღე უფენია მდინარეში და გაფაციცებით უმზერს, როგორ მიცოცავს კიბორჩხალა ბაღეში ჩაფენილი თეთრი ხორცისაკენ. ბიჭი რომ ბაღეს ამოსწევს, სამი-ოთხი კიბორჩხალა მოჰყვება, ზოგი გაიქცევა, ზოგი მცირე ხანს კიდევ ებლაუჭება ბაღის ძაფს გარეთა მხრიდან, მაგრამ სინათლეზე რომ ამოვა ბაღე, კიბორჩხალა უცებ გამლის საცეცებს და მდინარეში მოადენს ტყაპანს. ჭურაბი ხედავს ამას და უხარია. ხტის და ცეკვავს მდინარის პირას. ჭუმბერი აფრთხილებს, კიბორჩხალებს შენი ხმაური ესმით და ნუ მიფრთხობო. ჭუმბერი დროდადრო ამოსწევს ბაღეს, კიბორჩხალას ბალახებში მოისვრის, ჭურაბი კი წყლიან ვედროში აგროვებს. კიბორჩხალა რომ ბალახზე დაეცემა, უცებ ამობრუნდება ხოლმე თუკი ზურგით დაეცა, — და ისევ უკან-უკან, მდინარისაკენ მიხზავს. საითაც არ უნდა უქნა პირი და როგორაც არ უნდა დაატრიალო — კიბორჩხალა უცებ მოიკრებს ხოლმე გონს და წამის უსწრაფესად იღებს გადაწყვეტილებას, იქით გასწევს, საითაც მისი მშობლიური დარანია. ნახევრამდე რომ გაავსებენ ვედროს, ბიჭები გვირის ფოთლებით დახურულ საჩრდილობელში შედიან, თავვეშე ხელებს ამოიღებენ და გულაღმა მწოლიარენი რაღაცას ფიქრობენ.



მაგრამ მხოლოდ ზამთარში, როცა ძალიან ცივა და მგლებს ბარში ჩამორეკავს შიმშილი. ერთხელ სვიმო ბაბუამ ჩვენი ეზოს განაპირაში ორი მგელი მოკლა. ერთი ძუ მგელი იყო, ერთიც — ხვადი. ერთი რომ მოკლა, ბაბუა ამბობს, თურმე მეორემ ფეხი არ მოიცვალა, დაიცადა,

ჭუმბერი: ახლა კი მდინარისპირა ქალის ზღაპარი მოვისმინოთ.

ჭურაბი: ვინ უნდა გვიამბოს?

ჭუმბერი: შენ მხოლოდ მოუსმინე, ოღონდ მეტი არაფერზე იფიქრო, კარგად დაუგდე ყური და ჩემსავით ყველაფერს გაიგონებ.

დილის ზღაპარი

მწვანე გომბეზო: ყვავ-ყვავ-ყვავ!
ციცქნა ბაყაყი: ყი-ყი-ყი!
ხის ბაყაყი: ყვიყ-ყვიყ-ყვიყ!
ბებერი ბაყაყი: ყუყაყ-ყუყაყ-ყუყაყ!
უხსენებელი: სსსსსსსსსს!
მწვანე გომბეზო: ყვავ-ყვავ-ყვავ!
გველისთავისმპარსავი: წკრრრ...

წკრრრ... წკრრრ...
ნაგვიანვეი მამალი: ყი-ყლი-ყო!
ჭრიჭინობელი: ჭრი-ჭრი-ჭრი!
მწვანე გომბეზო: მე ვარ დედოფალი!

პირველი ბაყაყი: შენ ხარ დედოფალი!

ხის ბაყაყი: შენ ხარ დედოფალი და მე — დარაჯი შენი!

ბებერი ბაყაყი: ყუყაყ-ყუყაყ-ყუყაყ! შენ ხარ დედოფალი!

პირველი ბაყაყი: შენ ხარ დედოფალი!

ციცქნა ბაყაყი: მე მიკავია შენი შრილა კაბის ფოჩები, როცა შენ მიტურავ ხელა და გახლავს დიდებული კდმა და სიამაყე.

მწვანე გომბეზო: ძვირფასია ჩემი სამოსელი, მწვანე იგი, როგორც მარადიული სინორჩის ნიშანი.

მეორე ბაყაყი: ყველაფერი ხუნდება, ბუნებასაც კი ეცვლება ფერი. ბალახი ჭკნება, ხე იძარცვება, ფოთოლი ხმება, შენ კი, დედოფალი, მარად ნორჩი ხარ, სიამეა შენი ყურება.

გველისთავისმპარსავი: მე ვარ მკერავი შენი ძვირფასი ტანსაცმლისა. მე მიკავია მაკრატელი, ნემსი და ძაფი.

მწვანე გომბეზო: მე ვარ დედოფალი! ჩემია ეს კამკამა ტბები, ჩემია ეს თეთრი ბუშტულები, ეს ბრილიანტები, ეს მძივები და ეს ფარჩეული.

უხსენებელი: მომეცი, ნება დედოფალი, მოგიახლოვდე, რათა დავტკბე შენი ყურებით!

შუბოხანი ბაყაყი: (დედოფლის კარს მსახური, ფარ-შუბით ხელში, თეთრი კამშოლი აცვია და ლურჯი შარვალი — ვალიფე, ჩექმებში ჩატანებული): მომეცი ნება, დედოფალი, ვიხმარო შუბი!

(დედოფლის მცველი ბაყაყი შუბს მოიმარჯვებს და უხსენებელი გვერდზე გასრიალდება).

უხსენებელი: სსსსსსსს!

მწვანე გომბეზო: მე ვარ დედოფალი! მზე ჩემთვის ამოდის და ჩემთვის ბრწყინდება. ჩემთვის ხშიანებენ დილისა და საღამოს ორკესტრები. ჩემთვის სღუმან, როცა მოღე-

ბულია დიდი შუადღის კარი. მაშინ მე ვისვენებ.

წყლის გუბე: მეც მინდა ხობტა შეგასხა და მხოლოდ ზუტზუტი შემიძლია. წყლითა მაქვს სავსე პირი, ჩემო დედოფალი. მაგრამ სარკეა გული ჩემი და, თუკი ჩამხედავ, ყველფერს იხილავ, ჩემო დედოფალი!

მწვანე გომბეზო: მე ვარ დედოფალი!


ყანა

სიმინდი: მგონი, აქეთ ვილაც მოდის.

ბალახი: რა ბედნიერებაა, რომ ასეთი მაღალი ხარ!

ლობიო: ალბათ მეველეა, სხვა ვინ იქნება, დილაობით რომ მოდის ჩვენს დასახელად.

მუხუდო: თუკი თოფი ჰკიდია მხარზე, მონადირე იქნება, კურდღელს



რომ ესროლა მაშინ, საწყალობელს.

სიმინდი: თოფი მეველესაც სჭირდება — ვინ იცის, გზაზე რა შეეყრება.


ბალახი: ისე ამბობ, თითქოს მეველესთან ერთად გეთიოს დაშე და მისი ავან-ჩავანი ხელისგულზე გეწეროს.

სიმინდი: მეც ამას არ ვამბობ? პატარა რომ ვიყავი და მარცვლი მერქვა, მაშინ მეველის ნალიაში არ ვცხოვრობდი? იქამდე კიდევ სადღაც ვიყავი, მაგრამ მე ეს არ მახსოვს უკვე. და აი, როცა ნალიაში ვცხოვრობდი, მაშინ მოვიდა იგი ჩემთან და მითხრა: ახლა კი დროა და წავიდეთ. მე ფეხს ვითრევი და მეშინოდა, რადგან არ ვიცოდი, სად უნდა წავეყვანე გლეხკაცს, სულ ვიმალებოდი და ნალიის ძირში ვიმარხებოდი, მაგრამ ყველა წაიყვანა და რატომ

დამტოვებდა მართო. ავღეფე და ჩვენი წამოვეყვი. და რა დავინახე ჩემი თვალებით: მან მიწა გათხარა და აი, აქ ჩამაგდო, სადაც ვდგავარ, მერე ზედაც მიწა მომაყარა. მორჩა და გა-

თავდა. დაბნელდა ჩემთვის მთელი ქვეყანა. რა დავუშავე ამ კაცს ასეთიმეთქი, ერთი გავიფიქრე, მაგრამ გაფიქრებაც კი ვერ მოვასწარი ხერიანად... გათავდა ჩემი ცხოვრების ამბავი. არ მეგონა, ხელმეორედ თუ გაეჩნდებოდი და მზეს თუ დავინახავდი, მაგრამ გაეჩნდი და, ღმერთო ჩემო, რამაც მე კინალამ გადამრია, რა დავინახე: ეს ჩემი გლეხკაცი კიდევ ცოცხალია და მრთელი. სული უდგია კიდევ. მოვიდა და მომეფერა. რამდენი ხანი არ გვენახა ერთმანეთი, ავდექი და მეც ვავუცინე, რაკილა მივხვდი, რომ ჩემთვის ავი არ სდომებოდა. ახლა კი, როცა იგი აქ მოდის, გული მიხალისდება, ვიცინი და კბილებს ვაჩენ, თავს ვაწონებ.

ბალახი: მე კი არაფერი მახსოვს



ისეთი, გული რომ გამიხაროს. რა უნდა ნეტავი ამ კაცს, რას მემტერება. საცა დამინახავს, იქვე უნდა მეცის თავისი მტრული თოხი, ან კიდევ ფრჩხილებით. მართალია, მე გადავრჩი, მაგრამ ჩემი ძმები და დაიები, ჩემი ნათესავები და მშობლები ხომ დალუპა და დალუპა ყველანი. რას ვაქნებ ასეთ სიცოცხლეს. ნეტავი, მეც ამოვიძირკვე და მოვეკალი. დღემუდამ შიშში ყოფნას სიკვდილი სჯობია. ეს დღეები კი, რაც ეს აგვისტო შემოვიდა, ზედაც არ მიყურებს, არაფრად არ მაგდებს! ასეთი გულქვაა ეს კაცი!

მუხულო: კურდღელი რომ მოდის და შიშით კანკალებს, რა ვქნა რომ მეცოდება. წაიღოს ერთი-ორი მარცვალი, შეაკანატუროს და ჩაიტკბარუნოს პირი, განა რა იქნება. ეს კაცი კი — შენ რას აკეთებო, თუ იციო, ბაჭის ახარებო, არაო? — მოდის და მიწყრება. გულქვაა, აბა რა!

ლობიო (სიმინდს ეუბნება): საითაც შენ, მეც იქით, ასეთია ჩემი ცხოვრება. მაგრამ ეგებ ბედმა გამომიღოს და აქვე დავრჩე, როგორც შარშანდელ წელიწადს. შენ რომ წაგიყვანეს, მე კარგად მასოვს. მაშინ მეც უნდა წავეყვანეთ, მაგრამ უცებ გაიპო პარკი, ანუ მე გავაპე და მიწაზე დავენარცხე. მერე იმან ფენი დამაბიჯა და მთლად ყურყუმელში მოვხვდი! ვიცი, ვერ დამინახა, თორემ ფენს არ დამაბიჯებდა, ხელში ამიყვანდა და ხელისგულზე დამისვამდა. მაგრამ ფენი დამაბიჯა და მორჩა. დავრჩი აქ მთელი ზამთარი.

კრიჭინობელი — კრი-კრი-კრი!...
მუხულო: მეველემ ალბათ სადღაც გაუტია, თორემ ეს კრიჭინობელი ფენის ხმას რომ გაიგონებს, იმწამსვე მიჩუმდება.

სიმინდი: მეველე მდინარისაკენ მიდის, ჩვენკენ არც იხედება.

ჭიანჭველები

პირველი პატარა ჭიანჭველა: რა კარგია, მზე რომ ასე ჩახჩახებს!

მეორე პატარა ჭიანჭველა: ჩვენც წამოვალთ, ჩვენც შეგვეშველებით!

დედა ჭიანჭველა: მეშინია, დიდი გზა გვაქვს გასავლელი, რამეს არ გადავეყაროთ, რამე არ იტკინოთ...

პირველი პატარა ჭიანჭველა: არაფერს არ ვიტკენთ, გულისყურით ვიქნებით, ჩვენც წამოვალთ. ჩვენც შეგვეშველებით...

მამა ჭიანჭველა: ხმა არ გავიგონო თქვენი, თქვე მუტლის მოდარაჯენო!

დედა ჭიანჭველა: მამიკო დალილია, საწყალი, იმდენი ოფლი ღვარა

გუშინ. ხუმრობა ამბავი ხომ არაა იმოდენა მარცვლის წამოღება.

კარის მეზობელი ჭიანჭველა: იმ დალოცვილ ყანის ჩიტს უნდა ვუმადლოდეთ ყველანი, ტაროს რომ მარცვალი გამოაცალა, თორემ ჩვენ რას გავხდებოდით. ის ოთხი მარცვალი კი შეიძლება მთელ ოთხ თვეს ეყოს მომჭირნე ოჯახს. ოთხი თვე რომ გავა, მერე საშველიც დაგვადგება. გავა ეს ოხერი ზამთარიც აბა რა იქნება, და კვლავ გამოვალთ საშოვარზე. გაზაფხული მაინც დალოცვილია და მაღლიანი.

მეორე პატარა ჭიანჭველა: გუშინ რომ წახვედით და აქ მარტონი დავრჩით მე და ჩემი პატარა დაია, ჩვენს ბუნაგში ვილაცამ შემოიხედა. კარგად დავინახე, როგორ ჩამოხნულდა უეცრად ჩვენი სადგომი.

დედა ჭიანჭველა: ის ოხერი ფუნაგორია იყო ალბათ, უქმად რომ დაავტორებს აღმა-დაღმა იმოდენა ბურთს.

მეორე პატარა ჭიანჭველა: ის იყო დედა, ის. კარს რომ აეფარა, თითქოს შეგვეცივდა კიდევ, ჩამოხნულდა იქაობა. მაგრამ მერე რაღაც გადაწყვიტა და ისევ გზას გაუდგა.

პირველი პატარა ჭიანჭველა: რომ შემოსულიყო, დედიკო, აქ, რას გვიზამდა, შეგვეჭამდა ხომ?

დედა ჭიანჭველა: არა, შეილებო, ფუნაგორია ჩვენს მოდემას არ ერჩის. ნუ გეშინიათ.

პირველი პატარა ჭიანჭველა: გველემპი რომ მოვიდეს? გახსოვს, დედიკო, გზა რომ გადაგვიკეტა და ვერასგზით ვერ მოახერხე ჩემი გადმოყვანა, ვიდრე ის თვითონ არ წაივარგნა თავისი ნება-სურვილით.

დედა ჭიანჭველა: შე სულელო, შენა, არაფერი რომ არ იცი ჯერხნობით, რა მეშველება! გველემპი კი არა, ჭიანჭველა იყო, ნაწვიმარზე გამოსული ზურგის გასათბობად. ჭიანჭველა უწყინარია, შეილო. ეგაა მხოლოდ, გაწვება ხოლმე გზაზე და ხელს გვიშლის ძალაუნებურად, მაგრამ აუვლით გვერდს და, მორჩა. ნათქვამია, შეილებო. შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო.

მამა ჭიანჭველა: რატომ აგვიანებენ მეზობლები, ნეტა? ასეთი დარი ვინ იცის, კიდევ როდის დაგვიდგება. რამხელა გზა გვიდევს წინ!

დედა ჭიანჭველა: ჩვენი კარის მეზობელი, გაიხედავ და აქ არ არის! ჭიჭი სიტყვის კაცია და ტყუილს არ იტყვის! უთენია ამოვიდა ამ დილით, მაგრამ შენ არ გაგადვიდა. გუშინ დიდი ძალ-ღონე დახარჯაო, და მოგერიდა.

მამა ჭიანჭველა: თუ აქამე მაინც

რამე, დედაკაცო, შიმშილით ხომ არ მომიკალი სტუმარი?

დედა ჭიანჭველა: უშენოდ საჭმელს პირს როგორ დააქარებდა, ურუს ქვეყნიდან კი არ არის ჩამოსული, დაჯდეს და მარტო მოილხინოს.

მამა ჭიანჭველა: კაი გიქნია, კაი. აბა, იჩქარე ახლა, დატრიალდი შენებურად და ცოტა წაგვახემსე.

დედა ჭიანჭველა: ახლავე, ახლავე! ჭიჭი, ჭიჭი, მოდი აქ, შე კაცო, რა გზაზე გადექი უცხოსავით.

კარის მეზობელი ჭიანჭველა: დროს ვეკარგავთ ახლა ჩვენ, რა დროს თავ-პატყვია, მეზობლებს გავყურებ აგერ, მგონია მოდიან კიდევაც და გვეშველა.

დედა ჭიანჭველა: შეუძახე აბა, შეუძახე. ცოტა ფენი აჩქარონ, რაკი-ლა თავი გამოიდეს და ამ მაღლიან დღეს ჩვენს გამო კარგავენ. ყოველი წამი ოქროდ გვიღირს, ჭიჭი!

ჭიანჭველები გადადიან ფთოლოზე, ბალახის ფესვებზე და მიეშურებიან მდინარისპირა ყანისაკენ, იმ ადგილისაკენ, სადაც სიმინდის თეთრი მარცვალი ეგულებათ. უღრანი ტყის განაპირას, ბებური წიფლის ხის ძირში მოტიტვლებული ალაგია და ერთი ზონზროხა ფუნაგორია — ხოჭო უდგას ბურთივით დამრგვალებულ ვეგება ფუნას. ხოჭო უქანა ფეხებზე დგას, წინა თათებით ფუნას მიყრდნობია. ყურები აცქვეტილი აქვს და უსმენს ვარემოს. ალბათ გზად ჩამავალი ჭიანჭველების ხმაური თუ გაიგონა. ხან მარჯვნივ მიაბრუნებს თავს, ხან — მარცხნივ.

მამა ჭიანჭველა: აი, ვინაა ბედაური და უზრუნველი...

კარის მეზობელი ჭიანჭველა: ტარიელის ოონე აქვს ამ ოხერს. მტერს მოხვდა მაგისი თათი.

მეორე კარის მეზობელი ჭიანჭველა: უბედურია ეს საწყალი და ღვთისაგან დავიწყებული. მისჯილი აქვს ასეთი ცხოვრება. თავისთვის კი არ უნდა ეს ფუნა. ვერ ჭამს, ვერაფერში არგია და მაინც არ ეშვება. დაათრევს აღმა-დაღმა. წყევალა, აბა რა არის?

მამა ჭიანჭველა: ამ ამბავმა ერთი შორეული მეგობარი გამახსენა. მაშინ საჩქარო საქმე მქონდა, მოკლენ უნდა გადამეღახა წყალი და რა მელიონა, არ ვიცოდი. ამ დროს ვალმა მხარეს მოადგა მგზავრი, დაინახა, რა გასაჭირშია ვიყავი, გადმოხტა მდინარეზე, შემომისვა ზურგზე, ისკუპა და ის იყო სამშვიდობოზე უნდა გავსულიყავით, უცებ ვერ შევიძარგე თავი და წყალში გადავვარდი. კიდევ კარგი, შემოდგომა იყო, ხეებს ფოთოლი სცივოდა და ბედად დაეცა წყალზე წიფლის ერთი ხმელი ფო-



თოლი. მოვებლაუჭე ფოთლის ყუნწს და ავპვერი ზედ რის ვაი-ვაგ-ლახით. აგერ სულ ორ ადღ-ზეა ჩემი სანუკვარი მიწა, მაგრამ გრასვლა არ გინდა? ახტა-და-ხტა მაშინ ჩემი ძმობილი რწყილი და გაეშურა, რომ თოკი მოეტანა და გავეყვანე ამ ორომტრიალიდან. ვინ იცის, რამდენი ეწაბა, მაგრამ აქ არ დამტოვა. ვინ უშლიდა, ან ვინ დაუწუნებდა ვაეკაცობას, რომც არ მობრუნებულყო; ჯერ ერთია და, ვერა-ვინ გვხედავდა; მეორეა და, მე თუ წყალი წამიღებდა და ჩემი კვალიც არ დარჩებოდა ქვეყანაზე, ვინ ვაი-გებდა სიმართლეს. მაგრამ მან მაინც მოიტანა დაგრეხილი თოკი და გადა-მარჩინა.

დედა ჭიანჭველა: იმხანად ურუს ქვეყანაში იყავი წასული, მგონი.

მამა ჭიანჭველა: ურუს ქვეყანა კი არა, საიქიოც უკან დამრჩებოდა, ბე-ჩა!

მეორე კარის მეზობელი ჭიანჭვე-ლა: ახლა სად არის ის შენი მეგობა-რი რწყილი, ნეტა?

მამა ჭიანჭველა: ვინ იცის. მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ვეხვეწე და ვემუდარე მაშინ, წამოდი, ოჯახი უნ-და გავაცნო. სული შენით მიდგია-მეთქი, მაგრამ არა ქნა, კაცი კაცი-თაო, — მითხრა და წავიდა!

კარის მეზობელი ჭიანჭველა: ასე რომ არ იყოს, ცხოვრებაც არ ელი-რებოდა მაშინ. მოვსულვართ მგონია და. ეს არის!

ყანის ჩიტი: ჭიტ-ჭიტ-ჭიტ!

დედა ჭიანჭველა: ისევ აქ ტრია-ლებს ეს დალოცვილი. ვინ იცის, კი-დევ ჩამოგვიყარა მარცვალი.

მამა ჭიანჭველა (დედა ჭიანჭვე-ლას): შენ, ფოთლები გადააშორე მარცვლებს, ჩვენ კი ამასობაში ახ-ლომანლო ადგილებს დავივლით, ეგ-ებ კიდევ წავაწყდეთ საკბილოს.

მესამე ჭიანჭველა: აი, ეს ჩიტი რომ ტრიალებს, იქით უნდა გავწიოთ, გუ-ლი მეტუნება, აქაც ვიშოვიოთ რამეს.

ყანის ჩიტი: მე ჩემს სამყოფს ყვე-ლვან ვშოულობ. კაცი რომ ყა-ნას ხნავს, ათასი ჭიანჭველა ამო-ჩყვება ხოლმე მიწის ბელტებს. კა-

ცი რომ ყანას თესავს, ისე როგორ იქნება, ჩაუვალი მარცვალი არ და-რჩეს სადმე, ესეც ჩემი არჩევია. ყა-ნა რომ დამწიფდება, ფუჩჩი რომ შეუოქროსფერდება და შეხმება, ნის-კარტით გავწევ და გამოვწევ ფუჩჩის, მცინარე მარცვალს ამოვარჩევ და ამოვიღებ, ესეც ჩემი ნუგბარი საკ-ვებია. ყანას რომ აიღებენ და ვეება სიმინდის ტაროებს შინ ეზიდებიან, ისე როგორ იქნება, მარცვალი გზაზე არ გაიბნეს. და ესეც ჩემი ლუკმაა. შინ რომ მიიტანენ სიმინდს და ხალი-აში შეყრიან, ისე როგორ იქნება, ნა-ლიას სამზეო არ დაუტოვოს გლეხ-კაცმა, ისე ხომ დალბა და გაფუჭდა სიმინდი! ესეც ჩემი საკვებია. სიმი-ნდს რომ წისქვილში წაიღებენ და დაფქვავენ, იქ განა რამე არ დარჩე-ბა, რომ ჩემი კუჭი ამოავსოს? განა რამდენი მინდა. დიასახლისი რომ ფქვილს და ღერლილს დააცალკეებს ისე როგორ იქნება, მტვერი და ჩენ-ჩო არ მორჩეს და გარეთ არ გადაყა-როს. ესეც ჩემი საკვებია. მთელი წე-ლიწადი ვცხოვრობ ამ დალოცვილი სიმინდით, ამ ყანით და მიტომაც მე-ძახიან ყანის ჩიტს. სახვალიოდ არა-ფერს არ შევიხანავ. ეს ჭიანჭველები მეტადწინ გახედულები არიან—შინ მიაქვთ ყველაფერი. ხვალზე ფიქ-რობენ და ხვალზე ზრუნავენ. ჩემთ-ვის კი რა არის ორი-სამი მარცვალი. ჩამოვყრი ძირს. ისინიც მოვლენ და წაიღებენ. მადლია. ყველაფერი ერ-

თმანეთზეა გადანასკველს რიქნა... გლეხი იქნება. ყანაც იქნება... ყანა იქნება, ყანის ჩიტი იქნება; სანამ ჩვენ ვიქნებით, ჭიანჭველებიც იქნებიან.

ჭიანჭველები მღერიან:
 აბა, ჰე, და აბა, ჰო.
 ვოხოხო და ვოხოხო!
 ჭიჭი, ხელი გაანძირე,
 ტყუილად ნუ როხროხობ!
 მიათრევენ სიმინდის თეთრ მარც-ვალს ჭიანჭველები. მიათრევენ და აგულიანებენ ერთმანეთს:
 აბა, ჰე და აბა, ჰო!
 ვოხოხო და ვოხოხო!

კოლო

შუადღის მოწვევამდე ჯერ კიდევ კარგა ხანი რჩებოდა, ჭიანჭველებს რომ ერთი ხმაური და აურხაური შე-მოესმათ.

მამა ჭიანჭველა: დილიდან თვრება ეგ ოხერი!

კარის მეზობელი ჭიანჭველა: აბა! დილიდანვე გამობრუყულია!

დედა ჭიანჭველა: სულ სხვის მარნ-ებზე უჭირავს თვალი!

მეორე ჭიანჭველა: პირის გემო ნი-ციო, მაგან დაიტრაბახოს!

დედა ჭიანჭველა: მტერს მაგისი ნესტარი!

მინდვრის ყვავილი: მგონი აქეთ მობუყბუყებს, ეგ მუცელგაკიტინე-ბული.

კოლო (მღერის):

გზა მომეციო განიერი,
 მე ვარ კოლო ტარიელი!

მინდვრის ყვავილი: ჭკუისაგან ცა-რიელი!

მეორე ყვავილი: ჭკუისაგან ცარი-ელი!

კოლო: გოგოებო! გზა მიტიეთ-მე-თქი, გზა! ჰაიდა! თქვენი ბრალი, რომ საქმე მაქვს და მიმეჩქარება, თო-რემ... თორემ, ვინც გაწუხებთ და გა-წიოკებთ, იმას ვუჩვენებდი სეირს, აბა! აქ ჩაიარა, ხომ? ჩაიარა და წა-ვიდა, ხომ? წავიდა და გაიპარა, ხომ?

მინდვრის ყვავილები: ვაი ამ უბე-დურს, ტარიელი რომ ჰგონია თავი!

კოლო: კაბებს რომ აფრიალებთ, და გადააფრიალებთ, რომ იცინით მუდამ და უმიზეზოდ, სულ გზისპი-რებში ყრინხართ და გამვლელ-გამომ-ვლელებს ათვალეირებთ, კოლოებზე რომ ჭორაობთ და ენას ატარტარე-ბთ, ნეტავი თქვენ, გოგოებო!

ბუზი-ბუზანკალი: ბზზზ-ბზზზ...

კოლო: შენ გეუბნები, შენ, რომ დაშტრიალობ უმიზეზოდ! დაშტრი-ალობ და დაბზუი უსაქმურად! ფუ-ნაში გაქვს დღემუდამ ცხვირ-პირი! ისე, მაინც სად ცხოვრობ და ათენებ

ამ შემოდგომა-ზამთრის გრძელ ღამეებს, ნეტა? რა გიდგას და რა გინათებს ისეთი, ასე რომ დაშტრიოლო!

ბუზი-ბუზანკალი: ბზზზ-ბზზზ...
მინდვრის ყვავილებზე დაფარფატებს შემოდგომის უკანასკნელი პეპელა.

კოლო: შენ რაღას შერები მანდ, შე ჭორიკანავ, რას ეჩურჩულები მაგ გოგოებს, ნეტა?

პეპელა: მე შორი გზა მაქვს და დაიბთან მოვედი გამოსათხოვებლად, ეგება რამე დამაბარონ მეთქი. მაგათი ნათესავ-ახლობლებიც იქ არიან წასული, საცა მე მივდივარ. თქვენ კი ძალიან რომ ბრაზობთ, ალბათ ვინმემ გაწყენინათ.

მინდვრის ყვავილები: მეტი მოუვიდა მაგ საბრალოს. ღვინომ აწყინა.

პეპელა: რატომ აქვს ამას ასეთი პატარა თავი, დაია?

მინდვრის ყვავილი: პატარა თავი კი არა აქვს, როცა ღვინოს ბლომად დღევს, მუცელი გამოებერება და თავი თითქოს უპატარავდება.

პეპელა: რა შემზარავია და რა საშიში!

მინდვრის ყვავილი: ბაქიაა და მეტი არაფერი. მაგისი შეშინებული ვინ ნახა, ოღონდ მიპარვა იცის, მაგ წყეულმა.

პეპელა: ვაი, ჩემი ცოდვა!

მინდვრის ყვავილი: ნუ გეშინია, ჩვენთან რა ხელი აქვს: აი ახლა მდინარისკენ მიფრინავს, იქ მობანავე გოგო-ბიჭები უნდა ააწიოკოს.

პეპელა: საცოდავები! თუ იციან ნეტავი, რა დღე მოელოთ.

მინდვრის ყვავილი: იციან, იციან და იმიტომაც ანთებენ მდინარის პირას კოცონს.

პეპელა: აი, იქ რომ ანთია, კოცონია, არა?

მინდვრის ყვავილი: არა, ის ნეკერხალია. ნეკერხალი შემოდგომაზე წითლდება და შორიდან გეგონება—კოცონი ანთიაო. მგონი ჭიანჭველები მოდიან ყანიდან. ფუსფუსი მესმის. დილაადრიანად ჩაიარეს, ახლა კი უკან ბრუნდებიან.

კოლო: ჭიანჭველებო! თქვენი სინსილა კი გაწყდა, თქვენი! სულ რომ საქმეში ხართ, ვითომ და სულ რომ რალაცას უკირკიტებთ!

მინდვრის ყვავილი: აქ არ ტრიალებს ისევ ეს მუცელგამობერილი?

კოლო: მე ვარ კოლო ტარიელი, ჭკუისაგან ცარიელი...

ქალებიდან ათასნაირი მწერები. ჭიანჭველები თავიანთ გრილ სადგომში ისვენებენ და ყოველი შემთხვევისათვის კართან უღვათ ერთი დარაჯი ჭიანჭველა, მაგრამ მასაც ძილი ართმევს თავს და ეყვირება. გასისმარებულა გუბე, სადაც ბაყაყები ცხოვრობენ, ისინი ახლა თავ-თავიანთ ციხე-კომუკებსა და დარბაზებში ისვენებენ. ციციქნა ბაყაყმა მწვანე გომბეშოს უამბო ზღაპარი.

ციციქნა ბაყაყი:

მდინარის ფსკერზე ვიპოვე კვერცხი. კვერცხი გავტეხე და ვაჟი გამოვიდა. ვაჟი გამოვიდა და ქალი დარჩა. ქალი დარჩა და აინთო სანთელი. ვაჟი არ მოვიდა და ქალი გამოვიდა. ქალი გამოვიდა და სანთელი ჩაქრა. სანთელი ჩაქრა და დედა გამოვიდა. დედა გამოვიდა და გამოჰყვა მამა. ისინი რომ გამოვიდნენ, ჯარი გამოვიდა. ჯარი გამოვიდა და ატყდა ომი. ომი ატყდა და ყველა დაიხოცა. დაცარიელდა კვერცხი. ცარიელი კვერცხი ვის რაში უნდა. ცარიელი კვერცხი გზაში გადავაგდე.

პირველი ბაყაყი: ჩუმაღ, ჩუმაღ, ჩუმაღ! დედოფალს ეძინება.

სიწყნარეა ირგვლივ. წყლის სარკეზე არ დაფრენს გველისთავის მპარსავი.

სძინავს გამომთვრალსა და მუცელგაბერილ კოლოს. ისვენებენ სძინადი, მუხუდო, კოლო, ბალახი. არ უსტვენს ყანის ჩიტი. მხოლოდ ჭუმი ჩქაფუნებს ჩვეულად.

ჭუმი: ეს წყალი ბუნების გულია თითქოს — ყველას სძინავს, ყველა ისვენებს, წყალი კი სულ მდის, სულ ფეთქავს. გულიც ხომ ასეა. კაცს სძინავს, მაგრამ გული მუდამ ფხიზელია. ვინმეს ხომ უნდა ეღვიძოს, როცა ყველას სძინავს: ასეა, არა?

ბიჭებმა კი ხანი ინადირეს, უდრო ამოავსეს და დაუყვნენ შინისაკენ მამავალ ბილიკს.

ჭურაბი: არ გეცოდება, ჭუმბერი, კიბორჩხალები?

ჭუმბერი: კიბორჩხალა ბადეში თავისით შედის, ძალას კი არ ვატან. ვინც უფრო ჭკვიანია, ცოტას მოციქნის გემრიელ ხორცს და მშვიდად დაადგება დარბანში მიმავალ გზას. ხოლო აქ მოყოლილი კიბორჩხალების მეტი წილი მსუნავია და გაუმაძღარი.


ყანის განაპირას, წამით გამოჩნდება ცხენზე შემჯდარი მეველე, რომელსაც მარცხენა მხარზე ცალპირა თოფი ჰკიდია.

ჭუმბერი: გერა თორიაა, ჩვენი კარის მეზობელი, ამ ზუთიოდენ წლის წინათ რომ ამიწვა ყურები!

ჭურაბი: საღამოს ზღაპარი? საღამოს ზღაპარი არ უნდა მოვისმინოთ?

ჭუმბერი: ცოტაზე რომ გავალთ, ერთი გუბე შემოგვხვდება, აქეთობას რომ გამოვიარეთ; აი, იქ შევისვენებთ. ამასობაში კიდევ დაღამდება, დავსხდეთ ბალახზე და დაუფდოთ ყური. სანამ არდადებები დამთავრდება, აქ კიდევ ბევრ რამეს გავიგონებთ. მთავარია, გულსყური გვქონდეს გამახვილებული. დღეს მარტო ერთი ჭალისპირის ამბებს მოვუსმინეთ, ქვეყანა კი დიდია, წყალია და ხმელი. კაცია და ფრინველი. დღეა და ღამე. მზეა და მთვარე. ცაა და ვარსკვლავები. ვინ იცის, იქნებ ჩვენზე გონიერი არსებები ცხოვრობენ სადმე. ქვეყანა ხომ უსასრულოა და უსასრულობაში რა ხდება, მაგას ვინ გაიგებს?..

საღამურ მინდვრებში ისმის ჭრინების მხიარული გადაძახილი—ჭრი... ჭრი... ჭრი...



მოღებულა შუადღის კარი. სოფელი და ქალაქელი ბიჭები—ჭუმბერი და ჭურაბი გვიმრის კარავში წვიანან. ნელა გაიკრიფნენ მდინარისპირა



მსროლელთა გილდია

1669 წლის ერთ ღრუბლიან დღეს მხატვარ რემბრანდტ ვან რეინის ახალგაზრდილ საფლავთან პოეტი ჟან ცოტი იდგა. ზღვიდან მონაბერმა ჩრდილო-დასავლეთის ცივმა ქარმა შიშველი ხეები შეარხია და პირველი სუსხი დაჰკრა ძაძვებით მოსილ აკანკალებულ ჭირისუფლებს. მძიმედ ცვიოდა კუბოზე მიწის მაგარი ბელტები. ჟან ცოტი ფიქრებმა გაიტაცა. გაახსენდა შორეული 1642 წელი. მოგონებებში ამოტივტივდა „მსროლელთა გილდია“...

... დუმილი სუფევდა ცნობილი მხატვრის რემბრანდტ ვან რეინის სახლში. თვით დიდ სახელოსნოში, სადაც მხატვრის ცხრა ახალგაზრდა შეგირდი მუშაობდა, სიჩუმე გამეფებულიყო, უჩვეულო სიჩუმე. სახელოსნოს ზემოთ, თავის საძინებელ ოთახში იწვა მძიმე ავადმყოფი სასკია, რემბრანდტის. საყვარელი ცოლი. ჭკნებოდა და ილეოდა ის, ვისი სიკეთე, სილამაზე და სინორჩე მუდმივი შთაგონების წყარო იყო მხატვრისათვის.

რემბრანდტი მაინც მუშაობდა. იდგა გვერდით ოთახში და მშვიდად, თავდავიწყებით მუშაობდა. ამთავრებდა თავის ყველაზე დიდსა და მნიშვნელოვან ნაწარმოებს: „ფრანც ბანინგ კოკის... მსროლელთა გილდიას“. მაგრამ მან, ჟან ცოტმა, მაინც უნდა შეუშალოს ხელი მეგობარს მუშაობაში, რადგან შემაშფოთებელი ხმები მოსდებია მთელ ამსტერდამს. თუმცა პირველად როდი ემუქრებათ საფრთხე კოლეგიანტებს, პოლიტიკასა და რელიგიაში პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა საზოგადოებას... ჟან ცოტმა ფრთხილად შეაღო რემბრანდტის სახელოსნოს მძიმე მუხის კარი და გაუბედავად გადააბიჯა ზღურბლს.

თითქმის დამთავრებულ სურათს მთელი განივი კედლის სიგრძე-სიმაღლე ეკავა. ჟან ცოტი პირველად არ ხედავდა მას, მაგრამ ახლაც მოკადრებულივით გაჩერდა სურათის წინ.

ნაცრისფერ ხალათში გამოწყობილი მხატვარი მოპირდაპირე ფანჯრის მხრიდან ყურადღებით აფვალიერებდა სურათს. ტილოს გრძელ მოსასხამზე ქამარი ჰქონდა შემორტყმული, რაც მის ისედაც ჩაფსკვნილ ტანს უფრო მასიურს აჩენდა. მისი გარეგნობის შემხედვარე ვერ იტყო-

ოდა, რომ ეს კაცი ოდესღაც ლათინურ სკოლასა და უნივერსიტეტში დადიოდა, ძველ ენებსა და ფილოსოფიას სწავლობდა; მაგრამ, სამაგიეროდ, მისი ტილოები მეტყველებდნენ მეცნიერებასთან მხატვრის შინაგან კავშირზე, ხოლო რემბრანდტს რომ პოეზია, მუსიკა და ხელოვნების სხვა დარგები უყვარდა, ამის შესახებ მხოლოდ მისმა მეგობრებმა და მოწაფეებმა იცოდნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, რემბრანდტმა შეამჩნია სტუმარი.

— დღეს ადრე გარჯილხარ, ჩემო კარგო მეგობარო! — გულთბილად მიესალმა იგი პოეტს.

— ცუდი ამბები მოგიტანე, — ყოყმანით წამოიწყო მოსულმა. — ფონდელის ეპიგრამა მოქადაგე ანსლოს სურათზე მთელ ქალაქს მოედო. მისი ლექსი ერთგვარი ლიტერატურული ბრალდებაა. ბრალდება არა მარტო მოქადაგე ანსლოზე, არამედ შენზეც, რემბრანდტ.

— ანსლოზე? — გაეღიმა მხატვარს. — ყველა იცნობს ვაადღენდელ მენონიტების ეპისკოპოსს, როგორც მშვიდობისმოყვარე ადამიანს. მე ვიტყვოდი, ყველაზე მშვიდობისმოყვარეს, თუ მხედველობაში მივიღებთ კალვინისტების გამუდმებულ ჭიშობას.

ჟან ცოტი მიხვდა, რომ რემბრანდტი ვერ ჩასწვდა მოსალოდნელი საფრთხის მნიშვნელობას. „საქმეს მხოლოდ მთელი სიმართლის თქმა თუ უშველის“, — გაიფიქრა მან და დაბეჯითებით განაცხაო:

— გეთანხმები, მაგრამ აკრძალვის კანონბროეტი ჩვენს წინააღმდეგ, კოლეგიანტების წინააღმდეგ ოთხი დღის წინ განახლდა და მენონიტების ეკლესიაში იეზუიტურ ეკლესიაზეც გავრცელდა, რომელსაც აქამდე ქალაქის საბჭო მოთმინებით იტანდა. კალვინისტების საეკლესიო საბჭომ თავის ჩვენებაში სხვებთან ერთად მხატვარი ვან რეინიც დაასახელა, როგორც კოლეგიანტთა საზოგადოების ერთ-ერთი მამამთავარი.

რემბრანდტმა ხმამაღლა გადაიხარხარა:

— მეტისმეტად დიდი პატივია ეს ჩემთვის, ჟან! ჩემი წვლილი ამ კარგ საქმეში მცირეა, ვაცილებით მცირეა იმისათვის, რომ ასეთი ბრალდება წამომიყენონ. — მან მხრებზე მოხ-

ვია ხელები თავის მეგობარს დასწავლა რათხე მიუთითა: — თუ რაღაცეა, რომელია მომიხსენიებს, ჩემო ბრუტუს, არა მგონია თქვან, რემბრანდტი სახალხო ტრიბუნი ან თომას მიუნცერი იყო. მე ამ ველზე ვიბრძვი და ჩემი იარაღია ფუნჯი, საღებავი, პალიტრა, გრაფიურის ნემსი. შეხედე იმ მედაფდაფეს, ჟან, მარცხნივ დილის დაფიონს რომ სცემს, თითქოს მოგვიწოდებს: გამოდი, მოქალაქე, გარეთ, კვლავ დაიცავით თქვენი ქვეყნის თავისუფლება, გასინჯეთ იარაღი, გამოიყვანეთ მეშაშხანეები, რადგან კვლავ გვემუქრებიან ძველი მტრები: კაიზერები, მეფეები, ხუცეები!.. შეიკრიბეთ დროშასთან, — ყვირის მედროზე, — ნუ დაგაფიყვლებათ ინკვიზიციის საკნები და კოცონები, გამოდი და დაიცავით აზრის თავისუფლება, თქვენი რწმენის ხელშეუხებლობა!.. ხალხია ამის შემძლე, — ამბობს ფელდფებელი და ამხედრებს პარტიზანებს, — ხალხი მოიპოვებს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას! მიზაძეთ თქვენს მამებს, მოიქეცი თუკეთ, ვიდრე თქვენი მამები იქცეოდნენ! — გვევედრება იგი...

ჟან ცოტი შეჰყურებს მეგობარს და მისი პოეტური სული ქედს იხრის ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანის წინაშე. ყოველთვის იზიარებდა იგი ამ აღმაფრენას, მაგრამ ახლა, ამ განსაცდელის ჟამს, მოსალოდნელის შიში გულს უკუმშავდა. მას გაახსენდა, რამდენი ადამიანი შეეწირა მსხვერპლად ორანიერებსა და მმართველ პარტიას შორის ბრძოლას. მის თვალწინ გაიბრინა ასობით მსჯავრდადებულმა, რომელთაც ვაცილებით ნაკლები ჰქონდათ ნათქვამი, ვიდრე მის მეგობარ რემბრანდტს თავისი დიდი, ჭეშმარიტი ხელოვნებით. აი, კიდევ ერთი. აქამდე შექმნილ ნაწარმოებთა შორის საუკეთესო ტილო...

„როგორ შევძლო ამ გენიოსის დაცვა? — ფიქრობდა ჟან ცოტი. — როგორ დავიცვა იგი ამა ქვეყნის ძლიერთა დევნისაგან, დავიცვა ისე, რომ არ მოვაკლო ის, რისთვისაც ცოცხლობს? როგორ მოვიქცეთ? მოვიცადოთ? არ გავიტანოთ სურათი მსროლელთა საჩვენებლად? არ ვიცი...“

— ჩემი დარდი არა მაქვს, რემბრანდტ. ხვალ მოვლენ ისინი, ვინც ეს ტილო შეგიკვეთა: ბანინგ კოკი და მისი მსროლელთა გილდია. მათ შორის ერთნი, უვიცნი, სიცილს დაიწყებენ, ვერ გაიგებენ შენ ქმნილებას. მეორენი კი აღმფოთდებიან. მე უკვე მესმის მათი ბოროტი, დამცინავი

შეურაცხყოფელი ჩურჩული:
„რა უნდა ამ მხატვარს ჩვენგან? რას
გვასწავლის? — იტყვიან ისინი. —
მთელი ევროპა ჩვენი მოვალეა,
მთელი რიგი ქვეყნების ვაჭრობა
ჩვენს კანტორებში გადის, სავაჭრო
ხომალდების ორ მესამედზე ჩვენი
ალმები ფრიალებენ“. ჩემო რემბ-
რანდტ, — განაგრძო ჟან ცოტმა, —
ისინი შენგან მოელიან სურათს ფე-
რადს, მხიარულს, მოელიან, დაინა-
ხონ თავიანთი სახეები, ქეიფისა და
ღვინის სმის დროს დახატული.

რემბრანდტმა მკვახედ გააწყვე-
ტინა:

— არა, ჩვენ არა გვჭირდება ქეიფ-
ის, ლოთების ჩვენება! არც მაძლარი
ბიურგერები და მსროლელთა გილ-
დია გვჭირდება, რომელიც ხელისუ-
ფალთა ოფიციალურ მიღებებზე
მწყობრი სიარულით თავს იწონებს!
არც ძვირად ღირებული დაჭირავე-
ბული ჯარისკაცები, რომლებიც საი-
მედო ციხე-სიმაგრეებიდან დროდა-
დრო დინჯად გამოდიან!.. ყოველივე
ამის გარდა, არის კიდევ ზღვები,
თვით ჩვენი მდინარეების შესართა-
ვებიც, რომელთაც ესპანეთის ფლო-
ტი ემუქრება. მთელი ფლანდრია
და ბრაბანტი მტერს უკავია. ათასო-
ბით საუკეთესო მოქალაქე ყოველწ-
ლიურად უცხოეთში გარბის, რომ იქ
თავშესაფარი ჰპოვოს. როგორია
ჩვენი თავისუფლებისათვის ბრძოლ-
ის საზარელი შედეგი? ეს იყო ძალ-
ით გაკათოლიკება იქ და საბოლოოდ
— ძალით გაკალვინისტება აქ. მსოფ-
ლიოში განთქმულ ჰოლანდიის იმპე-
რიაზე რაღას იტყვიან? ჩემს მშობლი-
ურ ქალაქში ათათასობით მშვიერი
ბავშვი მდიდრებისათვის ჩვრებსა
ქსოვს და შიგ თავის ტანჯვას ატანს.
ხოლო ამ დროს მათი მამები სასო-
წარკვეთილებით დაჰყურებენ საკუ-
თარ უმოქმედო ხელებს... გლეხები
და ხელოსნები გმინავენ ომის ტვირ-
თის ქვეშ. რა მოუტანა მათ ამ ომ-
მა? თავისუფლება? არა! მათ — არა.
მან მხოლოდ ჯიბეები აუვსო ზოგი-
ერთს. რას ემსახურება ჩვენი ფლო-
ტის ძლიერება. მსოფლიოს ზღვებზე?
ჩვენი სამშობლოს დაცვას? არა! იგი
ემსახურება ახალი კოლონიების მო-
პოვებას. ჩვენი ფლოტი ჰზაძავს ეს-
პანეთის ვერცხლისფერ ხომალდებს
და ყველაზე სამარცხვინო საქმიანო-
ბას ეწევა, ვაჭრობს აფრიკის „შავი
ოქროთი“ — მონებით! გესმის, ჟან,
მე უნდა ვუთხრა ამსტერდამის მოქა-
ლაქეებს, რისთვის და როგორ უნდა
იბრძოლონ მათ. ჩემი „მსროლელთა
გილდია“ მათი სინდისისკენაა მიმარ-
თული. მხოლოდ ამ მიზნით შეეკმენი
ეს ნაწარმოები.



ლონემინდლი რემბრანდტი დაღ-
უშდა. იგი სარკმელთან მივიდა, ფარ-
თოდ გამოალო. სახე გაუხათდა. თი-
თქოს დასკვნას უკეთებდნო თავის ნა-
თქვამს, ისე განაგრძო:
— მე მესმის, რაცა გსურს, ჟან, შენ
გინდა, რომ ბანინგ კოქს ვადა გაგუ-
გრძელო, დავარწმუნო, რომ სურათი
ჯერ მზად არა მაქვს. შენ ფიქრობ,
რომ ვიდრე ტილო მსროლელთა
სახლში არ გამოუფენიათ, კიდევ შე-
იძლება ყოველგვარი დისკუსია ავი-
ცდინოთ. მერე, ამით რა გაკეთდება,
ჟან? რას მივალწევთ? უნდა ვიცა-
დო, ვიდრე ხალხი გაიმარჯვებს, მაშ-
ინ კი, ჩემს ნაწარმოებს არავითარი
ფასი აღარ ექნება. მანამდე უნდა ვი-
ცადო, ჟან ცოტ? ეს ნიშნავს, რომ
ყველაფერს ვუღალატო, რაც აქამდე
შემიქმნია, რის შექმნაც კიდევ შე-
მიძლია და რაც უნდა შევქმნა. ისე-
თი სურათების ხატვის უფლება, რო-
გორც ეს არის, მხოლოდ იმ შემთხ-
ვევაში მაქვს, თუ მათ ადამიანებს
ვუძღვნი, თუ ისინი მათთვის ვასა-

გები და გამოსადეგი იქნება. არა მა-
რტო შენი კალამი, ჟან, ჩემი ფუნჯ-
იც იარაღად უნდა იქცეს! ძველი,
დახვსებული და დრომოჭმული თა-
ვისით არასოდეს წავა! ჩვენ უნდა
ვაიძულოთ იგი, წავიდეს!
ჟან ცოტმა იცოდა, რომ მას სათქ-
მელი აღარაფერი დარჩა.
... ყრუდ ეცემოდა მიწის შავი ბე-
ლტები მხატვარ რემბრანდტ ვან რე-
ინის კუბოს. მწუხრი ჩამოწვა.
— ჩვენ, კოლეგიანტები, აქ, ამ სა-
ფლავთან, — მოესმა ჟან ცოტს სტუ-
დენტ-მედიკოსის ახალგაზრდული
ხმა, — ერთიანობისაკენ მოვუწო-
დებთ დევნილთ და ჩაგრულთ. რო-
გორც ცოცხალთან, მომავალშიც
ასევე მივალთ შენს ტილოებთან,
რომ რჩევა მივიღოთ და შევიძი-
ნოთ ძალა, რომელიც ადამიანს მა-
ნამდე სჭირდება, სანამ ის ქმნის
და იღვწის.



განყოფილებას ხელმძღვანელობს
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი
ნოდარ შამანაძე

მეცხვარს

მეცხვარს ჩემი ქვეყნისა
ყველა მთა, ველი, კლდეკარი,
მიყვარს ორბეთის კლდეები;
ბირთვისის ციხე მედგარი,
ბედენი მიყვარს მდუმარდ,
დიდგორის ქედი ზვიადი,
ბრძოლაში გამობრძმედილი,
გამარჯვებული, დიადი.
მიყვარს მარაბდის მიწაზე
მტრედების ტკბილი ლულუნი,
არაგვის აურზაური,
მტკვრის ხმადაბალი დუდუნი,
მიყვარს კრწანისის მიდამო,
გმირთა ნაშუქით გამთბარი,
დედა ქართლისა, ხმლით ხელში,
თბილისის თავზე დამდგარი.

მთქმელი ელისო აფციაური,
ჩამწერი ნანა აფციაური,
თბილისის 159-ე საშუალო სკოლა,
VII კლასი.

**გვიანს
ნაჩოვობა**

სოფელ ტეზერს ერთხელ მტერი
შემოესია. თავდამსხმელებმა მოსახ-
ლეობა დაარბიეს, ბევრი დახოცეს,
ბევრიც ტყვედ წაასხეს. ერთმა დე-
დამ იმარჯვა, სანამ ტყვედ წაიყვან-
დნენ, თავისი სამი თვის ბავშვი აკე-
ნით ტყემლის დიდ ხეზე აიყვანა და
გაბარჯულ ტოტებში მიმალა. მშვი-
ლობა რომ ჩამოვარდა, მეზობელი

სოფლებიდან ტეზერს ხალხი ესტუ-
მრა, გაჩანაგებული სოფელი მოინა-
ხულა. ერთმა ჭარმაგმა კაცმა ტყემ-
ლის ხეზე მიმაღული ბავშვი ნახა და
ჩამოიყვანა. ეს ამბავი ყველას გაუ-
ხარდა, მაგრამ ერთი რამ სწყინდათ:
ბავშვის გვარი არავინ იცოდა.
— რახან ტყემლის ხეზე ვიპოვეთ,
ბაღს გვარად ტყემალადე მივცეთ!
— თქვა ერთმა ბერიკაცმა.
მას ყველა დაემოწმა. „ტყემალა-
დე“ ასე წარმოიშვა.

მთქმელი რამანა ტყემალაძე,
ჩამწერი მარინა ბარბაქაძე,
ქ. ხაშურის მე-8 საშუალო სკოლა,
X კლასი.

კახეთს

მოგესალმები, კახეთო,
ხილიან-ვენახიანო,
მინდა, სულ შენზე ვიმღერო,
ფანდური ავახმიანო.
ბურსის ხეობავე ლამაზო,
ნაპირებ ნაბლებიანო,
შენს აყვავებულ გულმკერდზე
ოქროს წყარონი დიანო.
დიდო ალაზნის ჭალაო,
ლალიან-ბარაქიანო,
სამშობლოსათვის მეც ვშრომობ,
მეზვრე-მეხილე მქვიანო.

მთქმელი სეთა ჩიზირკვი,
ჩამწერი მანია კაცოგაშვილი,
ყვარლის რაიონის წიწკანათხერის
რეაწლიანი სკოლა, VIII კლასი.

**ჩაბო
დაჩქა
შიდა?**

ძველად ამ სოფელს დიდი მდინარე
ჩაუდიოდა. იმ მდინარის ნაპირას
თურმე ერთი კაცი სახლს აშენებდა.
ვერ იქნა და ვერ დაამთავრა: სახუ-
რავამდე რომ აიყვანდა, მდინარე
უცებ ადიდდებოდა და სახლს შლი-
და. ასე გამეორებულა რამდენჯერმე.
ამის შემდეგ ამ სოფელს შილდა დაე-
რქვა.

მთქმელი ანა კვკლიშვილი,
ჩამწერი თინათა დადალაური,
თბილისის 149-ე საშუალო სკოლა,
VII კლასი.

**ჩაბი
სოფელი**

დიდი და ლამაზია ჩემი სოფელი.
მას შუაზე მდინარე ჰყოფს. სოფლის
ორივე მხარე ერთმანეთს უკავშირ-
დება წაბლის ხისაგან გაკეთებულ
ხილით. მეგრულად წაბლს „ჭუბური“
ჰქვია, ხიდს კი — „ხინჯი“. აქედან
წარმოდგება სოფლის სახელწოდე-
ბა — ჭუბურხინჯი.

მთქმელი ვ. შოლბაია,
ჩამწერი ბ. შოლბაია,
გალის რაიონის ჭუბურხინჯის მე-2
საშუალო სკოლა, VI კლასი.

**ნონას,
ნანას
და
მაიას**

ჭადრაკის გმირებს გადიდებთ —
ნონას, მაიას, ნანასა,
მისთვის გაგზარდათ დედამა,
მისთვის გეტყოდათ ნანასა,
რომ საშველს აღარ აძლევდეთ
მეტოქეს ათასგვარასა,
მხედრებს, კუთა და პაკთა
აბრუნებთ, როგორც ჯარასა,
ჩვენს დიდ სამშობლოს ახარებთ,
ჰმატებთ ხალისს და ძალასა.
ქება, სახელი, დიდება
თქვენზეა მართლაც ალალი,
დედამ მრავალი გაზარდოს
ქალები თქვენისთანანი.
კვლავ გამარჯვებებს გისურვებთ,
აგისდეთ ყველა მიზანი,
„კიდევაც დაიბრდებიან
აღგეთს ლეკვები მგლისანი“.

მთქმელი შაპრო ჩოხელი,
ჩამწერი მარინა წიკლაური,
ნ. მუსხელიშვილის სახელობის მან-
გლისის ქართული საშუალო სკოლა,
VI კლასი.

კანკაზი

მამა და შვილი

უხეირო მეცხვარე ძაღლებს აშიშში-
ლებდა: ჯერ მგელი დაიჭირეთო.

ვენახი დათეს მიაბარეს: არც არავინ
შიგ შეუშვა და აღარც არაფერი გა-
უშვაო.

ყბელი ვინ დალაღა და — მუნჯმაო.

შშიშარა კაცი ცხენიდან გადმოვარდა
და თქვა: მაინც უნდა გადმოვმხტარი-
ყავიო.

კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამ-
სო.

თივაში ცეცხლი არ დაიმალებათ.

მთქმელი პაპაი შეპლაშვილი,
ჩამწერი ლელა შეპლაშვილი,
საჩხერის რაიონის გორიხის საშუალო
სკოლა, VIII კლასი.

გარიკასის სიმღერა

დაუკარ, ჩემო ფანდურო,
ამოიღე ხმაო,
უნდა დავსძახო სიმღერა,
ლექსი უნდა ვთქვაო,
გაიფურჩქნა ვენახები,
ზვრები აყვავდეთ,
სოფელი ქალაქად იქცა,
ფერი იცვალათ,
აშენდა სასწავლებლები,
გაფართოვდა გზაო,
ტრაქტორებს და კომბაინებს
აღარა აქვთ თვლაო,
კოსმოსშიც გავინავარდეთ,
არ ვიცით დაღლაო,
დავდივარ გახარებული,
გულს ემღერებაო,
მე ვბერდები, მაგრამ გული
არ მიბერდებაო.

მთქმელი შიბა სხენიაშვილი,
ჩამწერი მანანა გონაშვილი,
წითელწყაროს რაიონის არბოშიკის
საშუალო სკოლა, VIII კლასი.

მამამ განიზრახა, შვილს შრომის
ყადრი უნდა ვასწავლოო. ამ მიზნით
მისცა თუმანი და უთხრა: წადი, შვი-
ლო, წყალში გადააგდეო. შვილი არც
დაფიქრებულა, გაიქცა და ის იყო
ფული წყალში უნდა ჩაეგდო, მამამ
მოაბრუნა.

შვილი რომ წამოიზარდა და შრო-
მა-გარჯით თუმანი იშოვა, მამამ უთ-
ხრა: წადი, შვილო, შენი ოფლით ნა-
შოვარი ფული წყალს გაატანეო.
შვილმა თავისი შრომით მონაგრებუ-
ლი ფული გადასაგდებად ველარ გაი-
მეტა.

მთქმელი ნიკოლოზ შაიშვილაშვილი,
ჩამწერი თამარ შაიშვილაშვილი,
ხილნაღის რაიონის ტიბაანის საშუალო
სკოლა, VIII კლასი.



1. ღამე შევედგი ცხრილითაო,
აღარ არის დილითაო,
ნეტავ საით გაპარულა,
აქეთა თუ იქითაო?
2. იხვი წყალში — კული ცაში.
3. ორი გავი — სწორი ხაზი
გზას მხარდამხარ მოჰყვებიან,
წინ-წინ ერთად მიიწვიენ,
ჭალაა თუ კორდებია,
ერთმანეთს არ შორდებიან
და არც უახლოვდებიან.
4. ასიანურის ქალი ვარ,
ასი კაბა მაცვია,
ქარი შემომიბერავს,
ერთიც აღარ მაცვია.
5. ღობეში ხელი შევყავი, ავმა
ძაღლმა მიკბინა.
6. დილით ღამაში, საღამოს აღმასი,
გარეთ ატლასი, შიგნით ათასი.

მთქმელი პარლმ შეპლაშვილი,
ჩამწერი მანანა შეპლაშვილი,
საჩხერის რაიონის გორიხის საშუალო
სკოლა, VI კლასი.

სახეწერის ისოღა

...ადამიანის ორგანიზმის ორი მე-
სამედი წყალია. ტვინი შეიცავს
83,3% წყალს, სისხლი — 79,3%-ს,
კუნთები — 76%-ს, ძვლები — 22%-ს.

...დღე-ღამეში ადამიანს სასმელად
სჭირდება 2 ლიტრი წყალი. თანა-
მედროვე მოქალაქე 24 საათში 300
ლიტრამდე წყალს ხარჯავს. თუ ინ-
დუსტრიის მოთხოვნილებებსაც გა-
ვითვალისწინებთ, თითოეულ მოქა-
ლაქეზე 1000 ლიტრი წყალი მოდის!

...ერთ სმ³ წყალში არსებულ მო-
ლეკულათა რიცხვის დადგენას ერთი
მილიარდი ადამიანი (დღევანდელი
ჩინეთის მოსახლეობა), თუ თითოე-
ლი მათგანი წამში ერთ მოლეკულას
გადათვლის, „მხოლოდ“ ერთ მილი-
ონ წელს მოანდომებს!

...ზუნთბრივი წყლები სამ კატეგო-
რიად იყოფა: მტკნარი (ლიტრში 1
გრამამდე მარილის შემცველობით),
მარილიანი (ლიტრში 1-დან 50 გრა-
მამდე) და მლაშე (ლიტრში 50 გრა-
მზე მეტი).

...ზღვები და ოკეანეები რომ აორ-
თქლდეს, მათი ფსკერი 60 მეტრი სი-
სქის მარილის ფენით დაიფარებოდა.

...ჩვეულებრივი მინა წყალში იხ-
სნება. უზუსტესი ანალიზური სას-
წორით დაადგინეს, რომ ჭიქა ჩაის-
თან ერთად თითოეული ჩვენგანი
ერთ მეათათასედ ვრამ მინასაც
„სვამს“.

...წყლის ნაკადი, რომელიც მი-
ლიდან წამში 100 მეტრის სიჩქარით
გამოდის, ფოლადივით მტკიცეა. მას
ხმლითაც ვერ გადაჰკვეთ — წყალი
წკრილით აირეკლავს ხმალს!

...სპეციალისტთა გაანგარიშებით,
მიწისქვეშა წყალსაცავებში შეიძლე-
ბა 5000 კუბურ კილომეტრამდე
წყლის შენახვა. ამით დატბორვას გა-
დარჩება მიწის ზედაპირი, რომლის
ლირებულებაც დღითი დღე მატუ-
ლობს.

...მარტო გრენლანდიის ყინული
რომ გაგვედნო, მსოფლიო ოკეანის
ღონე 7-8 მეტრით აიწვედა!

...როცა ზაფხულობით ბევრ წყალს
ესვამთ, ოფლთან ერთად ორგანიზ-
მიდან დიდი რაოდენობით გამოი-
დევნება მარილი. ორგანიზმი მოით-
ხოვს მისი მარაგის შევსებას და ჩვენ
იძულებული ვართ, კიდევ და კიდევ
ესვათ წყალი. ჯობს კი, თუ სხვაგა-
რად მოვიქცევით: ყოველდღიურად
უნდა შევჭამოთ ხუთიოდე გრამი მა-
რალი. მხოლოდ ასე ვაჯობებთ წყურ-
ვილს.



განყოფილება
ხელმძღვანელობს
საქართველოს სსრ
დამხმარებელი მწვრთნელი
შოთა ინჟპირკელი

აუნთებელი ჩიბუხი

ამერიკის შეერთებული შტატების მრავალგზის ჩემპიონს დილხატ ფრანკ ჯეიმს მარშალს (1877—1944) „შეტევის მეფეს“ უწოდებდნენ. გავეცნოთ მარშალის მიერ ბრწყინვალედ ჩატარებულ ერთ-ერთ პარტიას, რომელიც მას ორიგინალურად, იუმორით აქვს განმარტებული წიგნში, „50 წელი ჰადრაკის დაფასთან“.

პარტია № 2

ორთომოქსალური დაცვა

პარიზი, 1900 წ.

მარშალი ბარნი

„ჩემს გამარჯვებას ამ პარტიაში ნაწილობრივ იმ ფაქტსაც მივაწერ, რომ მისი გათამაშების მთელ მანძილზე პარტნიორმა ვერ მოახსრო ჩიბუხის მოწვევა. საქმე იმაშია, რომ ინგლისელი ამოს ბერნი (1848—1925) ძველი ყაიღის მოჰადრაკე იყო, ძალზე უყვარდა აუჩქარებელი და შეუპოვარი ბრძოლა, განსაკუთრებით დახურული ტიპის პოზიციებში, და დაფასთან ხანგრძლივი ბრძოლისათვის საფუძვლად მისწავლებული ჯდებოდა. ბრძოლას კი მოთმინებით ადევნებდა თვალს მუდამ პირში ჩიბუხგაჩრდილი. როდესაც მეორე სვლა გავაკეთე, ბერნი ჩიბიდან ჩიბუ-

ხისა და თამბაქოს ამოღება დააპირა.

1. d4 d5 2. c4 e6 3. მც8 მფ6 4. კგ5 კე7.

ამ სვლები მოფიქრებას ბევრი დრო არ დასჭირვებია, ამიტომ იგი აუღელვებლად შეუდგა ჩიბუხის წმენდას.

5. e8 0—0 6. მფ8 ხ6 7. კდ8 კბ7 8. cd ed.

გაწმენდილი ჩიბუხი თამბაქოთი გატენა. მე დავაჩქარე.

9. კ×კ×ფ6 10. h4.

ამან ღრმად ჩააფიქრა ბერნი და დროებით დაავიწყდა ჩიბუხი. მუქარა კ×h7 მფ×რh, მგწ+. ცნობილია, როგორც პილსბერის სახედათო შეტევა.

10... გ6 11. ხწ ეე8 12. hg hg.

აქ ბერნი ახანთის ძებნა დაიწყო და ერთ-ერთ ჩიბუხი იპოვა კიდევ.

13. ლc2 კგ7 14. კ×გმ8 fg.

გაჰკრა ახანთი, მაგრამ უკვე აშკარად ნერვიულობდა. ახანთა თითები დასწვა და ჩაქრა.

15. ლ×გ6 მდ7.

სტენაზე მეორე ღერი ახანთი გამოჩნდა.

16. მგწ ლწ6.

ბოლოს მოუკიდა ცეცხლი ჩიბუხში ჩატენილ თამბაქოს, მაგრამ მის მოსაწვეად დრო აღარ დარჩა. 17. ეი8+! და შავები დანებდნენ.

საბრალო ბერნი! ვფიქრობ, უხირცხვილოდ მოვატყუე იგი. მას რომ ჩიბუხის გაბოლება დასცლოდა, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა საქმე!


პარტნიორი დამარცხებას ფრიად კეთილგანწყობილად შეხვდა და ხელიც ჩამოხაოთვა. ჩიბუხი კი ამისობაში ჩამკრალიყო“.

ამოსახსნელად გთავაზობთ ბრწყინვალე ფინალს ლევიტსკი — მარშალის პარტიიდან (ბრესლაული, 1912 წ.).

ღიაგრამაზე მოცემულ პოზიციაში მარშალმა (შავებით) ძალიან ძლიერი და საოცრად დამაზი სვლით აიძულა მოწინააღმდეგე, დანებებულიყო.

ამოსახსნელად გთავაზობთ კიდევ ერთ პოზიციას, რომელიც შეიქმნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავისა და გამარჯვების დღისადმი მიძ-


მარშალი



ლევინსკი

ღვნილ ტურნირში (თბილისი, ჰადრაკის სახახლე, 1981 წ. მარტი), 57-ე საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე მეორეთანრიგოსან ალექსანდრე იოსელიანსა და პირველთანრიგოსან კოჩარაანს შორის.

კოჩარაიანი



იოსელიანი

ნორჩმა მოჰადრაკემ კარგად გამოიყენა გამოცდილი მოჰადრაკის უზუსტობა დებიულში. ორი პაიკის შეწირუთ მოწინააღმდეგეს დააკარგვინა როქის შესაძლებლობა და ძლიერი იერიში განავითარა. ღიაგრამაზე მოცემულ პოზიციაში (შავების მე-11 სვლის შემდეგ) ალექსანდრემ მშვენიერი, ორსვლიანი საშაშათო ოპერაცია განახორციელა.

ველით თქვენს პასუხს.. გთავაზობთ რამდენიმე მინიატურას დამოუკიდებელი ანალიზისათვის.

პარტია № 4 ნათამაშევია საქართველოს პირველ ჩემპიონატში მოსწავლეთა ნაკრების საწვრიონელ შეკრებაზე.

პარტია № 4
(მაქს ლანგეს შეტევა)
ქობულეთი, 1980 წ.
რ. ბაღათურიანი კ. შველიძე

(ხოხუმი. მეორეხარისხის) (თბილისი. პირველთანრიგოსან)

1. e4 e5 2. მფ8 მც6 3. კc4 მფ6 4. d4 ed. 5. 0—0 კc5 6. e5 მგ8? 7. მგ5 მხ6 8. მე4 კფ8 9. კ×h6 gh 10. მფ6 მფე7 11. ლh5 d5 12. მ×d5 მფე8 13. მფ6 მფე7 14. ლ×f7++ პარტია № 5

თბილისი, 1975 წ.
სიცილიური დაცვა
3. ვეზნიშვილი
(თბილისი. ოსტატობის კანდიდატი)

ბ. ცჰიტინიშვილი
(თბილისი. ოსტატობის კანდიდატი)
1. e4 c5 2. მფ3 მც6 3. d4 cd 4. მ×d4 გ6 5. მც3 კგ7 6. კე3 მფ6 7. მ×c6 be 8. e5 მგ8 9. კf4 ლაწ 10. ლd4 f6 11. e6 d5 12. კხ5!! კბ7 13. ლ×d5 cb 14. ლ×b7. ცჰიტინიშვილი დანებდა.

პარტია № 6
პირცი-უფიმცევის დაცვა
თბილისი, 1966 წ.
3. ვეზნიშვილი
(თბილისი. პირველთანრიგოსანი)

ბაღათურიანი
(თბილისი. პირველთანრიგოსანი)
1. d4 მფ6 2. მც3 გ6 3. e4 d6 4. კგ7 5. e5 მფd7 6. f4 h6 7. კh4 გ5 8. ლh5 gh 9. კc4 ეფ8 10. e6 მხ6 11. ef მგd7 12. ლწ5 e6 13. ლ×e6 მგc6 14. კხ5++

„პიონერის“ 1981 წლის № 1-ში გამოქვეყნებულ პოზიციაში კერესმა მოიგო 1. 2c5!! ხოლო № 2-ში გამოქვეყნებულ პოზიციაში ჩაჩანაშვილმა 1. ლ×f6 სვლით.

სწორი პასუხი გამოგზავნეს: თ. შონიამ (ბიჭვინთა), დ. გოდერიძემ (ქუთაისი), გ. ხალირაძემ, დ. უთმელიძემ, თ. დაწ. ნინუამ, მ. რატიანმა, მ. შავგულიძემ, დ. უთმელიძემ, ხ. ბახტაძემ, ა. გელაშვილმა (თბილისი). ქ. ღარიბაშვილმა (გურჯაანის რ-ნი, ვაზისუბანი), ალიბეგაშვილმა (მცხეთა), ლ. პატარავამ (მახარაძის რაიონი ქვედა ბახვი), ზ. ოსიაშვილმა, პატარავამ (მახარაძის რ-ნი, ზ. იგრაიშვილმა, კ. ფანაშვილმა (რუსთავი), კ. ივანოვა (ქიათურა), ქ. კახიანმა (დიდი ლილო), ჩ. ჩიტინიშვილმა და მ. ბოკელავაძემ (სამტრედია).

კილომეტრიანი ნემსი

სახბოთა ლაბორატორიებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში მზადდება უნიკალური პროექტი. ამჟამად, როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მაღალი ნაგებობაა მოსკოვის სატელევიზიო კოშკი, რომელიც 540 მეტრზეა აწვდილი ცაში. სპეციალისტებმა გადაწყვიტეს ააგონ ერთი კილომეტრი სიმაღლის ფოლადის ანძა.

ეს უმაღლესი ფოლადის ნემსი მეტეოროლოგებს სჭირდებათ. მასში სხვადასხვა სიმაღლეზე დაიდგება ხელსაწყოები, რომლებიც განუწყვეტლივ გაზომავენ ქარის სიძლიერეს, ატმოსფერულ წნევას, ტენიანობას და სხვა მნიშვნელოვან პარამეტრებს, რაც შექმნის ატმოსფეროში მიმდინარე პროცესების დინამიკურ სურათს. ეს კი მეტეოროლოგებს საშუალებას მისცემს დიდი სიზუსტით გააკეთონ ამგნდის მოკლევადიანი პროგნოზები.


კილომეტრიანი ნემსის წონა დაახლოებით რვა ათასი ტონა იქნება, სამჭერ ნაკლები, ვიდრე განთქმული ეიფელის კოშკისა, რომელზეც სამჭერ მარალიც იქნება ეს ფოლადის ანძა.

ჭრიჭინების კონსერვის

ჭრიჭინას ჭრიჭინი ყველას როდი მოსწონს, ზოგს ნერვებსაც კი უშლის. მაგრამ ისეთებიც არიან, ვისაც ამ მწერის „გალობა“ გულზე მაღამოდ ეცხება. ისინი ესპანეთის ქალაქ ოლოტოში უოველ წელს აწყობენ ჭრიჭინების კონსერვს. ამ დროს აქ ისეთივე აუოტაუია ხოლმე, როგორც ვოკალისტების კონსერვისას: დებენ სანაძლეოს საქმოდ დიდ თანხაზე, ოღონდ იმ პირობით, რომ უიურის წევრებს აბსოლუტური მუსიკალური სმენა უნდა ჰქონ-



დეთ. მსაჭებს შორის ხშირად ცხარე კამათი ჩაღდება. გამარჯვებულად ცხადდება ჭრი-



ჭინა, რომელიც ყველაზე სუფთა ტონით, ყველაზე მერლოდიურად იჭრიჭინებს.

ფრთოხანი აბრანოზები

შარშანდელ ზამთარს, ნორვეგიის ქალაქ ნარვიკის გარეუბანში მოთავსებულ საბავშვო ბაღს არწივები დაეხსნენ თავს. ის იყო საუშმის შემდეგ ბავშვები ეზოში სასიერ-

ნოდ გავიდნენ, რომ ჰაერში უზარმაზარი ფრინველები გამოჩნდნენ. უცებ არწივმა ფრთები დაკეცა და შურდულივით დაეშვა ოთხი წლის ბერტა პერდენსონისაკენ. კიდევ კარგი, შეშინებული გოგონა წაიქცა და თოვლში გაეხვია, თორემ ბასრ კლანჭებს ვერ გადაურჩებოდა. ამასობაში აღმზრდელმა ქალმა მოიხრბინა და წითელი შარფის ქნევითა და ყვირილით სცადა ეზოს თავზე მონავარდე არწივების დაფრთხობა, სანამ პატარები შენობაში შეცვივდებოდნენ. არწივები ამის შემდეგაც რამდენჯერმე ესტუმრნენ საბავშვო ბაღის ეზოს, როცა აღსაზრდელთა სეირნობის დრო იწყებოდა, მაგრამ ბავშვები რომ ვერ აღმოაჩინეს, უკანვე გაფრინდნენ. გამოჩენილი ნორვეგიელი ორნითოლოგის ულმარ ლუნდის აზრით, ეს უჩვეულო თავდასხმა მოახდინეს ახალგაზრდა არწივებმა, რომელთაც მკაცრ ზამთარში საკვები შემოაკლდათ.

გველის დუქინი ფიტული

დედამიწის ზურგზე 2700-მდე სახელობის გველი არსებობს, მაგრამ ბევრ მუზეუმს როდი შეუძლია დაიკვებოს მათი ფიტულების სრული კოლექციით. ამავე დროს გველის ტყავისაგან დაზაადებული ფეხსაცმელი და საგალანტერიო ნაწარმი ნელ-ნელა ავსებს ბაზარს. სად უნდა იზოვოს ადამიანმა საქმაო რაოდენობით გველის ტყავი მუზეუმის ფიტულებისათვისაც და მოღურის ნახელავისთვისაც? თურმე სრულებითაც არ არის საჭირო ამ მიზნით ქვეწარმავლის დიდი რაოდენობით დახოცვა. ბუნებაში თითქოს ვთვლით იზრუნა ამაზე: ჯანმრთელი გველი წელიწადში 2-4-ჯერ, ხოლო ავადმყოფი კიდევ უფრო მეტჯერ იცვლის ტყავს, ანუ როგორც ჩვენში ამბობენ, პერანგს იხდის.

სოტა რამ გოსტანეულის ისტორიიდან

უხსოვარი დროიდან მოჰყავდათ შრომისმოყვარე ეგვიპტელ გლეხებს ხახვი და ნიორი. ხახვი არა მარტო საყვარელი საჭმელი იყო მათთვის, არამედ წმინდათა-წმინდა მცენარეც. ხახვის ბოლქვები ძველ ეგვიპტელებს მთვარის სიმბოლოდ ჰქონდათ წარმოდგენილი, ამიტომ ქურუმები ხახვს არ ჰამდნენ.

როგორც ირკვევა, ხახვს სხვა დანიშნულებაც ჰქონია. მაგალითად, დავის დროს თავისი სიმართლის დასამტკიცებლად ეგვიპტელს ხელში ხახვი ეჭირა და ისე ფიცულობდა.

მხედართმთავარი ქსენოფონტე თურმე ხახვს აღმგზნებ თვისებებს მიაწერდა და განსაკუთრებული ბრძანებით იგი მეომართა ყოველდღიურ ულუფაში შეატანინა.

შუა საუკუნეებში რაინდებს წესად ჰქონდათ: თუ ვაჟუკაცი ჩაჩქანზე ხახვის ფურცელს მიიმავრებდა, ეს იმას

ნიშნავდა, რომ იგი მოწინააღმდეგეს სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იწვევდა. არანაკლები პატივისცემით სარგებლობდა ნიორიც, თუმცა მისი სუნი არავის ეპიტანვებოდა.

ნიორნაჭამ ადამიანს აკრძალული ჰქონდა ეკლესიაში შესვლა.

ესპანეთის მეფეს ალფონს კასტილიელს კი ნაბრძანები ჰქონდა, თუ რაინდი ნივრით „პირამყრალბული“ ეახლებოდა, მას მერე მთელი თვე სასახლეში არ შეეშვათ.

ძველი ბერძნები ნიორს სასწაულმოქმედ თვისებას მიაწერდნენ, ხოლო უნგრელები, ავი სულეებისაგან რომ დაეცვათ ოჯახი, თითოეულ ბავშვს ღეიბქვეშ ნიორს ამოუდებდნენ.

ჭარხალი ძველ სპარსელებს უთანხმოებისა და შუღლის სიმბოლოდ ჰქონდათ წარმოდგენილი. თუ სპარ-

სელს ვისიმე წყენინება უნდოდა, ეზოში ჰარხალს გადაუგდებდა.

უცნაური ჩვევა ჰქონიათ საქსონელებს. ქალის სათხოვნელად რომ მივიდოდნენ, თუ საპატარძლოს ოჯახში მოხარშულ ჰარხალს მხარმთვედნენ, კუდამოძუებულები ბრუნდებოდნენ უკან.

ასეთივე იყო ვანწყობილება ოხრახუშისადმი.

გამოჩენილი ბერძენი ისტორიკოსი პლუტარქე წერს: „ერთხელ კორინთელების ლაშქარი კართაგენის წინააღმდეგ სალაშქროდ მიემართებოდა, გზაზე ოხრახუშით დატვირთული ჯორები შემოხვდათ. მორწმუნე კორინთელებმა თავი წინასწარ განწირულად ჩათვალეს და შედარებით მცირერიცხოვან მოწინააღმდეგესთან ბრძოლა წააგეს.“



ლებრივი. ბოთლის საცობი კორპი უნდა იხმარო. კორპს ბაწრის ჩამოსადებად პაწია ლურსმანი დაასვი. თვითონ კორპს კი ბევ წებო წასცხე და შპალურზე შეაკერი.

წებოშემხმარი ფუნჯის განახლება იოლად შეიძლება. ამისათვის ფუნჯის ლითონის ბუდეს დანიჰპირი გაუხსენი. გამოაძვრე ჭაგარი, შეაბრუნე და ბუდეში გამხმარი პოლოთი ჩასვი. შემდეგ ბუდე ბრტყელტუჩით დაავიწროვე, აჩეჩილი ჭაგრები მაკრატლით შემოალამაზე და... ახალი ფუნჯი შეგარჩება ხელთ.



იმისათვის, რომ ზეთოვანი ხალებავი არ ამოშრეს და არ გახმეს, საღებავს ზემოდან თხელი ქაღალდი დააფარე, ზედ კი ოლიფა მოასხი.

ჩვეულებრივ ქაფჩას თუ ასეთ ფორმას მისცემ. იგი გაცილებით მარკვე მოსახმარი იქნება.

თუ გინდა ზუფთარის ქაღალდი სწორად გაკრა, ქაღალდს სახაზავი დაადე და ზედ ლურსმანი გადაუსვი.

ზოგიერთი კერძის დასამზადებლად ნელი ცეცხლია საჭირო. ლითონის მავთული ისე დაახვიე, როგორც ნახაზზე ნახვენები, როცა საჭირო იქნება, გაჭურას ზემოდან დააფარე და ალს სიმხურვალე დაეკარგება.

როცა ოთახის კედლები ბეტონისაა და მათი გახვრეტა კირს, კედელზე კალენდრის, ფოტოსურათის, მცირე ესტამპის ჩამოსაკიდებლად ჩვეუ-



პიონერთა მე-8 საკავშირო შეკრების დელეგატთა მიმართვა ლ. ი. ბრეჟნევისადმი 2

პიონერთა საკავშირო შეკრების მიმართვა ჩვენი ქვეყნის ყველა ნორჩი ლენინელისადმი გარეკ. ხარაზიშვილი ნ. — წინ, პიონერულ რაზმებო! (ნარკვევი) 1

პიონერული შრომითი საქმეების ხუთწლელი ქიტიაშვილი ც. — ჩურჩხელა (ლექსი) 3

ფავლენიშვილი ნ. — მიიღე, სამშობლოვ, პიონერული ნაღნობი! 5

გოგეშვილი ჯ. — გამოძახილი (მოთხრობა, დასასრული) 6

აი სი 8

მგელაძე ნ. — დაგვიანებული წერილი (მოთხრობა) 14

საბაშვილი შ. — ტუნგუსკის აფეთქება, რამ გამოიწვია იგი? (წერილი) 16

სტვილია ლ. — რომ; დიდება; ჩვენ ვეზრდებით საშობლოს (ლექსები) 18

ჭგუბურია მ. — მდინარისპირა ჭალის ზღაპარი (მოთხრობა) 19

ბროკლორფი კ. — მსროლელთა გილდია (მოთხრობა) 20

შევეკრიბოთ ხალხური საუნჯე, საინტერესოა იცოდე, მხედრონი, ჯადოსნური სარკე 28-31

ჩაჩავა ნ. — ცოტა რამ ბოსტნეულის ისტორიიდან (წერილი) 31

გარეკანის 1-ლ გვერდზე — „მცნება“, მხატვარი ზაურ დინისძე.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შალია

სარედაქციო კოლეგია: ნუზარ აფხაზავა, ზურაბ გოცგაძე, ავთანდილ გურბანიძე, დოდო ვადაკორიძე, ბიროზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ბიროზი ქლიბაძე, რომანტ ღარიპაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამყრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შაფირული, ზურაბ წვარიკაშაშვილი, ზურაბ ჭუმუშარიძე.

საქართველოს კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის—93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01. გადაეცა ახაწყობად 27/V-81, ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/VII-81, ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₃, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85, შეკვ. 1536, ტირ. 157 200 ეგზ. უე 08584.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Отпечатано в типографии Издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Формат 60×90¹/₃, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35. Тираж 157 200 экз. Цена 20 коп.



საკვეთილი მ-7

წინდა,
ჩითვაზი

მკვანდელ გაკვეთილზე
კვეთილი წინდებისა და ჩი-
რის ქსოვის წესს.

წინდა

ჩინის მოსაქსოვად საჭი-
რია 80-90 გრამი უხეში შა-
რის რიგი, № 1 ან № 2 ზომის
სახე. წინდა ხუთ ჩხირზე
ქსოვა. ქსოვის დაწყება შე-
დგება ყელიდანაც და თითის
გადახვევით. ორ ჩხირზე ავ-
სოლომ 6 თვალი, ერთი ჩხი-
რის გამოძრვით და თვლები
ქსოვის წალმით; მეორე
ჩხირით იმავე თვალის ძირზე
დაწყდნით 6 თვალი, ორ
ჩხირზე არეფილი ეს 12 თვა-
ლი გაანაწილოთ 4 ჩხირზე
(თითო ჩხირზე 3 თვალი), მე-
ოთხე ჩხირით კი ქსოვა დავიწ-
ყოთ; იქსოვება წრიულად,
წალმი — პირველ ჩხირზე
ერთი თვალი მოვქსოვთ, ვუ-
კლოთ, გამოვქსოვთ ორი
თვალი; მეორე ჩხირზე ორი
თვალი მოვქსოვთ, ვუმატოთ,
ქსოვით ერთი თვალი;
მესამე ჩხირზე ერთი თვალი
მოვქსოვთ, ვუმატოთ, გამოვ-
ქსოვთ ორი თვალი; მეოთხე
ჩხირზე ორი თვალი მოვქსო-
ვთ, ვუმატოთ, გამოვქსოვთ
ერთი თვალი, შემდეგ რიგში
სხვა თვლები ქვეშიდან წა-
დგით გამოვქსოვთ, ისე, რომ
სხვა რიგი არ გაჩნდეს. დანარ-
ჩენი თვლები გამოვქსოვთ
წილბერძნულ, წალმით.

შემდეგ რიგში: პირველ
ჩხირზე ერთი თვალი გამოვ-
ქსოვთ, ვუმატოთ, სამი თვა-
ლი გამოვქსოვთ; მეორე
ჩხირზე სამი თვალი გამოვქსო-
ვთ, ვუმატოთ, ერთი თვალი
გამოვქსოვთ; მესამე ჩხირზე
ერთი თვალი გამოვქსოვთ,
ვუმატოთ, სამი თვალი გამოვ-
ქსოვთ; მეოთხე ჩხირზე სამი
თვალი გამოვქსოვთ, ვუმა-
ტოთ, ერთი თვალი გამოვ-
ქსოვთ.

შემდეგ რიგში: ნამატებს
ჩვეულებრივ წალმით გამოვ-

ქსოვთ და ა. შ. ოთხ ჩხირზე
ერთი და იგივე ადგილას ვუ-
მატებთ იქამდე, ვიდრე ტერ-
ფის სიგანეს მივიღებდეთ; თი-
თებზე რომ მოვიწოდებთ და
ვანახავთ, რომ პატარა თითის
ძირი იფარება, მატებს შევ-
წყვეთ და დავიწყებთ წრი-
ულ ქსოვას ქუსლამდე. ქუს-
ლი იქსოვება ორგვარად: წინ-
დისებური ქუსლი და კაცურ
ქუსლი. წინდისებური ქუსლით
ქსოვენ ქალის და ბავშვის წინ-
დებს. კაცური ქუსლით კი მა-
მაკაცის წინდებს. ყელიდან
დაწყებული წინდა იქსოვება
მხოლოდ კაცური ქუსლით.

წინდისებური ქუსლი იქსო-
ვება ამგვარად: დავუშვათ, მა-
ტებით ოთხივე ჩხირზე გვაქვს
48 თვალი, ე. ი. თითო ჩხირზე
12 თვალი. ქუსლამდე რომ მი-
ვალწევთ, ორი ჩხირი დავტო-
ვთ უმოქმედოდ და მეორე
ორი ჩხირიდან ერთზე გადა-
ვიტანოთ თვლები. მივიღებთ
24 თვალს, ამ თვლების შუიდან
გამოვყვით 10 თვალი და მარ-
ჯენივ და მარცხენივ დარჩენი-
ლი 7-7 თვალი კლებით შევა-
ლიოთ. ამგვარად გამოვქსო-
ვთ 6 თვალი, მეშვიდე და
მერვე თვალი ერთად გამოვ-
ქსოვთ ე. ი. ვუკლოთ, ხოლო
მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე,
მეთორმეტე, მესამეტე, მეთო-
სმეტე, მეთხუთმეტე, მეთექ-
ვსმეტე თვალი — ჩვეულებ-
რივ, მეჩვიდმეტე და მეთვრა-
მეტე თვალი კი ერთად გამოვ-
ქსოვთ; დანარჩენი თვლები
აღარ მოვქსოვთ, ამის შემ-
დეგ მოვბრუნდეთ და 10
თვლის შემდეგ კვლავ ვუკ-
ლოთ, ე. ი. მეათე და მეთერ-
თმეტე თვალი ერთად გამოვ-
ქსოვთ. დანარჩენი თვლების
მოუქსოვლად ისევ მოვბრუნ-
დეთ და 10 თვლის შემდეგ
ვუკლოთ, ამგვარი კლებით შე-
ვადიოთ მარჯენივ და მარ-
ცხენივ დარჩენილი თვლები,
ჩხირზე დაგვრჩება 10 თვალი.
შემდეგ გვერდებში, რამდენი
თვალიც ვუკელით, იმდენივე
ამოვკრიფოთ, თითო ჩხირზე
ისევ გვექნება 12 თვალი, და
განვაგრძოთ ქსოვა. ვქსოვთ
დაახლოებით 7-8 სმ სიგრძის
მიღებამდე. შემდეგ მოვქსო-

ვთ რეზინი — 1×1-ზე ან
2×2-ზე, დაახლოებით, 6-7 სმ
სიმაღლისა. ნაქსოვი გადავხუ-
როთ, მოვწყვიტოთ ძაფი, შაგ-
ნით ჩავაბრუნოთ და დავამაგ-
როთ. ყელთან შეიძლება ფე-
რადი ზოლის სახით ძაფით
მოვაქსოვთ 2-3 რიგი. (სურ.
№ 1).


კაცური ქუსლი იქსოვება ამ-
გვარად: ქუსლამდე რომ მი-
ვალთ, ორი ჩხირიდან სხვა
ძაფზე თვლები გადავიტანოთ,
იმავე ადგილას, შიგნიდან
ამოვკრიფოთ იმდენივე თვალი
და ისევ ოთხ ჩხირზე გავაგ-
რძელოთ ქსოვა ყელის დამ-
თავრებამდე. ქუსლის მოსაქ-
სოვად ძაფი, რომელზედაც
თვლები გვქონდა, გამოვაძ-
როთ. ამის შემდეგ ორივე
მხარეს წარმოიქმნება თვლები.
ამოვკრიფოთ ეს თვლები 4
ჩხირზე თანაბრად, მოვქსოვთ
2-8 სმ-ის სიგრძისა. შემდეგ
დავიწყოთ კლება ოთხივე
ჩხირზე. ერთი და იგივე ად-
გილზე ვუკლოთ ყოველ მეორე
შემოვლაზე. კლებით 2 თვალ-
ზე რომ დავიყვანთ, ე. ი. სულ
რომ 8 თვალი გვექნება, 4 თვა-
ლი ერთ ჩხირზე გადავიტანოთ,
4 — მეორე ჩხირზე, ჩავაბრუ-

ნოთ შიგნით, გავუყაროთ ძაფი,
მოვკვიპოთ და დავამაგროთ.

ჩითვაზი

ჩითებს სხვანაირად ქუსლზე
ამოსაცმელსაც ეძახიან. იქსო-
ვება 5 ჩხირზე. საჭიროა 40-
50 გრ ძაფი. იწყება თითის
წვერიდან და იქსოვე-
ბა ისევე, როგორც წინდა;
ნაქსოვი თითებს რომ გადავ-
რავს, 3-4 სმ-ზე კიდევ უნდა
ვქსოვთ. შემდეგ ორი ჩხი-
რიდან 4 თვალი გადავიტანოთ
მესამე ჩხირზე, 4 თვალი კი
მეოთხე ჩხირზე, დანარჩენი
თვლები გადავხუროთ. გავაგ-
რძელოთ ქსოვა ორ ჩხირზე,
ქუსლამდე წალმა მხრიდან
წალმით ვქსოვთ, უკულმა
მხრიდან — უკულმით, შემდეგ
მოვაქსოვთ წინდისებური
ქუსლი. ქუსლის ქსოვას რომ
დავამთავრებთ, გარშემო
თვლები ამოვკრიფოთ, ოთხ
ჩხირზე თანაბრად გავანაწი-
ლოთ, ვქსოვთ 8-4 სმ-ის
სიგრძეზე და გადავხუროთ.
მოვწყვიტოთ ძაფი, შიგნით
ჩავაბრუნოთ და დავამაგროთ.
(სურ. № 2).

ლილი ზურაბაშვილი



ქანთუანი ჩანთიანი
ლიწყვე-თქვენი

პირველი ვაჟები

მხატვარი ელზარ ამბოკაძე



თავი მოუძონა



თავსარი დაეცა

თავზე კაპალს ამტკრებენ



თეთრ კბილს უჩვენებს



მუარები ჰყავს თავში

